www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 18 სექტემბერი, 2004 წელი. №222 (771)

ფასი 50 თეთრი

# ბენდუქიძე მეტალურგიული კომბინატის გაკოტრებას აპირებს

ეკონომიკის მინისტრის მიდგომები



იური ლობოდინის ფოტო

*ამბობენ, რომ ბენდუქიძე მიუკერძოებელი და ობიექტურია, მას ყველა არაკეთილსინდისიერი ინვესტორისადმი ერთნაირი დამოკიდებულება აქვს. გუშინ პარლამენტში მან ამის დემონსტრირება ვერ მოახდინა.*

*გუშინ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის სხდომაზე მისულმა ეკონომიკის მინისტრმა კახა ბენდუქიძემ უკვე მერამდენედ აუხსნა პარლამენტარებს, რომ მისი უწყება, პირველ რიგში, სამი საწარმოს პრივატიზების საკითხებზე მუშაობს. ესენია: რუსთავის "აზოტი", ჭიათურმანგანუმი და რუსთავის მეტალურგიული კომბინატი.*

მაია მოსიაშვილი

ბენდუქიძის თქმით, ორშაბათს "იტერა" მიიღებს შეტყობინებას იმის თაობაზე, რომ მას "აზოტში" ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო ქართული მხარე ჯარიმის გადახდას აკისრებს.

**"მათ უნდა გაეშვათ კაპროლაქტამის საამქრო, უნდა მოეხდინათ 3,5 მილიონის ინვესტირება, რაც არ შესრულებულა. შემდგომში მოვლენები ისე განვითარდება, როგორც "იტერა" მოისურვებს - ან გავაუქმებთ ხელშეკრულებას და ჩვენ ერთმანეთს სტოკჰოლმის სასამართლოში შევხვდებით, ან მოხდება ამ უაზრო სიტუაციის ტერმინაცია და განხორციელდება "იტერასთვის" "აზოტის" პირდაპირი მიყიდვა იმ პირობების შესრულებით, რომელიც უკვე ჩადებულია ბიზნესგეგმაში,"** - განაცხადა მინისტრმა.

ყველაზე მეტი ვნებათაღელვა

გაგრძელება A3 გვერდზე

# ვინ დაასწრებს სანგრის გათხრას?

ცხინვალიდან ისევ იმუქრებიან

ნინო გომართელი

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ალექსანდრ იაკოვენკომ გუშინ განაცხადა, რომ მოსკოვი მხარს უჭერს საქართველოსთან ურთიერთობების აქტიურად განვითარებას. მანვე სურვილი გამოთქვა, რომ საქართველო "ეკონომიკურად აყვავებული სახელმწიფო იყოს".

"უნდა შესრულდეს ის შეთანხმებები, რომლებსაც საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მოსკოვში ვიზიტის დროს სახელმწიფოს მეთაურებმა მიაღწიეს," - აღნიშნა იაკოვენკომ.

ამასთან, ყაზახეთში გამართული დსთ-ს სამიტით კმაყოფილმა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ განაცხადა, რომ რუსეთის მხრიდან რაიმე სახის მკვეთრი და ნეგატიური ნაბიჯი მოსალოდნელი არ არის; მიუხედავად ამისა, საქართველოს იმ კონფლიქტური ზონებიდან, რომლებიც რუსეთთან გაერთიანებისკენ მიილტვიან, კვლავ ისმის მუქარა. სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი საკმაოდ ხშირად სტუმრობს რუსეთს და მას თუ დავუჯერებთ, ჯერჯერობით, მხოლოდ ეკონომიკურ საკითხებს განიხილავს. ედუარდ კოკოითი შემთხვევას არ უშვებს ხელიდან, რომ რუსულ მედიასთან საუბარში საკუთარი მიზანი - რუსეთის მონობა - გაამჟღავნოს. სულ რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნებულ ინტერვიუში კოკოითმა ისიც კი აღნიშნა, რომ "სამხრეთ ოსეთი უკვე რუსეთია".

გაგრძელება A3 გვერდზე

# მომავალი სპორტსმენების მომავალი გაურკვეველია




ვახო ბესელიას ფოტო

## ნაშუაღამევს

## ოსების მიერ აყვანილი ქართველი მძევლები ძლიერ ნაცემები არიან

წუხელ, გვიან ღამით თავდაცვის მინისტრი გიორგი ბარამიძე საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს შეხვდა. როგორც ბარამიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, საუბარი შეეხო ამერიკაში ვიზიტს. გიორგი ბარამიძემ დაადასტურა ინფორმაცია კონფლიქტის ზონაში ოსების მიერ 16 ქართველი მშვიდობიანი მოსახლის გატაცების შესახებ. **"პრაქტიკულად, ახლა ეს ხალხი გათავისუფლებულია და ხვალ დაუბრუნდებიან თავიანთ ადგილებს... ჯერჯერობით, ტექნიკური პირობების გამო მათ ტრანსპორტირებაზე თავი შეიკავეს, ხვალ დილით ისინი თავიანთ სახლებში იქნებიან,"** - ბრძანა მინისტრმა პრესასთან კომენტარისას. "24 საათის" კითხვაზე - მართლა ძლიერ ნაცემები არიან თუ არა გატაცებული ადამიანები? ბარამიძემ უპასუხა, რომ ეს ინფორმაცია სინამდვილეს შეეფერება.

ბარამიძის თქმით, პრეზიდენტს იგი შინაგანი ჯარის თავდაცვის სამინისტროში გადასვლის საკითხებზეც ესაუბრა: **"ყველაფერი უნდა მოხდეს მაქსიმალურად უმტკივნეულოდ პირადი შემადგენლობისთვის და იმავდროულად, შეიარაღებული ძალებისთვის სასარგებლოდ."** თავდაცვის მინისტრის განმარტებით, ეს პროცესი პირველი ნოემბრიდან დაიწყება და დეკემბრის ბოლოსთვის დასრულდება.

*24 საათი*

## ნატო-ს დელეგაციის ვიზიტი დასრულდა

წუხელ დასრულდა ნატოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის ვიზიტი საქართველოში. ორი დღის განმავლობაში დელეგაციას შეხვედრები ჰქონდა პარლამენტში, საგარეო უწყებაში, უშიშროების საბჭოში. ვიზიტი საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრით დასრულდა.

ნატო-ში საქართველოს მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელის გიორგი არველაძის შეფასებით, ამ ვიზიტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ნატოს საპარლამენტო ასამბლეა ყოველთვის მხარს უჭერს საქართველოს. რვა კაციანი დელეგაცია გაეცნო საქართველოში მიმდინარე ბოლო დროინდელ პროცესებს, უცხოელებმა მიიღეს ინფორმაცია თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე რეფორმების შესახებ, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მოინახულეს ქართული სამშვიდობო ბაზები. არველაძემ განსაკუთრებულად აღნიშნა ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამა, რომელშიც ჩართულია საქართველო: **"საქართველო გახდა ამ უპრეცედენტო პროგრამის მონაწილე. ნატო-ს მსგავსი გადაწყვეტილება არცერთ ქვეყანასთან არ მიუღია."** ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაცია თბილისს დღეს დატოვებს.

**24 საათი**

## ამინდი

| | 18/9 | 19/9 |
|---|---|---|
| თბილისი | 22 | 23 |
| ქუთაისი | 24 | 27 |
| ბათუმი | 23 | 26 |
| სოხუმი | 24 | 26 |
| ფოთი | 24 | 26 |
| თელავი | 20 | 22 |
| ზუგდიდი | 24 | 28 |
| გორი | 20 | 22 |
| ახმეტა | 21 | 23 |
| ჭიათურა | 22 | 24 |
| გაგრა | 23 | 24 |
| სამტრედია | 24 | 27 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8450 |
| ევრო | 2.2518 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3107 |
| რუბლი | 0.0631 |

## ეკონომიკის სამინისტრო - ისტორიული ნაშთი

რეფორმები - ეკონომიკის სამინისტროსთვის, წუთობრივი გადასახადი - ელექტროკავშირის მომხმარებლებისთვის

თამარ ივანიძე

**"სხვადასხვა სამინისტროების ისტორიული ნაშთი"** - ასე აფასებს ეკონომიკის მინისტრი კახა ბენდუქიძე საკუთარ უწყებას და მის სასწრაფო რეფორმირებაზე საუბრობს.

**"ჩვენი საქმიანობა სამ ძირითად პრინციპს დაეფუძნება: დერეგულირებას, პრივატიზაციას და მკაფიო რეგულირებას. საქართველოში არის ჭარბი რეგულირების არაეფექტური სისტემა, რაც აუცილებლად უნდა შეიცვალოს,"** - განაცხადა კახა ბენდუქიძემ გუშინ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტში გამოსვლისას.

გაგრძელება A3 გვერდზე

## "ისინი მაღალი დონის აფერისტები არიან..."

მაია მოსიაშვილი

*რა ხდებოდა ბოლო ორი წლის განმავლობაში რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში? რას აკეთებდნენ იქ იტალიელი ინვესტორები? შეასრულეს თუ არა მათ ნაკისრი ვალდებულებები და რა მოხდება, თუ ისინი კვლავ დარჩებიან ქარხანაში? - ამ კითხვებზე პასუხობს **ნოდარ ღვამბერია,** იტალიელი ინვესტორების ერთ-ერთი რჩეული და ნდობით აღჭურვილი პირი, ქარხნის ყოფილი გენერალური დირექტორი. ქარხნის ქართველი ჩინოვნიკების ძველი ამალიდან ღვამბერია ჯერ-ჯერობით ერთადერთია, რომელიც იტალიელებს დაუპირისპირდა და გაჩუმებას სიმართლის თქმა ამჯობინა.*

- 2002 წლის დასაწყისში ასეთი სიტუაცია იყო - მეტალურგიული ქარხანა ან თურქებისთვის უნდა გადაეცათ ვალში, ან გერმანული "კონალ აგ"-ისთვის - რეაბილიტაციის განსახორციელებლად. გერმანელებმა ფინანსური გარანტიები

გაგრძელება A3 გვერდზე

## შამილ ბასაევი ტერაქტების ორგანიზებას აღიარებს

ლევან ბელაშვილი

გუშინ ჩეჩნურ ინტერნეტ-საიტზე "kavkazcenter.com" გამოქვეყნდა შამილ ბასაევის წერილი, რომელიც რუსეთში აგვისტოს ბოლოს და სექტემბრის დასაწყისში განხორციელებული ტერაქტების ორგანიზებას თავის თავზე იღებს. "შაჰიდების ბრიგადამ - "რიიადუს-სალიხიინმა" რუსეთის ტერიტორიაზე რამდენიმე წარმატებული საბრძოლო ოპერაცია განახორციელა: აფეთქებები კაშირსკის გზატკეცილზე და მეტროს სადგურ "რიჟსკაიასთან" - შაჰიდების მოსკოვის რეგიონულმა განყოფილებამ, ორი თვითმფრინავის აფეთქება - სპეციალური ოპერაციების განყოფილებამ, ხოლო ქალაქ ბესლანში ოპერაცია "ნორდ-ვესტი"- შაჰიდების მეორე ბატალიონმა პოლკოვნიკ ორსტხოევის მეთაურობით," - ნათქვამია წერილში.

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ამბები | A3 მთავარი თემა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 თვალსაზრისი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 კვირა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

18 სექტემბერი, შაბათი, 2004 წელი. №222 24 საათი

## საქართველომ დსთ თავის სასარგებლოდ უნდა გამოიყენოს

უშიშროების საბჭოს მდივნის გელა ბეჟუაშვილის გუშინდელმა ბრიფინგმა ცხადყო, რომ საქართველოს ჯერ კიდევ შემორჩა იმედი რუსეთთან ურთიერთობის შემობრუნებისა. **"იმედია, რუსეთი ჩამოაყალიბებს თავის ინტერესებს კავკასიაში. ჩვენ მზად ვართ, გავითვალისწინოთ ეს ინტერესები, მაგრამ ეს მოხდება საქართველოს ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით,"** - განაცხადა გუშინ ბეჟუაშვილმა.

საქართველო სრულ მხადაჭერას უცხადებს და აქტიურ თანმშრომლობას სთავაზობს რუსეთს ტერორიზმის წინაალმდეგ ბრძოლაში.

ბეჟუაშვილი დადებითად აფასებს ასტანაში გამართულ სამიტს და დასძენს, რომ დსთ-ს ჩარჩოებში მიღებული იქნა არა უბრალოდ დეკლარაცია, არამედ გადაწყვეტილება აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირების შესახებ.

**"დსთ-ს წევრი სახელმწიფოების მეთაურებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერა კონფლიქტის ტერიტორიაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ დსთ-ს წევრი ქვეყნები კონფლიქტის ზონაში ცალმხრივი აქტებისაგან თავს შეიკავებენ,"** - ბეჟუაშვილის აზრით, საქართველომ დსთ-ს ფორმატი თავის სასარგებლოდ უნდა გამოიყენოს.

უშიშროების საბჭოს მდივნის ინფორმაციით, რუსეთში სპეციალური სამუშაო ჯგუფი ჩამოყალიბდება, რომელიც განიხილავს სარკინიგზო მიმოსვლასთან დაკავშირებულ ყველანაირ საკითხს. ქართული მხარეც მოამზადებს შესაბამის წინადადებებს, მოხდება აზრთა გაცვლა. **"რამდენადაც ვიცი, რუსულმა მხარემ გამოთქვა სურვილი თბილისი- მოსკოვის მატარებლის მიმოსვლის აღდგენის შესახებ,"** - როგორც გუშინ ბეჟუაშვილმა ბრძანა, საქართველოს ხელისუფლება ამ საკითხს თავის სასარგებლოდ გამოიყენებს. კერძოდ, რუსეთს სანაცვლოდ შესთავაზებს დევნილთა დაბრუნებას აფხაზეთში.

*24 საათი*

## ვინ დაასწრებს სანგრის გათხრას?

პირველი გვერდიდან

**"რუსეთში ბევრი რამ იცვლება, მათ შორის - ჩვენი პრობლემისადმი დამოკიდებულებაც. საბოლოოდ, რუსეთის შემადგენელ ნაწილად ვიქცევით. სამხრეთ ოსეთი უკვე რუსეთია, მოსწონს ვინმეს ეს თუ არა. ჩვენი მოსახლეობის 98 პროცენტი ხომ უკვე რუსეთის მოქალაქეა. მათ შორის - მეც,"** - აღნიშნა მან.

ამის პარალელურად კი, ცხინვალის დე ფაქტო თავდაცვის მინისტრი აცხადებს, რომ თბილისის მოქმედებები ოსურ მხარეს "აიძულებს სანგრების გათხრას".

როგორც რუსულ გაზეთ "ВРЕМЯ НОВОСТЕЙ"-სთან ინტერვიუში ანატოლი ბარანკევიჩი აღნიშნავს, ქართული მხარე კონფლიქტის ზონაში პერმანენტულად ახორციელებს პროვოკაციებს, რათა "საზოგადოებას აჩვენოს - თითქოს ვითარება მწვავეა და დამატებითი ქართული კონტინგენტის შეყვანა აუცილებელია".

**"სამხრეთ ოსეთის საზღვრის პერიმეტრზე ისინი სანგრებს თხრიან და მოაქვთ სამხედრო აღჭურვილობები. ეს განსაკუთრებით ზნაურის რაიონში შეიმჩნევა,"** - აღნიშნავს დე ფაქტო თავდაცვის მინისტრი.

ამასთანავე, იგი ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას, რომელიც კონფლიქტის ზონაში ვითარებაზე დაკვირვებას ახორციელებს, ტენდენციურობაში სდებს ბრალს.

**"ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ სიმშვიდე იქნეს შენარჩუნებული. მაგრამ როცა ჩვენს წინააღმდეგ აგრესია მზადდება, გულხელდაკრეფილები ვისხდეთ? ჩვენ იძულებულნი ვართ, გარკვეულ ტერიტორიებზე სანგრები გავთხაროთ. რაც შეეხება ეუთო-ს პოზიციას, კონფლიქტის ზონაში მყოფი მათი წარმომადგენლები ქართველებისადმი სიმპათიით არიან განწყობილნი, ხოლო ჩვენ მიმართ - მიკერძოებულნი,"** - აცხადებს ანატოლი ბარანკევიჩი.

ამასთანავე, რუსული საინფორმაციო სააგენტო "Росбалт" აქვეყნებს ინტერვიუს კონფლიქტის ზონაში არსებული შეიარაღებული სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელთან, გენერალ-მაიორ მარატ კულახმეტოვთან, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ, საჭიროების შემთხვევაში, იარაღი იქნება გამოყენებული.

**"სამშვიდობოებს შეუძლიათ, არ დაუშვან კონფლიქტის ხელახალი ესკალაცია. უცილებლობის შემთხვევაში და იმ ვითარებაში, როდესაც შეუძლებელი იქნება მშვიდობიანი მოლაპარაკება, ჩვენ იარაღს გამოვიყენებთ. 12 წლის განმავლობაში ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობოები თავის ფუნქციებს კარგად ასრულებდნენ. მაგრამ ამჟამად გაჩნდნენ ისეთი ძალები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ვითარების დაძაბვასა და სისხლისღვრის პროვოცირებაში,"** - მიუთითებს კულახმეტოვი.

თავისი წინამორბედის მსგავსად, იგი ვერ მალავს საკუთარ სიმპათიებს ცხინვალის მხარის მიმართ.

**"საქართველოს შეიარაღებული ძალები, რომლებიც ქართულ სოფლებში ვითომდა წესრიგის შენარჩუნებას ცდილობენ, გამოძალვებით, უკანონო დაკავებებითა და მოქმედებებით აიძულებენ სამხრეთ ოსეთის მხარეს, საპასუხო ღონისძიებები გაატარონ,"** - ამბობს მარატ კულახმეტოვი.

## მოკლედ

## ახალი სარდალი

"სამხრეთ ოსეთში" შერეული სამშვიდობო ძალების მეთაურის სტანისლავ ნაზდოროვის მარატ კულახმეტოვით ჩანაცვლებით "სამშვიდობოებთან" დაკავშირებული საკადრო ცვლილებები არ დამთავრებულა. ასტანაში გამართულ დსთ-ს სამიტზე ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების ახალი მეთაური დაინიშნა. ეს პოსტი რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალ-მაიორმა ვიქტორ ვოლოშინმა დაიკავა. ვოლოშინმა გენერალ-მაიორი ალექსანდრ ევტეევი უნდა შეცვალოს, რომელსაც პოსტზე ყოფნის ორწლიანი ვადა ამოეწურა. მიღებულია ასევე გადაწყვეტილება სამხედრო თანამშრომლობის კოორდინირების საკითხებში შტაბის ახლანდელი ხელმძღვანელის ვლადიმირ იაკოვლევისათვის 2008 წლამდე უფლებამოსილების გაგრძლების თაობაზე.

*24 საათი*

## დარბევა ფოთში

რამდენიმე დღის წინ ფოთში ეროვნულ ძალთა გაერთიანება "კონსერვატორების" საქალაქო ორგანიზაციის ოფისი დაარბიეს. შენობიდან ჩამოხსნეს დროშა და აბრა. გუშინ პარტიის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარემ ზურაბ მალანიამ ოფიციალური განცხადება გააკეთა და მომხდარის ორგანიზატორებად ქალაქის მერი, ვახტანგ ალანია და მისი თანამოაზრეები დაასახელა. ზურაბ მალანიას თქმით, პარტიის წევრებზე ზეწოლა მას შემდეგ დაიწყო, რაც მათ ქალაქის მერის გადადგომის მოთხოვნით შიმშილობის აქცია მოაწყვეს.

ადგილობრივ კონსერვატორებს გადაწყვეტილი აქვთ, ამ დღეებში საპროტესტო აქცია ქვეყნის დედაქალაქში, სახელმწიფო კანცელარიასთან გამართონ.

*ქეთინო ჯაკობია, ფოთიდან*

## პრეზიდენტი "რევიზიას" ატარებს

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აეროპორტის გზატკეცილზე მიმდინარე გზის საფარის აღდგენითი სამუშაოები გუშინ თავად შეამოწმა და ქალაქის მთავრობას ერთგვარი გაფრთხილება მისცა.

სააკაშვილის განცხადებით, თუ გზის საფარი ხარისხიანად არ გაკეთდება და აღდგენითი სამუშაოების შემდეგ რაიმე სახის დარღვევა დაფიქსირდება, თბილისის მერის და მშენებლების მიმართ მკაცრი სანქციები განხორციელდება. "სახელმწიფოსადმი მიყენებულ ზარალს ისინი თავად აანაზღაურებენ და თითოეულ თეთრს საკუთარი სახლიდან მოიტანენ," - აღნიშნა სააკაშვილმა. გუშინვე საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შინაგანი ჯარის პირველ ოპერატიულ ბრიგადას, ყოფილი "მერვე პოლკის" ტერიტორიას ეწვია და აღდგენილი სამხედრო აღჭურვილობა დაათვალიერა. "მერვე პოლკში" სულ რვა ტანკია აღდგენილი, რომლებიც სარემონტო სამუშაოების ჩატარებამდე მეექვსე კატეგორიას განეკუთვნებოდნენ და ჯართში ჩასაბარებლად იყვნენ "განწირულნი". თითო ტანკის აღდგენა 3-დან 8 ათასი დოლარი დაჯდა.

პრეზიდენტ სააკაშვილის თქმით, ტანკების აღდგენა ომის გაჩაღებისთვის მზადებას არ ნიშნავს. "ეს კეთდება იმისთვის, რომ არავის გაუჩნდეს ჩვენს ტერიტორიაზე უკანონოდ შემოსვლის და ქვეყნის დაპყრობის სურვილი. ყოველი ომი მშვიდობით სრულდება და ჯობს, მხოლოდ მშვიდობაზე ვისაუბროთ," - აღნიშნა სააკაშვილმა. პრეზიდენტის განცხადებით, იმ დეზერტირებს, რომლებმაც "ვარდების რევოლუციამდე" დატოვეს ჯარი, უკან დაბრუნების საშუალება აქვთ, რადგან მათ წინააღმდეგ წარმოებული საქმეები შეწყდება.

*ინტერ-პრესი*

## პრეზიდენტი განათლების სამინისტროში




იური ლობოდინის ფოტო

"მეცნიერებათა აკადემია უნდა არსებობდეს და ყველა ქართველი მეცნიერი მძიმე სოციალური პირობებისგან უნდა დავიცვათ"

გუშინ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეწვია. პრეზიდენტმა სამინისტროს ახალ თანამშრომლებს კონკურსში გამარჯვება მიულოცა და აღნიშნა ის დიდი პასუხისმგებლობა, რაც ზოგადად განათლების სისტემის და კონკრეტულად, სამინისტროს თანამშრომლობაა. მან აღნიშნა ისიც, რომ კადრების შერჩევაში მთავარი კრიტერიუმი ობიექტური კონკურსია, ისეთი, როგორიც სამინისტრომ ჩაატარა. სამინისტროს აპარატს პრეზიდენტი დაფინანსების გაზრდას შეჰპირდა.

მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ სახელმწიფო განათლების სფეროს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს, სრულ მხარდაჭერას უცხადებს განათლების რეფორმას და ამ სფეროში არაკონსტრუქციული ოპოზიციური არეულობის შეტანას არავის ურჩევს - განათლების სისტემა ყველაზე მტკივნეულად განიცდის საბოტაჟს.

პრეზიდენტმა დადებითად შეაფასა სკოლებში მასწავლებლებისა და მშობელთა საბჭოს შექმნა და აღნიშნა, რომ, წინააღმდეგობის მიუხედავად, სკოლებში ამ დემოკრატიულ სისტემას მაინც შემოიღებენ და დადებითი შედეგიც სულ მალე დაარწმუნებს მოწინააღმდეგეებს.

სააკაშვილის თქმით, მისი პრეზიდენტობის დროს მკვეთრად გაიზრდება განათლების სფეროს დაფინანსება: მომავალი წლიდან ასი პროცენტით, ხოლო მისი პრეზიდენტობის პირველი ვადის დასრულებამდე - ხუთასი პროცენტით.

"ტყუილია, როცა ამბობენ, რომ ჩვენს ხელისუფლებას მეცნიერებათა აკადემიის გაუქმება სურს. პირიქით, მეცნიერებათა აკადემია უნდა არსებობდეს და ყველა ქართველი მეცნიერი მძიმე სოციალური პირობებისგან უნდა დავიცვათ," - აღნიშნა პრეზიდენტმა და ხაზი გაუსვა, რომ მეცნიერება არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს ბიუროკრატიული სფერო: "მე ყველა აკადემიკოსს პატივს ვცემ," - თქვა მან.

*24 საათი*

## ოლიმპიელები ქუთაისში

ქუთაისი გუშინ ოლიმპიურ ჩემპიონებს მასპინძლობდა. ქალაქის ცენტრში, დავით აღმაშენებლის მოედანზე მათთან შესახვედრად მოსული საზოგადოება ჩემპიონებს ოვაციებითა და ყვავილებით შეეგება. მანამდე კი ზვიადაური და ასანიძე გამომცემლობა "ავტოგრაფში" ჟურნალისტიკის ლიცეუმის მოსწავლეებს შეხვდა. ჩემპიონები ბავშვებს ოლიმპიადიდან დაბრუნების შემდეგ მიღებულ შთაბეჭდილებებზე უყვებოდნენ. "როდესაც ოლიმპიადიდან ჩამოვედი, გაოცებული და აღფრთოვანებული დავრჩი, იმდენი ხალხი გვეგებებოდა. სადაც არ უნდა წავიდე, თუგინდ მიყრუებულ სოფელში, იქაც იციან, ვინ ვარ. ხალხის სითბოთი აღფრთოვანებული ვარ. ამას არ ველოდი," - განაცხადა ზურაბ ზვიადაურმა. სპორტსმენებმა მთელი დღის განმავლობაში უამრავი ავტოგრაფი დაარიგეს. ავტოგრაფების მისაღებად ხალხს რიგში დგომა უწევდა. "ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ქუთაისის ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლები და ადგილობრივი თითმმართველობა ოლიმპიურ ჩემპიონებს ხვდება. ისინი უკვე საქართველოს ისტორიის შემადგენელი ნაწილი არიან. მათ საოცრად დიდი სიამოვნება მოგვანიჭეს თავიანთი სპორტული გამარჯვებებით. დღეს ჩემპიონებს პატარა გოგო- ბიჭები ხვდებიან, რომელთაგან ბევრი ალბათ მათ კვალს გაჰყვება," - განაცხადა რწუნებულმა დათო მუმლაძემ. რწმუნებულისა და თვითმმართველობის სახელით ჩემპიონებს სიმბოლური საჩუქრები გადასცეს. ქუთაისის ოლიმპიურ ბაღში კი ადგილობრივმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ასანიძის და ზვიადაურის სახელობის ვარსკვლავები გააკეთა. გიორგი ასანიძემ ქუთაისის ხელმძღვანელობას სთხოვა, სპორტის იმ სახეობას, რომელშიც თვითონ გამოდის, მეტი ყურადღება მიაქციონ. "დღეს საქართველოში არის ახალი გამარჯვებების ეპოქა, ეს არ უნდა იყოს ერთი და ორი წლით, არამედ სამუდამოდ უნდა გრძელდებოდეს," - აცხადებდნენ ჩემპიონები.

*ბექა სისაური, ქუთაისიდან*

## საკრებულო ფოთის მერის იმპიჩმენტის მომხრეა

გუშინ ფოთში გამართულ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს რიგგარეშე, 41-ე სხდომაზე დამსწრე თერთმეტივე წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი ქალაქის მერის ვახტანგ ალანიას იმპიჩმენტის საკითხს. მასალები და მოტივაცია უნდობლობის გამოცხადების შესახებ საკრებულომ ალანიას სხდომამდე ერთი კვირით ადრე გადაუგზავნა. ფოთის მერმა წერილობითი სახით წარმოადგინა თვითმმართველების ბრალდებების გამაბათილებელი არგუმენტები. საკმაოდ ვრცელ მასალას საკრებულოს წევრებმა ურთიერთგამომრიცხავი, ცინიკური, მეტიც, სიცრუით გაჯერებული უწოდეს.



სხდომაზე დამსწრე თერთმეტივე წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი ქალაქის მერის ვახტანგ ალანიას იმპიჩმენტის საკითხს.

ოფიციალურ დოკუმენტში, რომელსაც აღმასრულებელი ხელისუფლების პირველი პირი აწერს ხელს, ბევრგან იყო ნახსენები, რომ შესაძლოა უნებლიე შეცდომების დაშვება, რომ შეცდომა ხელშეკრულების შემდგენელმა დაუშვა და არა ხელმომწერმა ან აღმასრულებელმა და ა.შ.

საკრებულოს წევრებმა ალანიას ახსნა-განმარტება მისაღებ არგუმენტად არ ჩათვალეს. ფარული კენჭისყრის შედეგად თერთმეტივე წევრმა მხარი დაუჭირა დადგენილების პროექტს, რომლის თანახმად, ცნობა იმპიჩმენტის თაობაზე და თხოვნა ფოთის მერის ვახტანგ ალანიას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გაეგზავნება ქვეყნის პრეზიდენტს.

**თემურ წურწუმია,** *საკრებულოს თავმჯდომარე:* **- ვახტანგ ალანია ფოთის მერის თანამდებობაზე დანიშვნის დღიდან ახდენდა საჯარო სამსახურის შესახებ კანონის სრულ იგნორირებას. საკრებულომ აღნიშნულზე რამდენჯერმე მოახდინა რეაგირება, რასაც ზემდგომი ორგანოებისა და მერის მხრიდან შედეგი არ მოჰყოლია. ალანიას ქმედებები უკონტროლო გახდა: დემონსტრაციულად არ ასრულებს საკრებულოს დადგენილებებს, რაც არ მოსწონს, ერთპიროვნულად აუქმებს თავისი განკარგულებებით ან მთავრობის დადგენილებებით ახდენს მანიპულირებას; დევნის საკრებულოს წევრებს და ათავისუფლებს სამსახურიდან ფოთის საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ კანონის დარღვევით; ზოგიერთი საბიუჯეტო ორგანიზაციის სახსრებს განკარგავს პირადად; საკრებულოს თავმჯდომარეს ხელს უშლის სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებაში. ამ ნუსხის გაგრძელება კიდევ შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობთ, ჩამონათვალიც სცილდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სფეროს და შეიძლება უფრო სერიოზული განსჯის საგანი გახდეს.**

- ვახტანგ ალანია საკრებულოსთან ერთად მსჯელობას არ აპირებს. როგორც ჩვენთვის ცნობილია, სიტუაციის გარკვევას იგი სახელმწიფო კანცელარიაში ცდილობს. თქვენ კი სასამართლოსკენ გითითებთ.

**- ალანიამ ისიც არ იცის, თუ რა შემთხვევაში შეიძლება სასამართლოს მიმართოს. თუ პიროვნება ისეთ დარღვევას ჩადის, რომელიც პრაქტიკულად აქსიომაა, საკრებულოს კანონმდებლობა ავალებს უშუალო და პირდაპირ რეაგირებას. გასაჩივრება თავისი კასაციებით ხანგრძლივი პროცედურაა და პიროვნების მიერ კანონის იგნორირების მოთმენა დაუშვებელია. თუმცა, რიგი მასალები საკრებულომ უკვე გადაუგზავნა პროკურატურას.**

- როგორ ფიქრობთ, რა შედეგით დასრულდება იმპიჩმენტის პროცესი?

**- ჩვენ გვსურს, დავაფიქსიროთ ის აუტანელი სიტუაცია, რაც ფოთის თვითმმართველობაშია შექმნილი და ვთხოვოთ ქვეყნის პრეზიდენტს, რომ არსებული სამსახურების მეშვეობით გაერკვეს თანამდებობის პირის უკანონო ქმედებებში და მიიღოს სათანადო ზომები. თუ ალანიას საქციელს რაიმე, ჩვენთვის უცნობი გამართლება მოეძებნება, თავისთავად ცხადია, საკრებულო შესაბამის, ადეკვატურ რეაგირებას მოახდენს. ჩვენი მიზანია, თვითმმართველობის განვითარების პროცესი არ შეფერხდეს და იგი არ შეეწიროს ორი-სამი კაცის თვითნებობას.**

*ქეთინო ჯაკობია, ფოთიდან*

## როდემდე ივლის მატარებელი ოზურგეთი-ნატანების მონაკვეთზე ფეხაკრეფით

ბოლო ხანს საქართველოს რკინიგზის მდგომარეობა რომ მკვეთრად გაუმჯობესდა, ეს თვალნათლივი ჭეშმარიტებაა და მისი სიკეთე ოზურგეთმაც იგრძნო-აქ დღეში სამი მატარებელი შემოდის და გადის - ორი თბილისი-ოზურგეთისაა, ერთიც - ბათუმი-ოზურგეთის. მოსახლეობა კმაყოფილია, აღარ არის სამგზავრო ბილეთების დეფიციტი ე. წ. "პიკის" დღეებშიც კი. მგზავრობაც უფრო კომფორტული გახდა და მატარებლების მიმოსვლის გრაფიკიც ზედმიწევნითაა დაცული. ამ აწყობილ საქმეს მხოლოდ ერთი საკმაოდ სერიოზული ხარვეზი ახლავს. ოზურგეთი-ნატანების მონაკვეთზე სარკინიგზო ხაზის გამართულობა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. მისი დიდი ნაწილი ამორტიზებულია და ავარიის საფრთხეს ქმნის. ამ მიზეზით ოზურგეთი-ნატანების 30 კილომეტრამდე მონაკვეთის გავლას მატარებელი დიდ დროს ანდომებს, რადგან ისეთი დაბალი სიჩქარით მოძრაობს, რომ კარგი ფეხითმოსიარულეც კი გაუსწრებს. მაგალითად, ბათუმი-ოზურგეთის ჩქარი მატარებელი ბათუმიდან ნატანებში 20-იოდ წუთში ჩადის, ხოლო ნატანებიდან ოზურგეთში ჩასასვლელად 1 საათზე მეტი დრო სჭირდება. მართალია, ამ მიმართულებით რკინიგზას რამდენიმე ადგილას სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა, მაგრამ საერთო მდგომარეობა არ გამოსწორებულა. ზოზინა, ფეხაკრეფით მოძრავი მატარებელი კი მგზავრების უკმაყოფილებას იწვევს. არც ისაა გამორიცხული, რომ მწყობრიდან გამოსულმა მაგისტრალმა ვერც ნელა მოსიარულე მატარებელს გაუძლოს და უბედური შემთხვევა მოხდეს.

*თამაზ ხარაიშვილი, ოზურგეთიდან*

## ორი სიტყვით

**თბილისი**. აფხაზეთში 3 ოქტომბრისთვის დაგეგმილ არჩევნებზე პრეზიდენტობის კანდიდატის რაულ ხაჯიმბას მხარდამჭერი სახელისუფლებო წრეები არჩევნების გაყალბებას აფხაზეთიდან დევნილების საპასპორტო მონაცემებით გეგმავენ. სარწმუნო წყაროს მტკიცებით, სოხუმის ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა მათ ქართველ ემისრებს აფხაზეთიდან დევნილთა საბჭოთა ნიმუშის პასპორტების მონაცემების აფხაზეთში ჩატანა დაავალეს, რომლებზეც შემდეგ თვითგამოცხადებული აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო ე.წ. ფორმა N9-ს გასცემს. ე.წ. ფორმა N9 სწორედ ის დოკუმენტია, რომელიც, "პრეზიდენტის არჩევნების შესახებ" კანონით, საარჩევნო ადმინისტრაციას მოქალაქის საარჩევნო სიაში შეყვანის საშუალებას აძლევს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით ევროკომისიის პრეზიდენტი რომანო პროდი ეწვია. იგი საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს და პრემიერ-მინისტრს ზურაბ ჟვანიას შეხვდება. დაგეგმილია შეხვედრები საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან ნინო ბურჯანაძესთან და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ილია მეორესთან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ოზურგეთი.** პრეზიდენტის ახლად დანიშნულმა რწმუნებულმა გურიის მხარეში ჟანი კალანდაძემ გურიის ყველა რაიონის გამგებლებს, მათ მოადგილეებსა და ცენტრალური აპარატის დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურების თანამშრომლებს თანამდებობებიდან გადადგომის შესახებ განცხადებები დააწერინა. ამ საკადრო ცვლილებებს ჟანი კალანდაძე რეგიონში არსებულ ვითარებას უკავშირებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ასტანაში გამართულ დსთ-ს ქვეყნების სამიტზე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გამოსვლას სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე აკრიტიკებს. მისი თქმით, აღმოჩნდა, რომ საქართველოს უფუნქციო პრეზიდენტი ჰყავს, რადგან მან პუტინს საკადრისი პასუხი ვერ გასცა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში გამართულ დსთ-ს სამიტზე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გამოსვლას ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარე აკაკი ასათიანი უარყოფითად აფასებს. მისი თქმით, სააკაშვილის გამოსვლა "დიდი შინაარსით" არ გამოირჩეოდა. ისეთი დადგენილებები, როგორიც ასტანაში მიიღეს, შევარდნაძის დროსაც იქნა მიღებული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის დავალებით, იურიდიულ საკითხთა კომიტეტი პროკურატურის იმ ჯგუფზე განახორციელებს ზედამხედველობას, რომელიც საქართველოს ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების შესახებ გამოძიებას აწარმოებს. ამგვარი განცხადება პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ მას შემდეგ გააკეთა, რაც პარლამენტარებმა დეპუტატების - კახა კუკავას და ზვიად ძიძიგურის მოთხოვნა არ გაითვალისწინეს და ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებების შემსაწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის ჩამოყალიბებაზე უარი განაცხადეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობების - "ერთიანი აფხაზეთის", "ამცახარას" და "აიტაირას" ლიდერები აფხაზეთში სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების მსურველ მოსახლეობას საპრეზიდენტო არჩევნებზე სერგეი ბაღაფშის მხარდაჭერისკენ მოუწოდებენ. არასამთავრობოები არჩევნების გაყალბების შემთხვევაში ქვეყანაში განვითარებულ პროცესებზე მთელ პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებენ. **ინტერ-პრესი**



## კონკურსი

ცხადდება კონკურსი საუკეთესო ტელე და რადიო სიუჟეტის და საგაზეთო სტატიის გამოსავლენად, თემაზე - "ქალი და პოლიტიკა". თითოეულ ნომინაციაში გამარჯვებული დაჯილდოვდება 200 აშშ დოლარის ეკვივალენტით ლარებში.

განცხადებები შეგიძლიათ წარმოადგინოთ ან გამოაგზავნოთ 2004 წლის 15 ოქტომბრამდე, შემდეგ მისამართებზე:

თაყაიშვილის N3, 0179, თბილისი

ელ-ფოსტა: Lela@wprc.ge

ფაქსი: 99532 + 250836

ტელ: 99532 + 224018

*ქალთა პოლიტიკური რესურსცენტრი*


გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ბენდუქიძე მეტალურგიული კომბინატის გაკოტრებას აპირებს

პირველი გვერდიდან

მეტალურგიული კომბინატის საკითხის განხილვას მოჰყვა.

**"მეტალურგიული კომბინატი არის სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი საწარმო და ის რეაბილიტაციის რეჟიმში მუშაობს. რამდენიმე წლის წინ გაყიდულ იქნა მილსაგლინავი საამქრო(?!). ის გარკვეული პირობებით გადაეცა "არესს", რომელმაც არ შეასრულა პირობების ნაწილი, მაგრამ სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლებამ (იმდროინდელი რეაბილიტაციის მმართველის სახით) დადო პირობა, რომელიც ასევე არ არის შესრულებული. ვინაიდან ქარხნის ხელმძღვანელების მრავალი თაობა ჯიჯგნიდა და ძარცვავდა იქაურობას, საწარმო ძალიან ცუდ მდგომარეობაშია,"** - განაცხადა ეკონომიკის მინისტრმა.

ცნობისთვის, "არესის" მფლობელობაში გადავიდა არა მარტო მილსაგლინავი საამქრო, არამედ ქარხნის ქონების 70 პროცენტზე მეტი, ანუ კიდევ 25 საამქრო, რომელთა თაობაზე მინისტრმა, რატომღაც, არაფერი თქვა.

ამბობენ, რომ ბენდუქიძე მიუკერძოებელი და ობიექტურია, მას ყველა არაკეთილსინდისიერი ინვესტორისადმი ერთნაირი დამოკიდებულება აქვს. გუშინ პარლამენტში მან ამის დემონსტრირება ვერ მოახდინა - რამდენადაც მკაცრი და მომთხოვნი იყო ის "იტერასადმი", იმდენად რბილად იხსენიებდა მეტალურგიულის ინვესტორს -"არესს".

**"დღეს მაქვს შეხვედრა იტალიელების ჯგუფთან. ისინი წარმოადგენენ ინვესტირების გეგმას ამ მილსაგლინავ საამქროში და ქარხნის იმ ნაწილში, რომელიც მათ არასწორად შეისყიდეს, მაგრამ ხელმოწერილი კონტრაქტით მაინც ეკუთვნით. გარდა ამისა, მათ უნდა წარმოადგინონ ფინანსური გარანტიები, რაც ადრე არ გაუკეთებიათ. მათთვის ქარხნის ქონების გადაცემის ხელშეკრულება არის უაზრო, ყოველგვარი ფინანსური გარანტიების გარეშე, ამიტომ მე ვარ წინააღმდეგი ამ ტიპის ხელშეკრულებებისა,"** - ეს ეკონომიკის მინისტრის სიტყვებია. ამ სიტყვების შემდეგ ის ქარხნის შესყიდვით სხვა დაინტერესებულ კომპანიებთან (ასეთები კი საკმაოდ არიან) შეხვედრას მაინც არ ჩქარობს და ისევ "იტალიელების ჯგუფს" ხვდება.

**"არ შეასრულა პირობების ნაწილი", "ხელშეკრულება ყოველგვარი ფინანსური გარანტიების გარეშე", "მათ არასწორად შეისყიდეს, მაგრამ მაინც ეკუთვნით,"** - ასეთია "პრინციპული და მიუკერძოებელი" მინისტრის პოზიცია. ასეთივე არათანმიმდევრული იყო მისი ფრაზები ქარხანაში მიმდინარე რეაბილიტაციის პროცესისა და მისი მმართველის თაობაზე.

**"რეაბილიტაციის მართვა მიმდინარეობს არასწორად. ამაზე მივწერე პრეზიდენტს და ფინანსთა სამინისტროს. ყველასთვის ცნობილია, რომ მე რეაბილიტაციის მმართველის ბენო ქაშაკაშვილის შეცვლის საკითხს ვაყენებ,"** - განაცხადა ეკონომიკის მინისტრმა და არგუმენტად ის ფაქტი მოიყვანა, რომ ქაშაკაშვილმა, თურმე, მას გუმათ-ჰესის ჩუქება სთხოვა.

კახა ბენდუქიძე: **"უფრო მეტიც, თქვენ ითხოვდით, გვეჩუქებინა წვრილსორტული გლინვის საამქრო. ეროსი კიწმარიშვილი და თქვენ მოხვედით და მითხარით, პროკურატურაში ტყუილად ვირბინეთო?..**

ბენო ქაშაკაშვილი: **"ჩუქებას კი არა, ქარხნისთვის დაბრუნებას ვითხოვდით..."**

კახა ბენდუქიძე: **"ის საამქრო სახელმწიფოს ეკუთვნის და სახელმწიფო გადაწყვეტს, რა უყოს..."**

ბენო ქაშაკაშვილი: **"ეროსიმ გითხრათ, რომ თუ ეს საამქროები არ ექნება რეაბილიტაციის გუნდს, ვერც ერთ მანეთს ვერ დაფარავს. მან სახელმწიფო ინტერესი დაიცვა და ეს არის თქვენი გაღიზიანების მიზეზი? იმიტომ გინდათ ქარხანა ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულ ფირმას გადასცეთ, რომ სახელმწიფო ინტერესი აღარ იყოს?..."**

თუმცა ეს შეკამათება არ იყო გუშინდელ სხდომაზე მომხდარი ყველაზე საინტერესო ამბავი. ყველაზე მთავარი კახა ბენდუქიძემ ამის შემდეგ თქვა:

**"მეტალურგიული კომბინატის რეალური რეაბილიტაცია, ანუ მისი ყველა ვალის გადახდა შეუძლებელია. ჩემი აზრია და, ალბათ, ისე მოვიქცევით, როგორც ჭიათურმანგანუმის შემთხვევაში - მივმართავთ მეტალურგიული კომბინატის გაკოტრების პროცედურას..."(!)**

რუსთავში უკვე დიდი ხანია შიშობენ, რომ შესაძლებელია ხელისუფლებამ ქარხნის გაკოტრების გზა აირჩიოს. ამგვარ გადაწყვეტილებას რუსთაველი მეტალურგების გაღიზიანება აუცილებლად მოჰყვება, ქალაქი კი ისედაც სოციალური კრიზისის პირზეა.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: დღის პირველ ნახევარში პარლამენტში სიტყვით გამოსულმა ეკონომიკის მინისტრმა განაცხადა, რომ ვიზინგერი "ფატეხის" წარმომადგენელია, 40 წელია ამ მეტალურგიის სფეროში მუშაობს და მისი ექსპერტიზა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანიაო. 1940 წელს დაბადებული ჰორსტ ვიზინგერი ამჟამად, არც მეტი - არც ნაკლები, "ურალმაშ-იჟორის" დირექტორთა საბჭოს წევრია. სწორედ იმ ურალმაშის, რომლის აქციათა მფლობელი და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ბენდუქიძე იყო. ეს ინფორმაცია თავისთავად არაფერს ნიშნავს, თუმცა ის ფაქტია, რომ კახა ბენდუქიძემ ის სრულიად სხვა ფირმის სახელით წარადგინა და, ფაქტობრივად, დამალა, რომ ვიზინგერი მისი საქმიანი პარტნიორი იყო.



ეკონომიკის მინისტრმა კახა ბენდუქიძემ უკვე მერამდენედ აუხსნა პარლამენტარებს, რომ მისი უწყება, პირველ რიგში, სამი საწარმოს პრივატიზების საკითხებზე მუშაობს. ესენია: რუსთავის "აზოტი", ჭიათურმანგანუმი და რუსთავის მეტალურგიული კომბინატი.

იური ლობოდინის ფოტო

დაბოლოს, იმ შეხვედრის შესახებ, რომელიც ეკონომიკის მინისტრთან გუშინ დღის მეორე ნახევარში გაიმართა: მას, "იტალიელების" გარდა, რუსთავის მერი, საკრებულოს თავმჯდომარე, რუსთაველი პარლამენტარი გია ხევიაშვილი და ბენდუქიძის მიერ სპეციალურად მოწვეული უცხოელი ექსპერტი ჰორსტ ვიზინგერი ესწრებოდნენ. როგორც "24 საათს" რუსთავის მერმა განუცხადა, შეხვედრაზე ქარხნის მომავალზე ისაუბრეს და კიდევ იმაზე, რომ მისი გაყიდვა ღიად და გამჭვირვალედ უნდა მოხდეს. თუ ეს მართლაც ასე იყო, საკვირველია, რატომ დაიხურა აღნიშნული შეხვედრა ჟურნალისტებისთვის?!

**"იტალიელებმა წარმოადგინეს თავიანთი ბიზნესგეგმა, თუმცა ის იტალიურ ენაზე იყო და ჩვენ მისი გადათარგმნა მოვითხოვეთ. მინისტრმა მათ პირდაპირ უთხრა - ჩვენ ვიმუშავებთ იმათთან, ვინც უფრო მეტს გადაიხდისო. რაც შეეხება ვიზინგერს, მან თქვა, რომ სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა დააჩქაროს ქარხნის გაყიდვა, რადგან თუ დღეს მის ამუშავებას მილიონი სჭირდება, ხვალ ორი მილიონი დასჭირდება,"** - განაცხადა მერაბ ტყეშელაშვილმა, რომელიც კმაყოფილი იყო იმით, რომ სხდომის დამსწრეთა შორის "გახსნილი" საუბარი გაიმართა. როდის "გაიხსნება" მეტალურგიის საკითხი მთლიანად საზოგადოებისთვის და არა მხოლოდ

# ეკონომიკის სამინისტრო - ისტორიული ნაშთი

პირველი გვერდიდან

მისი თქმით, სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სამი სააგენტო გაერთიანდება ერთ მსხვილ საინვესტიციო სააგენტოდ, რომელიც სამი სხვადასხვა მიმართულებით იმუშავებს. ამასთან, დაგეგმილია ანტიმონოპოლიური სამსახურისა და ფასების ინსპექციის გაერთიანება, სტატისტიკის დეპარტამენტის დამოუკიდებელ სახელმწიფო ორგანოდ ჩამოყალიბება, თუმცა ეს მხოლოდ დეპარტამენტში რეფორმების განხორციელების შემდეგ იგეგმება.

**"სამინისტრო ამზადებს კანონპროექტებს ამჟამად არსებული მარეგულირებელი ორგანოების საქმიანობის მოსაწესრიგებლად. საქართველოში მარეგულირებელ ორგანოებს დამოუკიდებლობა უკონტროლობაში აერიათ. მე არ ვარ მათი დამოუკიდებლობის წინააღმდეგი, მაგრამ მარეგულირებელმა ორგანოებმა უკონტროლოდ არ უნდა იმუშაონ,"** - განაცხადა ბენდუქიძემ. მისივე თქმით, სამინისტრო გეგმავს ამჟამად საქართველოში მოქმედი საერთაშორისო პროგრამების რევიზიას, რადგან მიაჩნია, რომ საქართველო საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან გაუმართლებელ ვალს იღებს და ეს პროგრამები არაეფექტურია.

მარეგულირებელი ორგანოების საკითხი კიდევ ერთხელ წამოიჭრა ელექტროკავშირის აბონენტთათვის წუთობრივი გადასახადის დაწესებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების გამო.

გუშინ საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებმა "საქართველოს ელექტროკავშირის" აბონენტებისთვის 1 ოქტომბრიდან წუთობრივი ტარიფის შემოღება გააპროტესტეს.

**"გადაწყვეტილება ისეთი უნდა მივიღოთ, რომ პოლიტიკურად და ეკონომიკურად გამართლებული იყოს. რამდენიმე პიროვნების შეცდომამ არ უნდა გადაიყოლოს 300 ათასი აბონენტის ინტერესი,"** - განაცხადა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა. მისი თქმით, "საქართველოს ელექტროკავშირის" ადმინისტრაცია ვალდებული იყო, მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება სასამართლოში გაესაჩივრებინა. აღსანიშნავია, რომ მინისტრმა ბენდუქიძემ ელექტროკავშირის ხელმძღვანელობის უკან დახევა ამ საკითხთან დაკავშირებით სიმხდალედ შეაფასა.

**"ყოველ შემთხვევაში, ადმინისტრაციას უნდა ეზრუნა იმაზე, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება პარლამენტთან შეთანხმების გარეშე არ მიღებულიყო. ამას დაგვპირდნენ აგვისტოში, აღნიშნული საკითხის განხილვისას,"** - განაცხადა მაჭავარიანმა.

მისივე თქმით, ურთიერთჩართვის ხელშეკრულება, რომელიც "საქართველოს ელექტროკავშირმა" სხვა ოპერატორ კომპანიებთან გააფორმა, კანონით რეგულირდება.

**"ჩვენ ვართ პოლიტიკოსები და ვიღებთ საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ გადაწყვეტილებებს, ამიტომ თუ საჭირო იქნებოდა, ამგვარ გადაწყვეტილებასაც მივიღებდით. ჯერ კიდევ 1996 წელს, მაშინდელი კავშირგაბმულობის მინისტრის უშუალო ლობირებით, კანონში "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" ჩაიდო მუხლი, რომელიც ოპერატორ კომპანიებს ურთიერთჩართვის ხელშეკრულების გაფორმებას ავალდებულებდა. ამით იხეირეს კერძო ოპერატორმა კომპანიებმა,"** - განაცხადა მიხეილ მაჭავარიანმა.

"საქართველოს ელექტროკავშირის" გენერალური დირექტორის მერაბ კანკავას თქმით, "ელექტროკავშირს" ოპერატორ კომპანიებთან ურთიერთჩართვის ხელშეკრულება ჯერ კიდევ 2002 წლის ივნისში უნდა გაეფორმებინა, თუმცა აქამდე ამას აჭიანურებდა.

**"ურთიერთჩართვის ხელშეკრულების მიხედვით, "საქართველოს ელექტროკავშირი" ვალდებულია, "ახალ ქსელებს" თვეში 1 მლნ 200 ათასი ლარი გადაუხადოს. ვინაიდან "ელექტროკავშირიდან" განხორციელებული ზარები უფასოა, ძირითადად "ახალი ქსელების" აბონენტებს ჩვენი მომხმარებლები უკავშირდებიან, ამიტომ ზარების რაოდენობის დაბალანსებას ვერ ვახერხებთ. წუთობრივი ტარიფის შემოღება ზარების დაბალანსებაში გვეხმარება. ჩვენ არ ვცდილობთ მოგების მიღებას, ჩვენ ვცდილობთ, კომპანიას გაკოტრება ავაცილოთ,"** - განაცხადა კანკავამ.

# "ისინი მაღალი დონის აფერისტები არიან..."

პირველი გვერდიდან

ვერ წარადგინეს.

რაც შეეხება თურქებს, მათი წინადადებები კატეგორიულად მიუღებელი იყო ქართული მხარისათვის, მაგრამ ძალიან დიდი ლობი ჰყავდათ მთავრობაში. მაისში ტრაპიზონში შევარდნაძისა და დემირელის შეხვედრა იყო დაგეგმილი და თურქებმა ჩააწყვეს, რომ იქ მომხდარიყო ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა. მე ვიყავი წასული ამ შეხვედრაზე და დავარწმუნე პრეზიდენტი, რომ ამის გაკეთება არ შეიძლებოდა. ამ დროს უკვე გამოჩენილი იყო ასპარეზზე იტალიელი ქალბატონი ანჟელა კორნა, რომელმაც წერილი მისწერა პრეზიდენტ შევარდნაძეს, ქარხანაში შემიშვი და ეკოლოგიურად გავასუფთავებო.

შევარდნაძემ დაგვავალა, მიხედეთ ამ ხალხსო და მოვიდნენ იტალიელები ქარხანაში. ისევ ეკოლოგიურ გასუფთავებაზე დაიწყეს საუბარი. მე ჩვენი ბიზნეს-პროგრამა შევთავაზე, რომელიც ძალიან მოეწონათ და უკვე ივლისში მისწერეს პრეზიდენტს - თანახმა ვართო.

იმ დროისთვის "არესი" მარტო არ იყო. მათთან ერთად იყო "ლუკინ"-ის ჯგუფის გენერალური დირექტორი ბაიეტი. ისინი ერთად შეხვდნენ შევარდნაძეს. გვინდოდა, ამ შეხვედრაზე იტალიის საელჩოც ყოფილიყო წარმოდგენილი, მაგრამ სასტიკი წინააღმდეგობა გაგვიწია სერიოგინმა იტალიელების მხრიდან და ჩვენც გავჩერდით. ამის შემდეგ მათ შეთავაზებული რეაბილიტაციის პროგრამა იტალიაში წაიღეს და მალე მის ყველა გვერდზე მოაწერეს ხელი.

მე რეაბილიტაციის პროგრამაში ჩაწერილი მქონდა ერთი ასეთი პუნქტი - ქარხანა ინვესტორის საკუთრებაში გადადიოდა მას შემდეგ, რაც ისინი ელექტროსადნობ



"არ არის გამორიცხული, გააკოტრონ მეტალურგიული ქარხანა, ვალები ჩამოაცილონ, თუმცა ასეთ შემთხვევაში მყიდველის მხრიდან ვალდებულებები ნულის ტოლი იქნება."

თემურ სუხიტაშვილის ფოტო

კომპლექსს ააშენებდნენ. პროგრამის ტექსტური ნაწილიდან მათ ეს ამომაღებინეს, მაგრამ გრაფიკებში მაინც დარჩა. შემდეგ ზემოდანაც გვითხრეს, რომ ქარხნის გადაცემისათვის საკმარისი იქნებოდა მოწყობილობების შემოტანაზე კონტრაქტის გაფორმება.

2003 წლის თებერვალში გაფორმდა კონტრაქტი ავსტრო-გერმანულ-იტალიურ ფირმებთან "ფიოსტ-ალპინ"-თან და "ფუკს"-თან 21 მილიონი დოლარის ღირებულების ელექტროფოლადსადნობის დამონტაჟებაზე, რის შემდეგაც ქონების გადაცემის ხელშეკრულებაც გაფორმდა. შეიქმნა შპს "მილი", რომლის 98 პროცენტი იტალიელებს გადაეცათ. როგორც კი წილის დათმობის ხელშეკრულება გაფორმდა, იტალიური მხარის ქცევები მკვეთრად შეიცვალა - გაქრა "ლუკინი"-ს ჯგუფი და მასთან ერთად ფინანსური მხარდაჭერა.

პირველი ეჭვი მარტში გამიჩნდა. ახალი ფოლადსადნობის პროექტს "ჩელიაბინსკგიპრომეზი" აკეთებდა. მათ ყველა საბუთი მოამზადეს და გამოაგზავნეს ანგარიში 25 ათას დოლარზე, რაც ინვესტორებმა არ გადაუხადეს.

გადის ცოტა ხანი და ქარხანაში ვრცელდება ხმები - იტალიელები ამბობენ, ელექტროღუმელი ყაზახეთში უნდა დავაყენოთ, იქ ჯართი ბევრიაო. შევვარდი ირაკლისთან (ირაკლი ჟორდანია - ქარხნის გენერალური დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე) - თუ ყაზახეთში უნდოდათ ღუმელის დაყენება, ყაზახეთს ეჩუქებინა მაგათთვის ქარხანა-მეთქი...

საქართველოში ციხე ყოველთვის შიგნიდან ტყდება. ირაკლიზე მწყდება გული, რომ ძალიან მიენდო ამ ხალხს. მე ყოველთვის ვცდილობდი, ქარხნის ინტერესები დამეცვა, ამიტომ აპრილში გენერალური დირექტორის თანამდებობიდან გამათავისუფლეს კიდეც, შემდეგ ისევ აღმადგინეს. ამის შემდეგ მაქსიმალურად ვცდილობდი, განზე ვმდგარიყავი.

2003 წლის ნოემბერში სასამართლომ საბოლოოდ დაამტკიცა მათი სტატუსი. გაიმაგრეს თუ არა ზურგი, მაშინვე დაიწყეს - ფული არ გვაქვს და ჯართი უნდა გავყიდოთო.

სწორედ ამ დროს გამოჩნდა ჯან კარლო ონჯისი - ის ნორმალური კაცია და ეტყობა, რომ ფულიც აქვს. ონჯისის გამოჩენისთანავე ბიზნეს-გეგმის შეცვლაზე დაიწყეს ლაპარაკი და აი, რატომ: მათ თავიანთი წილი ონჯისს მიჰყიდეს, ფული აღებული აქვთ ანჟელას და მის გუნდს, მაგრამ ოფიციალურად ვერ გადაუფორმეს. ონჯისი ჭკვიანი კაცია, რომ ნახა ჩვენი ბიზნეს-გეგმა, მაშინვე მიხვდა, რა ვალდებულებები იყო მასში ჩადებული და მათი შემსუბუქება მოითხოვა.

**- დღეისათვის ეკონომიკის სამინისტრო აქტიურად განიხილავს ონჯისის, ანუ "მეტალ-ჯეოს" ბიზნეს-გეგმას. თუ იცნობთ მას?**

- "მეტალ-ჯეოს" ბიზნეს-გეგმა ახალი არ არის - ეს არის ჩემ მიერ დაწერილი რეაბილიტაციის გეგმა, ოღონდ ამოგდებულია 15 მილიონიანი ელექტროგენერაციის ობიექტი და, რაც მთავარია, სიტყვა არ არის ნათქვამი არც მუშაობაზე, არც ხელფასებზე და არც ვალდებულებებზე. მე ამ "ახალი" პროგრამის წინააღმდეგ თავიდანვე წავედი და პირდაპირ ვუთხარი მათ - ესე იგი წელიწადნახევარი ტყუილად გვილაპარაკია, ყველაფერი ზღაპარი და თვალში ნაცრის შეყრა ყოფილა-მეთქი. მოკლედ, ამ რუს-იტალიელებმა უფასოდ ჩაიგდეს ეს ქარხანა ხელში, შემდეგ მიჰყიდეს რამდენიმე მილიონად ონჯისს, კაპიკი არ დაუხარჯავთ, აიღეს ფული და ახლა მშრალად უნდათ საქმიდ-

# პრემიერთან მომავალი წლის ბიუჯეტზე იმსჯელეს

სახელმწიფო კანცელარიაში პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან მინისტრთა კაბინეტის წევრებმა სამუშაო თათბირი გამართეს. თათბირზე განიხილებოდა 2005 წლის ბიუჯეტი. როგორც თავდაცვის მინისტრმა გიორგი ბარამიძემ განაცხადა, იმის გათვალისწინებით, რომ შინაგანი ჯარი თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა, მთლიანად ამ უწყების სრულყოფილად მუშაობისთვის 600 მილიონი ლარი იქნება საჭირო. თუმცა, თავდაცვის მინისტრმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე 600 მილიონი ლარის გამოყოფა, რა თქმა უნდა, ვერ მოხერხდება და ეს თანხა გაცილებით მცირე იქნება. შინაგან საქმეთა მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებით, მისი უწყებისთვის, სავარაუდოდ, 110 მილიონი ლარი გამოიყოფა. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო 2005 წლის ბიუჯეტიდან დაახლოებით ას მილიონ ლარს მიიღებს. სოფლის მეურნეობის სამინისტრო - 24 მილიონ ლარს, ენერგეტიკის სამინისტრო - 60 მილიონ ლარს, უშიშროების სამინისტრო - დაახლოებით 30 მილიონს, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო - 10 მილიონ ლარს. ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი, რამდენს მიიღებს იუსტიციის სამინისტრო.

*მედია-ნიუსი*

# პროკურატურა ამოწმებს ლევან მამალაძის ფონდს "აღორძინება"

ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორის ლევან მამალაძის მიმართ აღძრულ საქმეზე თბილისის პროკურატურა გამოძიებას ჯერ კიდევ აგრძელებს. ამჟამად მიმდინარეობს ქვემო ქართლის გუბერნატორის ფონდ "აღორძინება"-ის ფინანსური რევიზია. თბილისის პროკურორის ვალერი გრიგალაშვილის განცხადებით, არსებობს ინფორმაცია, რომ ამ ფონდში შესული თანხები არამიზნობრივად იხარჯებოდა, რასაც გამოძიება რევიზიის მეშვეობით გადაამოწმებს. ყოფილ გუბერნატორს, რომელზეც ძებნაა გამოცხადებული, ბრალდება უკვე 32 ეპიზოდში აქვს წაყენებული, მათგან 31 - ქრთამის აღებას, ხოლო ერთი საარჩევნო ბიულეტენების განადგურების ორგანიზებას ეხება. მამალაძის მიერ გამოძალული ქრთამის ოდენობა, გამოძიების მტკიცებით, 600 ათას ლარს აღემატება.

*მედია-ნიუსი*

## ორი სიტყვით

**ახალციხე.** დენის გარეშე დარჩენილი ახალციხის მოსახლეობა საპროტესტო აქციებს მართავს. მათი თქმით, 14 სექტემბრის შემდეგ ახალციხეს დენი ფაქტობრივად არ მიუღია. რეგიონულ სადისტრიბუციო კომპანიაში ამას ენგურზე შექმნილი პრობლემებით ხსნიან. ახალციხის გამგებლის მინდია დევნოსაძის განცხადებით, სამცხე-ჯავახეთს 7 მეგავატი დენი მიეწოდება, როცა 8 მეგავატი მხოლოდ ბორჯომს და ახალციხეს სჭირდება. მისი თქმით, ენერგოკომპანიის წარმომადგენლები მათ დენით სრულ უზრუნველყოფას 25 სექტემბრისთვის შეჰპირდნენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 20 სექტემბრიდან კომპანია "ბი-პი", გარემოსდაცვითი პროექტების დაფინანსების მიზნით, ახალ კონკურსს გამოაცხადებს. განაცხადების მიღება ერთი თვე გაგრძელდება. გამარჯვებულებისთვის კომპანიამ 20 ათასი დოლარი გამოყო. შესაძლოა, თანხა რამდენიმე პროექტზე გადანაწილდეს. გასულ ორ წელიწადში ხუთი პროექტი დაფინანსდა. მაშინ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ, რომელმაც კონკურსში ვერ გაიმარჯვა, წახალისების მიზნით მცირედი თანხა მიიღო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 27 ოქტომბერს "ბი-პი" საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ფინანსურ მენეჯმენტში ტრენინგების მორიგ რაუნდს იწყებს. არასამთავრობოთა პროფილი შეზღუდული არ არის. პირველ ოქტომბრამდე სწავლებას 24 ორგანიზაცია გაივლის. ტრენინგებს სხვადასხვა დონორი ორგანიზაციებისა და ფონდების თანამშრომლები გაუძღვებიან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მსოფლიო ბანკის ექსპერტები საქართველოს ეწვივნენ. ვიზიტის მიზანია 2001-2003 წლებში ბანკის კრედიტით განხორციელებული სამუშაოების მონიტორინგი და ახალი კრედიტით დასაფინანსებელი სარეაბილიტაციო გზების მონახულება. 18-19 სექტემბერს საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენლები, მსოფლიო ბანკის ექსპერტებთან ერთად, საავტომობილო გზების იმ მონაკვეთებს მოინახულებენ, რომელთა რეაბილიტაციაც 2005 წელს დაიწყება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შესაძლოა, მომავალი წლიდან თბილისში სხვადასხვა სახის სოციალური შეღავათებით მეორე ჯგუფის ინვალიდებმაც ისარგებლონ. ამ ინიციატივით საკრებულოს ჯანდაცვის, სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და სპორტის კომისია გამოდის. პროექტის თანახმად, წყლის, გაზის და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ხარჯებისთვის თბილისის ბიუჯეტიდან დახმარებას დაახლოებით 44 ათასი ადამიანი მიიღებს. წინასწარი გათვლებით, პროექტის განხორციელებას დამატებით 1,5 მილიონი ლარის გამოყოფა დასჭირდება. **ინტერ-პრესი**

# აჭარაში დიდი ვაჭრობა დაიწყო

რონა კირკიტაძე
*"24 საათი-აჭარა"*



*დაგეგმილი 368 000 დოლარის ნაცვლად აჭარის ბიუჯეტში 906 000 დოლარი შევიდა.*

დავით ქლენტის ფოტო

ბათუმში გუშინ გამართულ აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი 10 ობიექტიდან ნახევარ მილიონ დოლარად შეფასებული რკინიგზის სადგურის შენობის გაყიდვა მომავლისთვის გადაიდო, 4 კი გაიყიდა. აუქციონი 4 საათს გრძელდებოდა, სავაჭრო ობიექტები ყველასათვის მოულოდნელ ფასებში გაიყიდა. ყველაზე მეტი, 225 300 დოლარი გამსახურდიას №15 მდებარე ფართში გადაიხადეს. იგი კორპორაცია "აისის" ხელმძღვანელმა - დავით იმნაძემ შეიძინა. მყიდველთა შორის იყვნენ როგორც ადგილობრივები, ისე საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები. დიდი დაინტერესების მიუხედავად, უცხოელმა ბიზნესმენებმა ვერც ერთი ობიექტის შეძენა ვერ მოახერხეს.

გუშინდელ აუქციონს ინციდენტის გარეშე არ ჩაუვლია. გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე 11 000 დოლარად შეფასებული არასაცხოვრებელი ფართი 76 123 დოლარად გაიყიდა, რაც აუქციონში მონაწილე მზია მახარაძემ გააპროტესტა. მახარაძეს ეს ფართი 8 წლის განმავლობაში იჯარით ჰქონდა აღებული, მაგრამ არანაირი პრივილეგიით არ უსარგებლია.

მოიჯარეებისგან განსხვავებით, აჭარის ფინანსთა სამინისტროში გუშინდელი აუქციონით კმაყოფილნი არიან. სულ დაგეგმილი 368 000 დოლარის ნაცვლად აჭარის ბიუჯეტში 906 000 დოლარი შევიდა, რაც ძირითადად სოციალური პროგრამების დაფინანსებას მოხმარდება. იმედოვნებენ, რომ მომდევნო ვაჭრობაც, რომელიც 20 სექტემბერს გაიმართება, წარმატებით დასრულდება.

# რეგიონებისთვის გაზის საფასური შემცირდება

*სემეკ-ის გადაწყვეტილებით, საქართველოს რეგიონების მოსახლეობას 1 ოქტომბრიდან გაზის ტარიფი 2,6 თეთრით შეუმცირდება. ეს გადაწყვეტილება საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელმა კომისიამ გუშინდელ სხდომაზე მიიღო.*

ნიკა მარიამიძე

კომისიამ გაზის ტარიფის კორექტირება ქვეყანაში ეროვნული ვალუტის დოლართან მიმართებაში კურსის ცვლილების გამო გადაწყვიტა. ტარიფი აქამდე 1000 კუბურ მეტრზე 199 ლარი იყო, ახლა კი ის 26 ლარით შემცირდა. ანუ თუ საქართველოში მოქმედი გაზის გამანაწილებელი 37 კომპანია გაზს დღემდე 199 ლარად ყიდულობდა, ამიერიდან 173 ლარად შეიძენენ, რაც სამომხმარებლო ტარიფს 1 კუბურ მეტრზე 2.6 მეათედი ლარით შეამცირებს.

სემეკ-ის გადაწყვეტილებამ რეგიონებისთვის გაზის ძირითადი მიმწოდებლის - "იტერა-საქართველოს" წარმომადგენლების უკმაყოფილება გამოიწვია. კომპანიის გენერალური დირექტორის მოადგილემ ირაკლი ნიკოლაიშვილმა წარმოადგინა არგუმენტები, რომელთა მიხედვითაც, გაზის მიწოდების ტარიფი 1000 კუბურ მეტრზე, 22 ლარის ნაცვლად, 16 ლარით უნდა შემცირებულიყო. მისი თქმით, ტარიფის შემცირება კომპანიას სერიოზულ ზარალს მიაყენებს და მას ურჩ გადამხდელთა წინააღმდეგ ზომების გამკაცრება მოუწევს.

ნიკოლაიშვილის განცხადებით, მოხმარებული ბუნებრივი აირის გადახდის დაბალი მაჩვენებლებით გამოირჩევიან ქუთაისის, რუსთავის, კახეთის (თელავის გარდა) გაზგამანაწილებელი კომპანიები, რომლებიც თუ გაზის საფასურს დროულად და სრულად არ გადაიხდიან, გაზმომარაგების შეწყვეტის საშიშროების წინაშე დადგებიან.

ნიკოლაიშვილი აცხადებს, რომ კომპანია ახალი ტარიფის პირობებში მუშაობას შეეცდება და იმ შემთხვევაში, თუ ტარიფმა არ გაამართლა და კომპანიას დიდი ფინანსური ზარალი მიადგა, "იტერა-საქართველო" სემეკ-ს მიწოდების ტარიფის გაზრდის განაცხადით მიმართავს.

ამასობაში ტარიფის არასაკმარისი გაზრდით უკმაყოფილონი არიან "ლეიბორისტები". ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლებმა სხდომაზე განაცხადეს, რომ კომისიამ არ შეასრულა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება და ტარიფიდან არ ამოიღო კომპანია "საქგაზის" წილი, რაც დედაქალაქში არსებულ გაზის ტარიფს 0,5 თეთრით შეამცირებდა.

სემეკ-ის თავმჯდომარემ გიორგი თავაძემ მათ უპასუხა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ლეიბორისტული პარტიის სარჩელი ტარიფიდან "საქგაზის" წილის ამოღების შესახებ არ დააკმაყოფილა და სემეკ-ს მხოლოდ მოქმედი ტარიფის გადახედვის მოთხოვნით მიმართა. ტარიფის გადახედვა, კი, თავაძის თქმით, სემეკ-ს მხოლოდ "თბილგაზის" მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია; ამიტომაც თავაძემ "ლეიბორისტები" ობსტრუქციის მცდელობაში დაადანაშაულა. მისი თქმით, მათ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას არასწორი ინტერპრეტაცია გაუკეთეს და სემეკ-ს "თბილგაზის" ტარიფის შემცირებისკენ უსაფუძვლოდ მოუწოდეს.

**სააქციო საზოგადოება "თბილისის საერთაშორისო აეროპორტი" მომსახურე ბანკის შერჩევის მიზნით აცხადებს ტენდერს.**

**ტენდერში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ ყველა ბანკს. მომსახურე ბანკის შერჩევისას ყურადღება მიექცევა:**

1. ბანკის კატეგორიას;
2. ფილიალების ქსელს;
3. მომსახურების სისტემას და ტარიფებს საწარმოსათვის და აეროპორტის თანამშრომელთათვის. M

მათ შორის:

- საკონვერსიო ოპერაციებზე საზღაურს;
- საინკასაციო მომსახურების ოპერატიულობას, საიმედობას და ღირებულებას;
- პლასტიკური ბარათებით უნაღდო ანგარიშსწორების სისტემას;
- პლასტიკურ ბარათზე რიცხული ნაშთის სარგებელს.
- ბარათიდან ნაღდი ფულის აღების საკომისიოს ოდენობას.
- ოვერდრაფტით სარგებლობის პროცენტს.
- საქართველოსა და თბილისის ფარგლებში ბანკომატების რაოდენობას.
- ხელფასების პროგრამების არსებობას. ხელფასების გაცემის სისტემას ბანკის პლასტიკური ბარათების მეშვეობით.
- იპოთეკური დაკრედიტების პროგრამებს.
- მომსახურების დონეს ვიპ კლიენტებისათვის.
- დამატებითი მომსახურების სახეებს.

ტენდერში მონაწილეობის მსურველ ბანკებს ვთხოვთ, ამა წლის 15 ოქტომბრამდე წარმოადგინონ თბილისის აეროპორტის ადმინისტრაციაში საინფორმაციო მასალა ბანკის შესახებ.

**საკონტაქტო ტელეფონი: 43 31 00**
**ფაქსი: 43 31 03**

**ს.ს. "თელასი" აცხადებს ტენდერს 3 პოლუსა 100ა გამთიშველის მოწოდებაზე:**

***გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მასალა უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.***

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართონ სს "თელასის" კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში;
ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის წაღება შეუძლიათ განცხადების გამოცხადების დღიდან და დაინტერესების შემთხვევაში, თავიანთ შემოთავაზებები დატოვონ სს "თელასის" კანცელარიაში.
თბილისი, ვანის ქუჩა N3, I სართული.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 22 სექტემბერი.

**ს.ს. "თელასი" გთხოვთ მოგვაწოდოთ ალუმინის სალტე 60X6მმ - 400მ**

ალუმინის სალტე 50X5მმ - **200მ**
ალუმინის სალტე 80X8მმ - **300მ**

***გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ალუმინის სალტეები უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.***

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართონ სს "თელასის" კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში;
ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

წერილის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 24 სექტემბერი.

**ს.ს. "თელასი" გთხოვთ მოგვაწოდოთ კამერა KCO -272 ძაბვის ტრანსფორმატორით 10კვ-იანი - 1ც**

***გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ კამერა უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.***

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართონ სს "თელასის" კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში;
ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

წერილის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 24 სექტემბერი.

**სს "თელასის" განცხადება**

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**20 სექტემბერს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:**
გამსახურდიას გამზირის(ნაწილობრივ), კოსტავას(ნაწილობრივ), ცინცაძის, დოლიძის, ბახტრიონის, ენგურის, პანკისის ქუჩების მცხოვრებლებს.

**20 სექტემბერს, 10.00-დან 17.00 სთ-მდე:**
სამტრედიის, აგლაძის, გუდაუთის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**ს.ს. "თელასი" გთხოვთ მოგვაწოდოთ დენის ტრანსფორმატორი ТПШЛ-10 3000/5 - 3ც**

***გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ტრანსფორმატორი უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.***

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართონ სს "თელასის" კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში;
ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

წერილის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 24 სექტემბერი.

**ს.ს. "თელასი" აცხადებს ტენდერს სასიგნალო პლასტმასის ლენტის მოწოდებაზე:**

***გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მასალა უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.***

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართონ სს "თელასის" კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში;
ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის წაღება შეუძლიათ განცხადების გამოცხადების დღიდან და დაინტერესების შემთხვევაში, თავიანთ შემოთავაზებები დატოვონ სს "თელასის" კანცელარიაში.
თბილისი, ვანის ქუჩა N3, I სართული.
გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 22 სექტემბერი.

# შამილ ბასაევი ტერაქტების ორგანიზებას აღიარებს

პირველი გვერდიდან

ბასაევის თქმით, ეს ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რათა საომარი მოქმედებები ჩეჩნეთში შეწყვეტილიყო და იჩქერიიდან რუსული ჯარების გამოყვანის პროცესი დაწყებულიყო. რუსი სამხედროების კაპიტულაციის სანაცვლოდ ჩეჩენი ბოევიკების მეთაური მზად იყო, გარკვეულ დათმობებზეც წასულიყო. მისი თქმით, ისინი "რუსეთის წინააღმდეგ ვინმესთან ერთად პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სამხედრო კავშირს არ შეკრავდნენ; თავიანთ ტერიტორიაზე უცხოურ სამხედრო ბაზებს, თუნდაც დროებით, არ განათავსებდნენ; მხარს არ დაუჭერდნენ და არ დააფინანსებდნენ დაჯგუფებებსა თუ ორგანიზაციებს, რომლებიც რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებს აწარმოებენ; შეუერთდებოდნენ დსთ-ს და მოექცეოდნენ რუბლის ერთიან ზონაში."

რუსეთის ჯარების გამოყვანა იმ პერიოდში უნდა განხორციელებულიყო, სანამ ბავშვები სკოლაში იმყოფებოდნენ. ამასთან, წყლის მიწოდებას დაიწყებდნენ მას შემდეგ, რაც პუტინი დაუყოვნებლივ გასცემდა ომის შეწყვეტისა და ჯარების გამოყვანის ბრძანებას. რაც შეეხება საკვების მიწოდებას, ამას არმიის სრულყოფილად გაყვანის შემდეგ აპირებდნენ. მძევლების გაშვებაც ნაწილ-ნაწილ იგეგმებოდა: მთიანი რაიონებიდან ჯარების გამოყვანის შემთხვევაში ყველა 10 წლამდე ასაკის ბავშვს გაათავისუფლებდნენ. ჯარების სრულყოფილად გაყვანის შემთხვევაში კი - დანარჩენი ბავშვებსაც უშვებდნენ. თუ პუტინი გადადგებოდა, მაშინ ყველა ბავშვს გაუშვებდნენ და დარჩენილ მძევლებთან ერთად ჩეჩნეთის ტერიტორიაზე გადაინაცვლებდნენ.

ბასაევი დაფინანსებაზეც საუბრობს. მისი თქმით, ის უსამა ბინ ლადენს საერთოდ არ იცნობს და ფულს მისგან არ იღებს. "წელს უცხოელებისაგან მხოლოდ 10 ათასი დოლარი და 5500 ევრო მივიღე. ძირითადად რუსეთის ბიუჯეტიდან გადმორიცხული თანხების ხარჯზე ვიბრძვი," - განაცხადა მან. ამასთან, ის ასახელებს იმ თანხასაც, რაც რუსეთში განხორციელებული ტერაქტები დაუჯდა. თვითმფრინავების აფეთქებისათვის მზადება 4 ათასი დოლარი დაჯდა, კაშირსკის გზატკეცილზე და მეტროს სადგურ "რიჟკაიასთან" აფეთქება - 7 ათასი დოლარი, ხოლო ბესლანის სკოლის აღება 8 ათასი ევრო. რაც შეეხება იარაღს და ასაფეთქებელ მოწყობილობებს, ბასაევის განცხადებით, ყველაფერი სამხედრო ნადავლი გახლდათ და მთელი ფული მხოლოდ ალჭურვილობასა და საკვებზე დაიხარჯა.



შამილ ბასაევი სრულ პასუხისმგებლობას "კრემლის ჯალათს" - პუტინს აკისრებს

ბასაევი რუსი სამართალდამცავებისაგან განსხვავებულ ინფორმაციას ავრცელებს ასევე ბესლანში მოქმედი ტერორისტების რაოდენობის შესახებაც. მისი თქმით, 33 ტერორისტიდან 12 ჩეჩენი მამაკაცი და 2 ჩეჩენი ქალი, 9 ინგუში, 2 არაბი, 2 ოსი, 1 ყაბარდოელი, 1 თათარი და 1 გურანი იყო. მათ არა მაგასი (მაგომედ ევლოევი) ან რუსლან ხუჩბაევი (როგორც ამას რუსი სამართალდამცავები და სპეცსამსახურები ვარაუდობდნენ), არამედ პოლკოვნიკი ორსტხოევი ხელმძღვანელობდა.

ჩეჩენი ბოევიკების ლიდერის თქმით, მათი მოთხოვნები რუსეთის სპეცსამსახურებისათვის თავიდანვე ცნობილი იყო. ეს მოთხოვნები ინგუშეთის ყოფილ პრეზიდენტს რუსლან აუშევს გადასცეს, რომელშიც, ასევე, ბასაევის პუტინისადმი მიმართვაც გახლდათ. ამავე დროს, აუშევს გადასცეს ვიდეოკასეტა, რომელსაც რუსებმა რატომლაც "ცარიელი" უწოდეს და რომელზეც პუტინისადმი მძევლების მიმართვა იყო დაფიქსირებული. ბასაევის თქმით, ინგუშეთში 22 ივნისს დაკავებული ბოევიკების გათავისუფლების მოთხოვნა არსად ყოფილა ნახსენები. მათ უმთავრეს მოთხოვნას ჩეჩნეთში საომარი მოქედებების შეწყვეტა და რუსეთის ჯარების ქვეყნიდან გაყვანა წარმოადგენდა.

რაც შეეხება უშუალოდ სკოლის შტურმს და შენობაში მომხდარ აფეთქებებს, ჩეჩენი საველე მეთაური აცხადებს, რომ არანაირ შემთხვევით აფეთქებას ადგილი არ ჰქონია. მისი თქმით, იგი თვითონ ამზადებდა აღნიშნულ დაგჯუფებას ათი დღის მანძილზე. 20 ნაღმიდან შემთხვევის ადგილზე აღმოაჩინეს ოთხი აუფეთქებელი ნაღმი, რაც, ბასაევის თქმით, წარმოუდგენელია. იგი აცხადებს, რომ 20 ნაღმისაგან შემდგარი ჯაჭვი ორივე მხრიდან იყო ჩაკეტილი და ერთის აფეთქების შემთხვევაში, ყველა ერთდროულად აფეთქდებოდა. კალათბურთის ფარებზე დამონტაჟებული ნაღმები სრულიად უვნებელი დარჩა. ამასთან, ნაღმებში საერთო რაოდენობით 30 ათასზე მეტი ნამსხვრევი იყო, სპორტული დარბაზის კედლებზე კი ნამსხვრევების კვალი პრაქტიკულად არ შეინიშნებოდა.

ბასაევის თქმით, შტურმის დღეს პოლკოვნიკი ორსტხოევი მას მობილური ტელეფონით ესაუბრა და აღნიშნა, რომ რუსები სამართავ პულტებს ესროდნენ და სადენებს ჭრიდნენ. თავად ტერორისტებს კი სადენების ჯაჭვის შეცვლა არც კი უცდიათ. "უკანასკნელი იდიოტიც კი არ დაიწყებს სადენების ჯაჭვის შეცვლას ოპერაციის მსვლელობისას, მით უმეტეს იმ მომენტში, როდესაც შენობას მტრის მანქანა უახლოვდება," - განმარტავს ბასაევი. ის აფეთქებებსა და მძევლების დახოცვის ფაქტზე მთელ პასუხისმგებლობას რუსულ სპეცსამსახურებს აკისრებს.

ბასაევი აღიარებს, რომ ბესლანში საშინელი ტრაგედია დატრიალდა, თუმცა აღნიშნავს, რომ "კრემლის ჯალათმა", საკუთარი იმპერიული ამბიციებისა და სავარძლის გამო, ასობით ბავშვის და მოზრდილის სიცოცხლე შეიწირა, როდესაც სკოლაზე შტურმის განხორციელების ბრძანება გასცა. "დღეს პუტინი თავხედურად ცდილობს დანაშაულის მთლიანად ჩვენზე გადმობრალებას და ამასთან, ე.წ. "საერთაშორისო ტერორიზმს" გვაკერებს, რათა მსოფლიოს დახმარება მოიპოვოს. ამ დროს, ის, რომ "ჩეჩნეთი რუსეთის საშინაო საქმეა", ავიწყდება," - ამბობს ბოევიკების ლიდერი.

"რიიადუს-სალიხიინის" შაჰიდების ბრიგადა მთელ პასუხისმგებლობას პუტინსა და მსოფლიო ლიდერებს აკისრებს, რომლებმაც მას "ამ სასაკლაოზე კურთხევა მისცეს". ამიტომ, ბასაევი გაერო-ს, ევროკავშირს და ყველა დაინტერესებულ მხარეს ბესლანში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით დამოუკიდებელი და საჯარო გამოძიების წარმოებისაკენ მოუწოდებს. "ჩვენ მზად ვართ, ყოველგვარი დახმარება გავწიოთ აღნიშნული მოვლენის გამოსაძიებლად და პრაქტიკულად, ნებისმიერი სახის ინფორმაცია წარმოვადგინოთ," - აცხადებს იგი.

## მოკლედ

**ევროპა-აშშ.** ევროპულმა "სამეულმა" - საფრანგეთი, გერმანია და დიდი ბრიტანეთი - აშშ-სთან კომპრომისს მიაღწია ირანთან დაკავშირებული რეზოლუციის პროექტზე, რომელიც განსახილველად ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მმართველ საბჭოს უნდა გადაეცეს. მიღწეული შეთანხმების მიხედვით, აშშ-მ უარი თქვა, რეზოლუციის პროექტში ჩართულ იქნეს "ულტიმატუმი", რომლითაც ირანი ვალდებული იქნება, ფარდა ახადოს ბირთვული პროგრამის დეტალებს 31 ოქტომბრამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში ნოემბერში ეს საკითხი გაერო-ს უშიშროების საბჭოს გადაეცემა განსახილველად. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოში ირანის წარმომადგენლის ჰუსეინ მუსავიანის განცხადებით, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების ძალით ირანს ურანის გამდიდრებაზე მუშაობის უფლება აქვს. რაც შეეხება ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მიერ მიღებულ რეზოლუციას, მუსავიანი მას "პოლიტიკურს" უწოდებს და არა "ლოგიკურს". ირანის მიერ ურანის გამდიდრებაზე მუშაობა მხოლოდ სამოქალაქო მიზნებითაა ნაკარნახევი და არა სამხედრო მოსაზრებებით. დიპლომატიური წყაროების თანახმად, ევროპული "სამეული" დათანხმდა რეზოლუციის ტექსტს, რომელიც ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან თანამშრომლობაზე თეირანის უარის შემთხვევაში "სხვა მეთოდების" შესაძლო გამოყენებასაც ითვალისწინებს. შაბათს, ან უკიდურეს შემთხვევაში ორშაბათს "სამეულისა" და აშშ-ს ერთობლივი პროექტი ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს საბჭოს სხდომაზე იქნება გატანილი. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**ევროპა.** გუშინ ჰოლანდიაში ქალაქ ნორდვეიკში ორდღიან არაოფიციალურ შეხვედრაზე ევროკავშირის 25 წევრი-სახელმწიფოდან ხუთმა ხელი მოაწერა ევროპული ჟანდარმერიის კორპუსის შექმნის მიზნით მომზადებულ პოლიტიკურ დეკლარაციას. დოკუმენტს ხელი მოაწერეს საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის, პორტუგალიისა და ნიდერლანდების სამხედრო უწყებების ხელმძღვანელებმა. ევროპული ჟანდარმერიის კორპუსი საფრანგეთის ჟანდარმერიისა და იტალიის კარაბინერთა კორპუსის ანალოგიური იქნება. შტაბბინა განთავსდება ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ ვიჩენცაში. თავდაპირველად, კორპუსის შემადგენლობა 800-დან 900 ადამიანით განისაზღვრება, მომავალში კი მათი რაოდენობა 3000-ს მიაღწევს. ევროპული ჟანდარმერიის კორპუსის მიზანი სამშვიდობო მისიის შესასრულებლად ოპერატიული მზადყოფნა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და საპოლიციო ფუნქციების შესრულება იქნება. **24 საათი**

■ ■ ■

**აშშ.** ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გამოაქვეყნა ყოველწლიური სია იმ სახელმწიფოებისა, რომლებიც ნარკოტიკების არალეგალურ მწარმოებლებსა და ასევე ნარკოტიკული საშუალებების სატრანზიტო ქვეყნებს წარმოადგენენ. ესენი არიან: ავღანეთი, ბაჰამის კუნძულები, ბირმა (მიანმა), ბოლივია, ბრაზილია, ვენესუელა, ვიეტნამი, ჰაიტი, გვატემალა, დომინიკის რესპუბლიკა, ინდოეთი, ჩინეთი, კოლუმბია, ლაოსი, მექსიკა, ნიგერია, პაკისტანი, პანამა, პარაგვაი, პერუ, ეკვადორი და იამაიკა. წინა წლის "შავი სიისგან" წლევანდელი სია მხოლოდ იმით გამოირჩევა, რომ წელს მასში უკვე აღარ ფიგურირებს ტაილანდი. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**ირანი.** გუშინ ირანმა უარყო ამერიკული საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაცია თეირანის სამხრეთ-აღმოსავლეთით ვერამინის რაიონში ბირთვული იარაღის გამოცდის შესახებ. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოში ირანის დელეგაციის წარმომადგენლის ჰუსეინ მუსავიანის განცხადებით, აშშ-ს პრესისა და ტელევიზიების მიერ გავრცელებული ინფორმაცია ფოტოებითურთ "სრული სიყალბე და მონაჭორია". მუსავიანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვერამინის რაიონში "არავითარი ბირთვული იარაღის გამოცდა არ მიმდინარეობს". **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**თურქეთი.** თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ევროკავშირს მიმართა მოთხოვნით, "არ ჩაერიონ თურქეთის საშინაო საქმეებში". ეს განცხადება რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა მას შემდეგ გააკეთა, რაც ევროკომისიის ხელმძღვანელობამ უკმაყოფილება გამოთქვა თურქეთის ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიღების შეჩერების გამო. აღნიშნული კოდექსის შეჩერება კი თურქეთის პარლამენტარების მიერ "ცოლ-ქმრული ღალატის სასჯელთან დაკავშირებით" საკითხის დიდხანს განხილვამ გამოიწვია. თურქეთის ტელევიზიით გამოსვლისას პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ "თურქეთი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა პასუხობდეს იმ კრიტერიუმებს, რაც ევროკავშირში ინტეგრაციასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების დასაწყებადაა საჭირო. არავინ უნდა ახორციელებდეს თურქეთზე ზეწოლას ევროკავშირში გაწევრიანების თემატიკის გამოყენებით". **როიტერსი**

■ ■ ■

**ავღანეთი.** 9 ოქტომბერს დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებში რეგისტრირებულ 18 კანდიდატს თალიბები დაემუქრნენ. ამის შესახებ განცხადება მოძრაობა "თალიბანის" წარმომადგენელმა აბდულ ლატიფ ჰაკიმიმ გუშინ სააგენტო "ფრანს-პრეს"-თან ინტერვიუში გააკეთა. იმას, რომ თალიბების მუქარა არცთუ უსაფუძვლოა, ავღანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში პაქტიას პროვინციაში პრეზიდენტის ჰამიდ ყარზაის დაგეგმილი წინასაარჩევნო ვიზიტის გადადებაც მოწმობს. აღნიშნულ რაიონში პრეზიდენტის ვერტმფრენის სავარაუდო დაშვების ადგილზე რაკეტა აფეთქდა. **24 საათი**

# ერაყის უიმედო მომავალი

## აშშ ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს "სრულიად საიდუმლო" დოკუმენტი

*ერაყში დემოკრატიის დასამკვიდრებლად შეჭრილ კოალიციას ბოლო დროს არნახული ძალისხმევის ფასად უხდება მეტნაკლებად სტაბილური ვითარების შენარჩუნება. ომი, რომელიც ოფიციალური განცხადებით 2003 წლის მაისში დასრულდა, დღესაც გრძელდება და ასობით ამერიკელისა და გაცილებით მეტი ერაყელის სიცოცხლე ეწირება მსხვერპლად. დაახლოებით, მიმდინარე წლის აპრილიდან მოყოლებული, თითოეული დღე აფეთქებებით, სისხლიანი შეტაკებებით, გატაცებულ მძევალთა დრამატული ისტორიებით, თითქმის არაფრით განსხვავდება ერთმანეთისგან. ომამდე აცხადებდნენ, რომ ახალი, დემოკრატიული ერაყის აშენება ძალიან იოლი იქნებოდა, მით უმეტეს ქვეყნის მდიდარი ნავთობსაბადოების დახმარებით. დღეს კი აღმოჩნდა, რომ დივერსიების გამო ნავთობიდან ფულის მიღებაც რთული ყოფილა. ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ ერაყის მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული პროგნოზებიც არ გამოიყურება დამაიმედებლად.*

ნიკა თარაშვილი

ბაღდადში გუშინ კიდევ ერთი მძლავრი აფეთქება მოხდა. ერაყის დედაქალაქში, ამჯერად, დანაღმული ავტომანქანა პოლიციის ცენტრალურ ოფისთან აფეთქდა. "როიტერსი" 13 დაღუპულისა და ათობით დაჭრილის შესახებ იტყობინება. თუმცა, იმავე "როიტერსს" ერაყის ოფიციალური წყაროები "უზარმაზარი" მსხვერპლის შესახებ აწვდიან ინფორმაციას. სავარაუდოდ, დაღუპულთა შორის პოლიციელებიც არიან.

გუშინ აფეთქებამდე ცოტა ხნით ადრე ბაღდადის ცენტრში სროლა ისმოდა. ამერიკელი სამხედროების განცხადებით, მანქანაში მჯდომი ორი მეამბოხე მოკლეს, თუმცა აფეთქების თავიდან აცილება მაინც ვერ მოხერხდა.

აღსანიშნავია, რომ მეამბოხეთა მიერ მოწყობილი აფეთქებები ბოლო დროს ყველაზე მეტად დაცულ ბაღდადის ცენტრალურ რაიონებშიც გახშირდა. სამშაბათს ანალოგიური სახით მოწყობილმა ტერაქტმა პოლიციის განყოფილებასთან 47 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ბაღდადის აფეთქებას, აშშ-ს საჰაერო ძალების მიერ მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარე ფალუჯის დაბომბვა უსწრებდა წინ.

უნდა ითქვას, რომ ერაყში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, ნაკლებად დამაიმედებელი პროგნოზები კეთდება. გუშინ "CBSNews"-მა გამოაქვეყნა აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მოხსენება, რომელშიც ერაყში სიტუაციის განვითარების რამდენიმე შესაძლებელ სცენარზეა საუბარი. ამერიკელი ანალიტიკოსები ერაყს არაფერ კარგს არ უწინასწარმეტყველებენ.

პრეზიდენტ ბუშისთვის მომზადებული დაზვერვის შეფასება მიმდინარე წლის ივლისიდან 2005 წლის ბოლომდე პერიოდს მოიცავს. თუმცა, ოფიციალური პირები აღნიშნავენ, რომ დასკვნები 2003 წლის იანვრიდან, ერაყის კამპანიის დაწყებამდე მოწოდებულ დაზვერვის მონაცემებზე დაყრდნობით არის გაკეთებული.

ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ერაყში ფართომასშტაბიანი სამოქალაქო ომი დაიწყება, აღნიშნულია მოხსენებაში. მასში მოცემულია, ამერიკის სპეცსამსახურების მიერ განხილული პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია ერაყში, ასევე შეფასებებია გაკეთებული ქვეყანაში უსაფრთხოებასა და სტაბილურობასთან დაკავშირებით. გაკეთებული პროგნოზების მიხედვით, მოხსენების ავტორები მიიჩნევენ რომ საუკეთესო შემთხვევაში ერაყში სტაბილურობა "მყიფე" იქნება, ხოლო უარეს შემთხვევაში - 2005 წლის ბოლოს ქვეყანაში ფართომასშტაბიანი სამოქალაქო ომი დაიწყება.




გუშინდელი აფეთქებაც ძვირი დაუჯდა ერაყის ახალ ხელისუფლებას.



ომამდე, აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლები ერაყის რეკონტრუქციას ნავთობიდან მიღებული შემოსავლებით გეგმავდნენ.

სააგენტოს ინფორმაციით, მოხსენებამ დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ჯონ მაკლაფლინის ხელშიც გამოიარა. აღსანიშნავია, რომ ეროვნული უსაფრთხოების საბჭოში აშშ-ს წამყვანი ანალიტიკოსები მუშაობენ ქვეყნის სხვადასხვა სპეცსამსახურებიდან. სწორედ, მსგავსი მოხსენებების საფუძველზე ხდება საგარეო პოლიტიკისა და დაზვერვის მუშაობის დაგეგმვა.

საგულისხმოა, რომ მოხსენებაში გამოთქმული სპეციალისტთა შეფასებები რადიკალურად განსხვავდება ჯორჯ ბუშისა და სხვა ოფიციალური პირების განცხადებებისაგან, აღნიშნავს "CBSNews". "ჩვენ პროგრესის საფუძველი უკვე შევქმენით," - ამბობდა გასულ თვეში პრეზიდენტი ბუში. თუმცა, უკანასკნელი კვირების მოვლენებმა ცხადად დაგვანახა, რომ უსაფრთხოების სფეროში უამრავი პრობლემები წარმოიშვა: ადამიანთა გამტაცებლების ქმედებებმა უფრო მასობრივი და თავხედური ხასიათი მიიღო. მაგ., ოთხშაბათს ორი ამერიკელი და ერთი ბრიტანელი გაიტაცეს ბაღდადის ცენტრალურ რაიონში მდებარე ოფისიდან. ასევე, 7 სექტემბერს საკუთარი ოფისებიდან გაიტაცეს ორი იტალიელი ჟურნალისტი ქალიც.

მეორე პრობლემა აშშ-ს დაღუპულ და დაჭრილ ჯარისკაცთა რაოდენობის ზრდას უკავშირდება. სექტემბერში მათი რიცხვი 1000-ს გადასცდა, ანუ მას შემდეგ, რაც 2003 წლის მაისში სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამარცხება ამცნეს მსოფლიოს, 800 ჯარისკაცია დაღუპული. როგორც პენტაგონი აცხადებს, მარტო გასულ კვირას 200 ამერიკელი დაიჭრა. სულ კი 2003 წლის მარტში კამპანიის დაწყებიდან, "სიბიეს"-ის ინფორმაცით, 7245 ჯარისკაცია დაჭრილი.

მესამე პრობლემა ერაყის უსაფრთხოების ახალი ძალების ჩამოყალიბებისას წარმოქმნილი სიძნელეებია. დღეისათვის მათი რიცხვი 95 ათასია, რაც ძალიან შორსაა სავარაუდოდ აუცილებელი 200 ათასისგან. გარდა ამისა, მეამბოხეებთან შეტაკებებმა მათი არცთუ დიდი ქმედითი ძალაც გამოააშკარავა, რასაც დეზერტირობის დიდი მაჩვენებელიც ემატება.

კიდევ ერთი პრობლემა ამბოხებულთა რიცხვის ზრდაა. სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით ცხადი ხდება, რომ ერაყში მათი რიცხვი 5 ათასიდან 20 ათასამდე გაიზარდა.

ერაყში ვითარების ნორმალიზაციას ისიც ართულებს, რომ ჯერჯერობით დღემდე არ შემწყდარა დიპლომატიური კამათი ერაყული კამპანიის კანონიერება-უკანონობაზე. სამი დღის წინ გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა მკვეთრად გააკრიტიკა აშშ-ს ერაყში შეჭრა და აღნიშნა, რომ ეს უკანონო ნაბიჯი იყო და, შესაბამისად, გაერო-ს ქარტიას ეწინააღმდეგებოდა. მომდევნო დღეს აშშ-ს კრიტიკა გაისმა ევროკავშირის საგარეო საქმეთა ევროკომისარ კრის პატენის მხრიდანაც. "მშვიდობის, თავისუფლებისა და დემოკრატიის იმპერიის დასამყარებლად ამერიკის ნეოკონსერვატიულმა, ერთპიროვნულმა მცდელობამ, აშკარაა, სრული მარცხი განიცადა," - აცხადებს ბრიტანელი ევროკომისარი.

ამერიკელი სამხედრო ხელმძღვანელები აღიარებენ, რომ არსებობს ისეთი "გაუვალი" რაიონები, რომელსაც მეამბოხეები აკონტროლებენ და აშკარაა, რომ ერაყის უსაფრთხოების ძალების სრულ ჩამოყალიბებამდე, კოალიციას არ შეუძლია მათზე იერიშის მიტანა. ერაყის ახალი უსაფრთხოების ძალების ჩამოყალიბება დეკემბერში უნდა დასრულდეს, ხოლო საყოველთაო არჩევნები ერაყში იანვარშია დაგეგმილი. ასე რომ, იანვარში არჩევნების ჩატარება სერიოზულ ეჭვს იწვევს.

როგორც გუშინ აღნიშნავდნენ, ეს დოკუმენტი "სრულიად საიდუმლო" გრიფით იყო დაცული. რა გზებით მოხვდა იგი პრესის ხელში, ჯერჯერობით უცნობია. ერთი რამაა საყურადღებო, - დაზვერვის ცენტრალური სააგენტოსა და თეთრი სახლის წარმომადგენლები კატეგორიულად ამბობენ უარს აღნიშნული მოხსენების კომენტირებაზე.

# თორნიკე ერისთავის №2

*ამ მისამართზე საინტერესო სახლი დგას. იქ უმწეო ოჯახის შვილები, ქუჩის ბავშვები, მარტოხელა პენსიონრები თავს კარგად გრძნობენ. ეს მათ სიარულზეც ეტყობათ, 90 წელს მიტანებულ მოხუცებსაც კი. ძველ, ბრეჟნევის დროინდელ ბადურებში მათ ულუფებით სავსე თბილ-თბილი ქილები, პური უწყვიათ და გასასვლელისკენ საქმიანად მიტუსტუსებენ, რომ სადილი შინ მიირთვან. ნაწილი მათი დამპურებლის - "კარიტასის" სასადილოში შეძენილ მეგობრებთან ერთად უზის მაგიდას და კუთვნილ სამ თავ საკვებს თანატოლთან საუბრის ფონზე შეექცევა. შაბათ-კვირის გარდა, ისინი აქ თითქმის ყოველდღე ხვდებიან ერთმანეთს. ყველაფერი გემრიელია და მოპყრობითაც არაჩვეულებრივად გვეპყრობიან, - ამბობენ მოხუცები. თორნიკე ერისთავის №2-ში მდებარე "კარიტასის" სასადილოში დღეს 440 ადამიანი ორ ცვლად იკვებება. დღის ბოლოს დარჩენილი საკვები კი სხვა, ამ სიაში ვერმოხვედრილ, ე.წ. უტალონო მოხუცებს მიაქვთ. 32 დავრდომილი მოხუცისთვის სპეციალურ ჯგუფს ულუფა შინ მიაქვს. კვირაში ერთხელ "კარიტასი" ხორციან საკვებს კოჯრისა და კასპის ბავშვთა სახლების ბინადრებს უგზავნის. მისი სასადილოთი სარგებლობს კიდევ 100, უმწეო ოჯახისა თუ ქუჩის ბავშვი. სასწავლო წლის დაწყების შემდეგ მათი რიცხვი კიდევ 60-ით გაიზრდება. თუმცა, ეს ყველაფერი არ არის.*

მაკა ჭაიანი

თორნიკე ერისთავის №2-ში მდებარე ვრცელ, ოთხსართულიან შენობაში "კარიტასის" სამი პროექტი ფუნქციონირებს. 2002 წლის ნოემბერში კომპლექსს პირველი ბინადრები გაუჩნდა - 23 ქუჩის ბავშვი, პროექტიდან "ჩვენი სახლი". ისინი ახალ მისამართზე 2002 წლის ნოემბერში გადავიდნენ. გასული წლის იანვარში კომპლექსში გადავიდა პროექტი "ხელოვნების სახლი", რომელსაც იქამდე ვარკეთილში ჰქონდა ბაზა და 100 უმწეო ოჯახის ბავშვს აერთიანებს. აქვეა პროექტი, რომელიც ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ - მარტოხელა, დავრდომილი მოხუცებისა და მრავალშვილიანი ოჯახის წევრების გამოკვება. გარდა ამისა, თორნიკე ერისთავის №2-ში გადავიდა საზოგადოება "მკურნალი". მასზე "24 საათი" ადრე მოგითხრობდათ. ეს ორგანიზაცია ქუჩის ბავშვებსა და უმწეო ოჯახების შვილებს ხელობას ასწავლის და მათ დასაქმებასაც ახერხებს.

**"ჩვენ აქ "კარიტასის" გენერალური დირექტორის, პადრე ვიტორდის დახმარებით მოვხვდით,** - აცხადებს "მკურნალის" ხელმძღვანელი, წმინდა პანტელეიმონ მკურნალის ეკლესიის წინამძღოლი გიორგი ჩაჩავა, **- იგი ჩვენს საზოგადოებას ესტუმრა და, როცა იქაური პირობები ნახა, კომპლექსში გადმოსვლა შემოგვთავაზა. პირობა ის იყო, რომ აქ მყოფი ბავშვებისთვის, რა თქმა უნდა, სურვილის მიხედვით, ხელობა უნდა გვესწავლებინა. ჩვენ ამ პირობას ვასრულებთ. ჩვენს 30 ბავშვთან ერთად, ხელობას აქაური ბავშვებიც ეუფლებიან. ცოტა ხანში აქვე უნდა გადმოვიდეს ჩვენი ავტოსახელოსნოც, რომელიც ახლა ნუცუბიძეზე მოქმედებს. იქ კიდევ 15 ბავშვია დასაქმებული. "კარიტასი" ავტოსახელოსნოსთვის ულტრათანამედროვე აღჭურვილობას ყიდულობს. ამ სახელოსნოს ბაზაზე კარგი ხელოსნების მომზადებასაც შევძლებთ. დასაქმების პრობლემა არც მათ ექნებათ."**

დასაქმების შესაძლებლობას ბავშვებს "კარიტასის" პროექტი "ხელოვნების სახლიც" აძლევს. თექა, გობელენი, ფარდაგების ქსოვა - ეს ის გახლავთ, რასაც მსურველები ამ პროექტის ფარგლებში ეუფლებიან. **"როცა სახელოსნოებში მუშაობენ, შეიძლება ბევრ ბავშვს ჰგონია, რომ თამაშობს, მაგრამ როცა ცხოვრების გზაზე გავა, ხელთ საქმე ექნება, -** ამბობს "კარიტასის" ახალგაზრდული პროექტების კოორდინატორი თამარ შარაშიძე, **- ჩვენი ბენეფიციარებიდან მრავლად არიან ისეთები, ვისაც ასაკის გამო აქედან წასვლა მოუხდა და ახლა საკუთარი შრომით შოულობს ფულს. როცა საშუალება გვაქვს, მათ ჩვენთანვე ვასაქმებთ. მაგალითად, პროექტ "ჩვენს სახლში" პედაგოგად მუშაობს ჩვენი ყოფილი ბენეფიციარი, რომლისთვისაც უცხო არ არის ის პრობლემები, რომელსაც მისი მოწაფეები განიცდიან. საინტერესო შემთხვევა გვქონდა ვაზისუბანში. იქ მოქმედებს ჩვენი ახალგაზრდული ცენტრი, სადაც მსგავსი წრეები გვაქვს გახსნილი. იქაც 100 ბავშვი დადის, ვმუშაობთ მათ მშობლებთანაც. ბევრი ბავშვის მშობელმა კომპიუტერზე მუშაობა იქ ისწავლა და შემდეგ ეს სამუშაოს შოვნაში გამოადგა."**

უმწეო ოჯახების ბავშვები თორნიკე ერისთავის №2-ში სასკოლო მეცადინეობამდე ან მის შემდეგ მიდიან - გააჩნია, რომელ ცვლაში უწევთ სწავლა. სადილობენ და მერე, იქაურ მასწავლებლებთან ერთად, გაკვეთილებს ამზადებენ და წრეებში მეცადინეობენ. კომპლექსში მცხოვრები ბავშვები მე-12 სკოლაში დადიან. "კარიტასში" ძალიან ემადლიერებიან ამ სკოლის ხელმძღვანელობას, პირადად ქალბატონ ნანა ჯულელს. იქაური მასწავლებლების ნაწილი ბავშვებს კომპლექსშიც მიჰყვება და გაკვეთილების მომზადებაში ეხმარება. ეს ყველაზე მეტად პატარებს მოსწონთ. "მასწავლებელო, შეიძლება, დედა დაგიძახოთო?" - არაერთხელ უკითხავთ მასწავლებლებისთვის. ბავშვებისთვის კომპლექსში ინდივიდუალური და ჯგუფური თერაპიის ჯგუფებიც მუშაობს. მათი კონსულტანტი ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი დავით ზურაბაშვილია. გახსნილია კომპიუტერის, უცხო ენის კლასი, თეატრალური დასი, ნაციონალური ცეკვის ანსამბლი. ორი უკანასკნელი იტალიური გასტროლებითაც იწონებს თავს.

**"ცეკვის ანსამბლი სერიოზული წარმატებით სარგებლობს,** - კმაყოფილებით აღნიშნავს თამარ შარაშიძე, **- გასტროლებით იყო ვერონაში, ტოლედოში. ახლა, 3 ოქტომბრისთვის, ტურინის ფესტივალზეა მიპატიჟებული."** 14 წლის თათია ახვლედიანს ვერც წარმოედგინა, თუ ოდესმე იტალიას ნახავდა. ხელმოკლე ოჯახის შვილს (გოგონას მამა არა ჰყავს, დედა პენსიონერია, ძმა კი - სტუდენტი) ამის საშუალება "კარიტასის" ნაციონალური ცეკვის ანსამბლმა მისცა. "ბედნიერი ვარ, ძალიან ბედნიერი..." - მორცხვად იღიმება თათია და მოცეკვავის კარიერაზე ოცნებობს. სარეპეტიციო ოთახიდან მუსიკა და მხიარული შეძახილები ისმის. გვერდით ოთახებშიც დიდი ჟრიამულია. იქ მაგიდის ჩოგბურთს თამაშობენ. მიუხედავად ამისა (თუ ზუსტად ამის გამო), ირგვლივ საოცარი სიმყუდროვეა. გარედან შენობა მასიური და ოფიციალური ჩანს, მაგრამ როცა ჩაუვლი კარებს, რომელსაც დელფინები და ცხენები ახატია (პირველი - გოგოების, მეორე კი ვაჟების ოთახების მიმანიშნებელია), განწყობა გეცვლება. აღარაფერს ვამბობ უნაკლოდ მოწყობილ ოთახებზე. იქ ყველაფერი ახარებს თვალს, ისეთი ფერებია. ბავშვებისთვის, რომლებიც ასეთ პირობებში ქუჩიდან მოხვდნენ, ეს ცოტა არ არის.

**"მათი აქ მოყვანა იოლი არ ყოფილა. რაც ყველაზე მოულოდნელი იყო, წინააღმდეგობას, ძირითადად, ამ ბავშვების მშობლები გვიწევდნენ. მათ ერჩივნათ, ბავშვები ისევ ქუჩაში ყოფილიყვნენ და "ფული ეკეთებინათ". დედა ან მამა, ერთი მშობელი მაინც ყველას ჰყავდა. სახლიც ჰქონდა - ჩამოსულებზე ბევრად მეტნი თბილისელები იყვნენ. ბავშვებმა არ იცოდნენ წელიწადის რომელი დრო იყო, ვერ წერდნენ, ვერ კითხულობდნენ. ნაწილთან ჩვენმა მუშაობამ გაჭრა და დღეს ისინი აქ არიან. გვყავს 12 წლის ბავშვი, რომელიც პირველ კლასში სწავლობს. პრობლემები იყო მათი საბუთების მოგროვების თვალსაზრისითაც - ბევრს დაბადების მოწმობაც არ ჰქონდა აღებული,** - იხსენებს თამარ შარაშიძე, **- სურვილისამებრ, შაბათ-კვირას ეს ბავშვები შინ მიდიან. დანარჩენ დღეებში აქ არიან და სხვებთან ერთად სწავლობენ, ხელობას ეუფლებიან. ვცდილობთ, მათთვის გავაკეთოთ ყველაფერი, რაც შეგვიძლია."**

ამ მცდელობას მყარ საფუძველს უქმნიან "ქორდეიდი", გერმანიის "კარიტასი", ჰოლანდიისა და იაპონიის მთავრობები. თორნიკე ერისთავის №2-ში შენდება კიდევ ერთი სახლი, რომელიც დამატებით 100 ბავშვის მიღებას შეძლებს. იქვე აშენდება მართლმადიდებლური ტაძარი. "კარიტასი" კათოლიკური ორგანიზაციაა, თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია იმისთვის, რომ სახლის ბავშვები მართლმადიდებლურად მონათლულიყვნენ. **"ის, რაც ამ მისამართზე ხდება, მხოლოდ კარგ ემოციებს აღძრავს, -** აცხადებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე ალექსანდრე დიდებულიძე, **- ჩვენ ვფიქრობთ იმაზე, რომ მოვახდინოთ კომპლექსში მოქმედი სახელოსნოების კურსგავლილთა სერტიფიცირება, რომ მათ სამსახურის შოვნა არ გაუჭირდეთ."** ბოლო ინფორმაციით, "კარიტასის" ახალგაზრდულ პროექტებთან თანამშრომლობას თბილისის მერიაც ეშურება. საუბარია ახალი სახელოსნოების გახსნაზე. ორგანიზაციის დონორებს შორის ქართველი ბიზნესმენები არ ფიგურირებენ. თუმცა, ეს გასაკვირი არც არის. განსაკუთრებული აქტიურობა მათ არც მსგავსი ტიპის ადგილობრივი ორგანიზაციების დახმარებაში გამოუჩენიათ. სამწუხაროდ, ქართულ ბიზნესს ქველმოქმედება უფრო სათავისოდ ესმის.



*2002 წლის ნოემბერში კომპლექსს პირველი ბინადრები გაუჩნდა - 23 ქუჩის ბავშვი.*



*"მათი აქ მოყვანა იოლი არ ყოფილა. რაც ყველაზე მოულოდნელი იყო, წინააღმდეგობას, ძირითადად, ამ ბავშვების მშობლები გვიწევდნენ."*



*"ის, რაც ამ მისამართზე ხდება, მხოლოდ კარგ ემოციებს აღძრავს".*



*ყველაფერი გემრიელია და მოპყრობითაც არაჩვეულებრივად გვეპყრობიან, - ამბობენ მოხუცები.*

გოგიტა [illegible] ფოტოები

# საუკუნის სადავო პროექტი

*გუშინ თბილისის საოლქო სასამართლომ არასამთავრობო ორგანიზაცია "მწვანე ალტერნატივის" სარჩელი განიხილა. არასამთავრობო ორგანიზაციის წევრებმა სარჩელი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია "პეტროფაგის" წინააღმდეგ შეიტანეს. საქმე გარემოსდაცვითი ნებართვის არასწორად გაცემას ეხება.*

თამარ დვალი

**"შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი წინა მთავრობა ვერ აცნობიერებდა, რას აწერდა ხელს და რა ხელშეკრულებებს აფორმებდა უცხოურ კომპანიებთან. პრობლემა, ძირითადად, სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარეობდა,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას "მწვანე ალტერნატივის" წევრმა მანანა ქოჩლაძემ.

"მწვანე ალტერნატივის" სარჩელი ეხება გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ 2003 წლის 24 დეკემბერს "პეტროფაგისთვის" გაცემულ გარემოსდაცვით ნებართვას პროექტზე, რომელიც ითვალისწინებდა მარნეულის შესასვლელთან ნავთობსადენის მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მშენებელთა ბანაკის გვერდით, სპეციალურ სათავსებში განთავსებას და მათი დაწვის მიზნით, გარდაბნის რაიონის სოფელ ჯანდარის ტერიტორიაზე გადატანას.

როგორც "მწვანე ალტერნატივაში" განაცხადეს, ამ საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემისას სამინისტრომ არ შეასრულა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნა საზოგადოებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თაობაზე. **"ამასთან, სამინისტრომ დააკმაყოფილა "პეტროფაგის" მოთხოვნა და კომპანია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების ვალდებულებისგან გაათავისუფლა, რისი უფლებაც კანონმდებლობით სამინისტროს არ ჰქონდა,"** - აღნიშნეს ორგანიზაციაში.

გუშინ გარემოს დაცვის სამინისტრომ წარმოადგინა ბრძანება, რომლის მიხედვითაც მინისტრმა გააუქმა ახალი ნებართვა, მაგრამ ამავე დროს "პეტროფაგს" უფლება მისცა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნებართვის საფუძველზე იმოქმედოს, რაც, ქოჩლაძის აზრით, კიდევ ერთი კანონდარღვევაა.

გარემოს დაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ "მწვანე ალტერნატივის" პირველი მოთხოვნა, ფაქტობრივად, დაკმაყოფილებულია, რადგან მინისტრმა უკვე გამოსცა ბრძანება ნებართვის გაუქმების თაობაზე. რაც შეეხება მეორე სადავო საკითხს, რომელიც საჯარო განხილვის მოთხოვნას შეეხება, სამინისტროს წარმომადგენელები ამ მოთხოვნას უსაფუძვლოდ მიიჩნევენ. მოსამზადებელი სხდომის შემდეგ სასამართლო პროცესი 21 ოქტომბრისთვის დაინიშნა.

"მწვანე ალტერნატივა" კიდევ ერთ საკითხს აყენებს მწვავედ. საქმე ეხება სოფელ დგვარს. ეს სოფელი კოდიანას მთის ქვემოთ მდებარეობს და იგი მეწყერსაშიში ზონაა. სოფლის ზემოთ, 900 მეტრში, ნავთობსადენი გადის. მშენებლობა ისე დაიწყო, რომ სოფელზე მისი ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი ნახაზებში საერთოდ არ ყოფილა. ეს სოფელი რუკაზეც კი არ იყო აღნიშნული. ცოტა ხნის წინათ სოფელში რამდენიმე სახლი დაინგრა. **"ასეთი პრობლემური სოფლის არსებობის დამალვა იმას ნიშნავს, რომ ნავთობსადენის მშენებლობისა და ოპერირების ზემოქმედება სოფელზე არავის შეუსწავლია. ევროპის რეკონსტრუქციის ბანკის შეხვედრაზე მოხსენებით გამოვედი და პირველი ადამიანი აღმოვჩნდი, ვინც ამ სოფლის პრობლემატიკას შეეხო. ამ შეხვედრაზე იყვნენ ქართველები, რომლებიც მიმტკიცებდნენ, რომ ასეთი სოფელი საერთოდ არ არსებობს. პოლიტიკა მიმართული იყო იქით, რომ ასეთი პრობლემური ადგილების არსებობა დაემალათ, "** - აღნიშნა ქოჩლაძემ. მისივე თქმით, ამ საკითხის გახმაურების შემდეგ სასწრაფოდ შეიქმნა ამ საქმის შემსწავლელი კომისია, თუმცა, მას არაფერი გაუკეთებია. "მწვანე ალტერნატივამ" ამ საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ომბუდსმენსაც მიმართა, რის შემდეგაც საქმის არსებითი განხილვა დაიწყო.

HEINRICH BÖLL STIFTUNG

**ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო**
**აცხადებს კონკურსს რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამისათვის**
უახლესი ისტორიის, სოციოლოგიისა და მდგრადი ქალაქგანვითარების სფეროებში

**(ახალგაზრდა ისტორიკოსების, სოციოლოგების, იურისტების, პოლიტოლოგების, არქიტექტორებისა და ეკოლოგებისათვის)**

უახლესი ისტორია (1900-2000 წწ.):
- ყოველდღიურობის ისტორია
- ეთნიკური და კონფესიური კუთვნილების ტრანსფორმაცია
- ქალაქის სოციალური და კულტურული ბიოგრაფია
- პოლიტიკური რეპრესიები სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში
- წინააღმდეგობა ტოტალიტარიზმთან სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში 1920-1950-იან წწ.
- დისიდენტობის ისტორია, ეროვნული მოძრაობები და ადამიანის უფლებები სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში 1953 წ. შემდეგ

სოციოლოგია:
- უთანასწორობისა და დისკრიმინაციის პრობლემები
- ხელისუფლების არაფორმალური სტრუქტურები
- რელიგიის როლი თანამედროვე სახელმწიფოსა და საზოგადოებაში
- “ჩვენიანი" და “უცხო" საზოგადოებაში
- გენდერული როლების ტრანსფორმაცია თანამედროვე საზოგადოებაში

მდგრადი ქალაქგანვითარება:
- ქალაქის ეკოლოგიური და სოციალური განახლება
- ქალაქგანვითარების ნორმატიულ-სამართლებრივი და ინსტიტუციონალური სისტემის ანალიზი და წინადადებები
- ქალაქგანვითარების სფეროში გადაწყვეტილებების მიღებისას საზოგადოების მონაწილეობის ფორმები
- საშუალო და მცირე ქალაქების პრობლემები და პოტენციალი
- არქიტექტურა და ხელისუფლება
- ურბანული ტოპოგრაფია

**ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი დამოუკიდებელი პოლიტიკური ფონდია, რომელიც თანამშრომლობს გერმანიის მწვანეთა პარტიასთან. ფონდი ხელს უწყობს პროექტებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების სფეროში, განსაკუთრებით კი გენდერული პოლიტიკისა და ქალთა უფლებების, აგრეთვე ეკოლოგიის სფეროში.**

**რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამის მიზანი**
სასტიპენდიო პროგრამა გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისათვის უშუალოდ სამხრეთ კავკასიის რეგიონში.
პროგრამის მიზანია:
- ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერებს, რათა მათ სოციალურ მეცნიერებათა განახლების საშუალებით რეგიონალური თანამშრომლობის ფარგლებში ჩაატარონ ინდივიდუალური, ინტერდისციპლინარული მეცნიერული კვლევა სამხრეთ კავკასიაში;
- ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიაში მაღალკვალიფიციური პროფესიონალების ქსელის შექმნას.

**კონკურსის პირობები**
რეგიონალური საკვლევი სტიპენდიის მისაღებად განაცხადის შემოტანა შეუძლიათ 1969-1982 წლებში დაბადებულებს, რომლებსაც გააჩნიათ უმაღლესი განათლება და რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. სავალდებულოა ორი უცხო ენის (დასავლეთევროპული და რუსული) კარგად ცოდნა. ყურადღება მიექცევა მეთოდოლოგიურად ინოვაციურ ნაშრომებს, რომლებიც ითვალისწინებენ კვლევის ხარისხობრივ მეთოდებსა და კომპარატივისტიკას.

**ხანგრძლივობა და მოცულობა**
სტიპენდიის ხანგრძლივობა განისაზღვრება 12 თვით - 1.01.2005 - 31.12.2005. სტიპენდიის მოცულობა შეადგენს თვიურად 200 ევროს. დამატებით გათვალისწინებულია თანამდევი პროგრამა სემინარების, საზაფხულო სკოლის, პუბლიკაციებისა და ა. შ. სახით.

**ზოგადი მითითებები**
- სტიპენდია წარმოადგენს ინდივიდუალურ დახმარებას და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებს გარეთა პროექტების დასაფინანსებლად.
- კონკურსანტისთვის არ არის სავალდებულო, იყოს მაძიებელი ან სამეცნიერო დაწესებულების თანამშრომელი.
- სურვილის შემთხვევაში ფონდი სტიპენდიანტს დააკავშირებს მეცნიერ-კონსულტანტებთან.
- ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი ხელმძღვანელობს სქესთა თანასწორობის პრინციპით.
- საკონკურსო ანკეტები შეგიძლიათ იხილოთ რეგიონალური ბიუროს ვებ-გვერდზე: www.boell.ge
- საკონკურსო განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა ა.წ. 31 ოქტომბერი.

**საჭირო საბუთები**
1. თავფურცელი შემდეგი ცალკეული მონაცემებით: სახელი და გვარი; დაბადების წელი; ქვეყანა; სფერო (ისტორია/ სოციოლოგია/ ურბანისტიკა); საკონკურსო თემა; ნაშრომის სათაური
2. განაცხადის ანკეტა (იხ. www.boell.ge)
3. ტაბელარული ავტობიოგრაფია (CV)
4. ესსე (3-5 გვერდი მოცულობით), რომელიც უნდა შეიცავდეს პროფესიულ და პირადულ მოტივაციას (რატომ მაინტერესებს ეს თემა/ რა ვიცი თემის შესახებ/ რა მეთოდებით ვაპირებ თემაზე მუშაობას/ წლიური სამუშაო გეგმა)
5. 2 რეკომენდაცია მეცნიერის ან იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელისაგან, რომელშიც გიმუშავიათ (რა კონკრეტულ გამოცდილებას ან სამეცნიერო ნაშრომს ეფუძნება რეკომენდატორი)
6. უმაღლესი განათლების (ბაკალავრის, მაგისტრის ან 5-წლიანი სწავლების) დიპლომი ნიშნებით
7. (თუკი არსებობს) სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი და შეძლებისდაგვარად მათი ასლები 20 გვერდამდე

**ზემოთაღნიშნული საბუთები (სამეცნიერო ნაშრომების ასლების გარდა) წარმოდგენილ უნდა იქნეს რუსულ ენაზე. განაცხადის არასრული კომპლექტი არ განიხილება. სავალდებულოა სისტემური შრიფტების გამოყენება.**

**საკონკურსო განაცხადი გამოაგზავნეთ ან ჩააბარეთ შემდეგ მისამართზე:**
**ჰ. ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო**
**რადიანის ქ. 5, 0179 თბილისი , info@boell.ge**

# 2006 წლიდან გამოცდაჩაუბარებელი ადვოკატები სასამართლოზე არ დაიშვებიან

ბექა ევგენიძე

*დღევანდელი მონაცემებით, საქართველოს სულ 800 გამოცდაჩაბარებული ადვოკატი ჰყავს. ამ თვის ბოლოს საადვოკატო ტესტირება იუსტიციის საბჭოს ორგანიზებით მეორედ და უკანასკნელად ტარდება. კანონმდებლობის თანახმად, 2005 წლის 1 იანვრიდან ადვოკატობის სერტიფიკატს "ადვოკატთა ასოციაცია" გასცემს, რომელიც, მართალია, საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს, მაგრამ მისი შექმნა სწორედ ადვოკატთა მეორე ტესტირების შემდეგ იგეგმება.*



იური ლობოდინის ფოტო

*2006 წლიდან გამოცდაჩაუბარებელ ადვოკატებს ლიცენზიები ჩამოერთმევათ.*

ამიტომ ადვოკატთა ტესტირების მეორე ეტაპს, რომელიც 18 სექტემბრიდან იწყება და 24 სექტემბრამდე გაგრძელდება, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ალბათ, ამით აიხსნება იუსტიციის საბჭოში შესულ განცხადებათა რაოდენობაც. სულ, საბოლოო მონაცემებით, ადვოკატობის სურვილი 2800-ზე მეტმა იურისტმა გამოთქვა. მათგან 1150-ს - საერთო, 827-ს -სისხლის, ხოლო 829-ს სამოქალაქო სპეციალიზაციით სურს საადვოკატო საქმიანობის გაგრძელება.

ტესტირება 24 სექტემბერს, დილის 10 საათზე, ერთდროულად ჩატარდება თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის მე-2 კორპუსის ფიზიკა-ქიმიის აუდიტორიებსა და ეროვნული ბიბლიოთეკის პირველ და მეორე კორპუსებში.

ჩასაბარებელი ტესტები ადვოკატობის ყველა მსურველს უფასოდ დაურიგდება, რადგან ამერიკის იუსტიციის საბჭომ დააფინანსა. ამ ასოციაციის ხელმძღვანელმა კეროლინ კემბელმა გუშინდელ შეხვედრაზე განაცხადა, რომ, **"ეს არის საქართველოსთვის ძალიან დიდი პროგრესი. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ვინც სერიოზულად მოემზადება, ტესტირებას აუცილებლად გაივლის. პირველ გამოცდაზე გამომცდელთა 70 პროცენტმა ჩააბარა და ახლაც ასეთივე შედეგს ველოდებით. ჩვენი მიზანია, იუსტიციის საბჭოს გავუწიოთ ტექნიკური და მატერიალური დახმარება. ეს არის წინ გადადგმული ნაბიჯი დემოკრატიის განმტკიცებისთვის."**

როგორც იუსტიციის საბჭოს მდივანმა პალიკო კუბლაშვილმა ბრიფინგზე აღნიშნა, 2006 წლიდან გამოცდაჩაუბარებელ ადვოკატებს ლიცენზიები ჩამოერთმევათ.

**"მალე იუსტიციის საბჭოში ახალ კანონს მიიღებენ, რომლის თანახმადაც, 2006 წლიდან ყველა ადვოკატი საკვალიფიკაციო ტესტს გაივლის. იურისტებს, რომლებიც გამოცდას ჩააბარებენ, საშუალება ექნებათ, მონაწილეობა მიიღონ ადვოკატთა ასოციაციის დაფუძნებაში და კვლავინდებურად აწარმოონ საადვოკატო საქმიანობა 2006 წელს კანონის ძალაში შესვლის შემდეგაც,"** - აღნიშნა გუშინ ტესტირებაში მონაწილეებისთვის გამართულ ღია კარის დღეზე იუსტიციის საბჭოს მდივანმა პალიკო კუბლაშვილმა.

როგორც იუსტიციის საბჭო გვპირდება, ტესტირება გამჭვირვალედ ჩატარდება და მას, ჟურნალისტებთან ერთად, უცხოელი დამკვირვებლებიც დაესწრებიან.

# ფინანსური პოლიცია საზოგადოებას ანგარიშს აბარებს

*საქართველოს ფინანსური პოლიცია, რომლის ფუნქციაც საფინანსო-ეკონომიკური დანაშაულების აღკვეთა და გამოძიებაა, მუშაობას მიმდინარე წლის 15 მარტიდან შეუდგა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ხნის განმავლობაში ფინანსური პოლიცია თანდათან იხვეწებოდა და კომპლექტდებოდა, ბიუჯეტის გადაჭარბებით შესრულებაში მაინც საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანა. კერძოდ, ფინანსური პოლიციის პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მიმდინარე წლის ექვს თვეში აღნიშნული სამსახურის მიერ ბიუჯეტში მობილიზებულია 7 მილიონ ლარზე მეტი თანხა. ხოლო ბიუჯეტის სასარგებლოდ დარიცხულია 76 მილიონ ლარზე მეტი.*

**"ფინანსური პოლიცია, პირველ რიგში, წესიერი ბიზნესის დასაცავად არის შექმნილი და მეწარმეთა ინტერესებს სამოხელეო და სხვა სახის რეკეტებისგან იცავს. თუმცა, დანაშაულის გამოვლენის შემთხვევაში, ყველა ფაქტს უმკაცრეს რეაგირებას მივცემთ. ეს ყველაფერი კი მხოლოდ პროფესიონალი და, რაც მთავარია, წესიერი კადრების საშუალებით არის შესაძლებელი. ამიტომ ჩვენს თანამშრომლებს ერთ პატარა გადაცდომასაც არ ვაპატიებთ. ამის დასტურია ის, რომ ფინანსურ პოლიციაში საკადრო წმენდა უწყებრივად სისტემატურად მიმდინარეობს და დღემდე სისტემიდან სხვადასახვა მოტივით 85 თანამშრომელზე მეტია შეცვლილი,"** - აცხადებს ფინანსური პოლიციის უფროსი დავით კეზერაშვილი.

სწორედ ფინანსური პოლიციის თანამშრომლების დამსახურებაა ის, რომ აღნიშნული სამსახურის მიერ დღემდე გამოვლენილია 1856 სამართალდარღვევის ფაქტი, აქედან ყველაზე მეტი წილი მოდის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე, შემდეგ საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ დარღვევებსა და სისხლის სამართლის დანაშაულზე.

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტმა ამ ხნის განმავლობაში სისხლის სამართლის საქმე 404 ფაქტზე აღძრა. როგორც ანალიზმა აჩვენა, საფინანსო-ეკონომიკურ დანაშაულებათა შორის ყველაზე გავრცელებულია გადასახადებისათვის თავის არიდება და მარკირებას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკების გარეშე გამოშვება, გადაზიდვა, რეალიზაცია. ამასთან, როგორც ფინანსური პოლიციის საგამოძიებო ნაწილში ირწმუნებიან, მრავლად არის თაღლითობის მუხლით აღძრული სისხლის სამართლის საქმეებიც და კონტრაბანდისა და მითვისება-გაფლანგვის გამოვლენის ფაქტებიც. მხოლოდ საბაჟო წესების დარღვევის მუხლით ექვსი თვის განმავლობაში აღძრულია 25 სისხლის სამართლის საქმე.

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო ნაწილის ანგარიშზეა დანაშაულში მხილებული სახელმწიფო ჩინოვნიკებისა და მოხელეების მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების, ბოროტად გამოყენების, გადამეტების და გულგრილობის მუხლებით აღძრული 12 სისხლის სამართლის საქმეც.

ოფიციალური ინფორმაციით, ფინანსურ პოლიციაში არაერთი საქმეა აღძრული ყალბი ფულის დამზადება-გასაღების, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში პროდუქტების დამზადება-რეალიზაციის ფაქტებზე. ზემოთ დასახელებული დანაშაულებების გამო აღნიშნული სამსახურის მიერ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულია 300-ზე მეტი პირი, რომელთაგან დაპატიმრებულია 56 პიროვნება, დანარჩენს კი სხვა სახის აღმკვეთი ღონისძიებები აქვთ შეფარდებული.

ფინანსური პოლიციის ოპერატიულ სამსახურების მიერ ასევე გამოვლენილია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა 844 ფაქტი. სხვათა შორის, აქაც ჭარბობს აქციზურ მარკებთან დაკავშირებული დანაშაულები. მხოლოდ ბოლო სამი თვის განმავლობაში ფინანსური პოლიციის მიერ ამოღებულია 412 ათასი კოლოფი უაქციზო სიგარეტი და 18 ათას ბოთლზე მეტი უაქციზო და ფალსიფიცირებული ალკოჰოლური სასმელი.

როგორც ცნობილია, ფინანსური პოლიცია კომპლექსურ რეიდებს ატარებს და ამოწმებს საკონტროლო-საკასო აპარატების გამოყენებას, ავტოგასამართ სადგურებში მადოზირებელი და მრიცხველი მექანიზმების არსებობას და მუშაობის წესებს. ამ კუთხით გამოვლენილია 204 ადმინისტრაციული დარღვევა.

ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, ძალიან ხშირია ე.წ. უკანონო ნავთობსახდელების აღმოჩენის, ნავთობის ულიცენზიო გადამუშავების, არსებული წესების დარღვევით რეალიზაციის, გადაზიდვის და შენახვის ფაქტებიც. სულ გამოვლენილია 30 ასეთი სამართალდარღვევა.

აღნიშნულმა სტრუქტურამ გამოავლინა საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული 436 დარღვევის ფაქტი. მნიშვნელოვანია ყალბი აქტივების გამოვლენის კუთხით ჩატარებული სამუშაო. სხვადასხვა დროს არაერთ ფირმას და, მათ შორის, ბევრ ძალიან ცნობილ კომპანიას საკუთარ ანგარიშებზე აქტივები დანაშაულებრივი გზით ან კანონის დარღვევით ჰქონდა დასმული. ანგარიშფაქტურების შედგენითა და საგადასახადო ინსპექტორთა ხელმოწერით სამეწარმეო ფირმები სახელმწიფოს არარსებულ ვალებს აღიარებდნენ და შემდეგ ჩათვლების პრინციპით სახელმწიფოს წინაშე არსებულ დავალიანებებს ქვითავდნენ. ფინანსურმა პოლიციამ ექვს თვეში ყალბად მიღებული დაახლოებით 12,5 მილიონი ლარის აქტივი გააუქმა.

**"უნდა აღვნიშნოთ, რომ ყალბი აქტივების თაობაზე ფინანსურ პოლიციაში აღძრულია რამდენიმე საქმე, რომელიც ჯერ ისევ ძიებაშია და მალე რამდენიმე მილიონი ლარის უსაფუძვლო აქტივი გაუქმდება. ამგვარ საქმეებზე მუშაობის პროცესში სხვადასხვა ფირმებიდან ამოღებული და დაყადაღებულია 23 მილიონ ლარამდე ღირებულების საქონელი,"** - აცხადებენ ფინანსურ პოლიციაში.

მოკლედ, მიუხედავად ფინანსური პოლიციის მიერ ეკონომიკურ დანაშაულებზე გამოცხადებული ბრძოლისა, ფინანსური პოლიციის უფროსი დავით კეზერაშვილი კეთილსინდისიერ მეწარმეებს სრულ დაცვას ჰპირდება.

**"მეწარმეებსა და სახელმწიფო მოხელეებს მინდა ვუთხრა, იმუშაონ წესიერად, კანონის ფარგლებში და ჩვენ მათ არ "ვესტუმრებით,"** - აცხადებს კეზერაშვილი.

## მოკლედ

### გაერო აფხაზ სეპარატისტებს ტუსაღებთან მოპყრობას შეასწავლის

გაერო-ს ადამიანის უფლებათა ოფისი სოხუმის მილიციის სკოლას სთავაზობს "ტუსაღებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტების" კურსის შემოღებას. ამის შესახებ სოხუმში გაერო-ს ადამიანთა უფლებების ოფისის ხელმძღვანელმა ვლადლენ სტეფანოვმა მიმართა თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს, ასტამურ თარბას. "ეს არაა არც კონვენცია და არც სავალდებულო პროგრამა, არამედ არის სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება ერთ დოკუმენტში, რომელიც მნიშვნელოვანია როგორც სამართალდამცველებისთვის, ასევე ადმინისტრაციებისთვის თავისუფლების აღკვეთის ადგილებში," - თქვა ვლადლენ სტეფანოვმა. მან აღნიშნა, რომ მოცემული კურსის სწავლების პროგრამაში შეტანა მეორე სემესტრში იგეგმება, მაგრამ მანამდე საჭიროა მისი თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შსს-სთან განხილვა. ასტამურ თარბას განცხადებით, სოხუმის ხელისუფლება ყოველთვის მჭიდროდ თანამშრომლობდა გაერო-ს ადამიანის უფლებათა ოფისთან და ეს თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება. მან თქვა, რომ ის დადებითად ეკიდება გაერო-ს ადამიანის უფლებების ოფისის წინადადებას და მიიჩნევს, რომ სამართალდამცავებისა და, მით უმეტეს - მილიციის კურსანტებისთვის სასარგებლო იქნებოდა დამატებითი ცოდნის მიღება. **პრაიმ-ნიუსი**

### ყოფილი პოლიციელები აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ლიკვიდაციას აპროტესტებენ

აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს 1600 ყოფილი პოლიციელი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შსს-ს ლიკვიდაციის შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილებას აპროტესტებს. ყოფილი პოლიციელები აფხაზეთის შს სამინისტროს ლიკვიდაციას ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლების ორგანოების გაუქმების პროცესის დასაწყისად აფასებენ და აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს უპრინციპობასა და უმოქმედობაში ადანაშაულებენ. ავტონომიური რესპუბლიკის შს სამინისტროს 300-მდე თანამშრომელმა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს შენობის წინ თავისი უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა აფხაზეთის შსს-ს გაუქმებისა და საქართველოს პარლამენტის იმ გადაწყვეტილების გამო, რომელიც პირველი მოსმენით არის მიღებული და რის შედეგადაც აფხაზეთიდან დევნილი 1600 პოლიციელი უმუშევარი დარჩა.

აქციის წევრთა აზრით, აფხაზეთის შს სამინისტროს ლიკვიდაციით საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ "დიდი პოლიტიკური შეცდომა დაუშვა". "პოლიციელთათვის, რომელთა უმრავლესობას 1992-93 წლებში აფხაზეთში მიმდინარე საომარ მოქმედებებში აქვს მონაწილეობა მიღებული, გაუგებარია საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან გაცხადებული დამოკიდებულება," - განაცხადეს აქციის მონაწილეებმა.

აფხაზეთის პოლიციელთა საინიციატივო ჯგუფის წევრის როზმან ლოლაძის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ მათ პრობლემებს ხელისუფლება არ გაითვალისწინებს, აფხაზეთიდან დევნილი პოლიციელები თავისი უფლებების დასაცავად საპროტესტო აქციებს საქართველოს პარლამენტთან და სახელმწიფო კანცელარიასთან გამართავენ.

აფხაზეთის შს სამინისტროს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის, ანუ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დევნილთა მიერ ჩადენილ დანაშაულზე მოკვლევისა და გამოძიების უფლება საქართველოს პარლამენტის 1998 წლის გადაწყვეტილებით ჰქონდა მინიჭებული. პარლამენტმა 14 სექტემბერს პირველი მოსმენით მიიღო კანონპროექტი "აფხაზეთის შს სამინისტროს ლიკვიდაციის შესახებ", რომლის საბოლოოდ მიღების შემდეგ გადაწყვეტილების აღსრულება ერთი თვის ვადაში უნდა მოხდეს. **ინტერ-პრესი**

### ხელისუფლებაზე განაწყენებული ზვიადისტი ზუგდიდში დააკავეს

გუშინ, ზუგდიდის ცენტრში, თამარ მეფის ქუჩაზე სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დააკავეს "მერსედესის" მარკის ავტომანქანა, რომელსაც წალენჯიხელი თორნიკე კვარაცხელია მართავდა. კვარაცხელიას პირადი ჩხრეკისას აღმოაჩნდა უცხოური წარმოების ცეცხლსასროლი იარაღი საბრძოლო ვაზნით, რამდენიმე პირადობის მოწმობა და ჯავშანჟილეტი, რომლითაც პოლიციელები სარგებლობენ.

თავად კვარაცხელია თავს დამნაშავედ არ ცნობს და აცხადებს, რომ მას იარაღი პოლიციამ ჩაუდო. ცეცხლსასროლი იარაღის გარდა, მოგვიანებით, ავტომანქანის ჩხრეკისას, პოლიციელებმა "ფ-1" ტიპის ხელყუმბარაც აღმოაჩინეს. როგორც სამხარეო პოლიციის უფროსმა განაცხადა, ოპერაცია ჩატარდა ასევე ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხაშკარში, სადაც დააკავეს ვახტანგ ზარანდია. ზარანდია ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრედ და ერთ-ერთი შეიარაღებული დაჯგუფების მეთაურად ითვლებოდა. იგი სოფელ ჯიხაშკარში იყო გახიზნული და ამიტომ რამდენიმე წლის განმავლობაში მისი და მისი რაზმის წევრების დაკავება ვერ ხერხდებოდა. პოლიცია ვახტანგ ზარანდიას ბრალად წაუყენებს დაახლოებით 4 თვის წინ ზუგდიდში მომხდარ ინციდენტს, როდესაც, სავარაუდოდ, თავად ზარანდიამ ფეხში დაჭრა პოლიციის ერთ-ერთი თანამშრომელი. **ინტერ-პრესი**

### ბასილ მკალავიშვილის სასამართლო პროცესი განახლდა

ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში ბასილ მკალავიშვილის და მისი მრევლის 6 წევრის სასამართლო დავა განახლდა, რომელიც მკალავიშვილის მრევლის წევრების საპროტესტო აქციის ფონზე მიმდინარეობდა. პროცესზე რამდენიმე დაზარალებული, მათ შორის - ბარნაბიშვილი და სეხნიაშვილი დაიკითხა. ეს ის მოწმეები არიან, რომელთაც, საქმის მიხედვით, სხვადასხვა სექტანტური ლიტერატურის განადგურებისას უშუალო ზიანი მიადგათ. როგორც ცნობილია, ბასილ მკალავიშვილი და მისი მრევლის წევრები მიმდინარე წლის მარტში დააკავეს. მკალავიშვილს ბრალი ედება სხვისი ქონების განზრახ განადგურებაში. საქმე ეხება 2002 წლის თებერვალში, ვაშლიჯვარში, სექტანტური ლიტერატურის დაწვის ფაქტს, ხოლო მისი მრევლის წევრებს პროკურატურა პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის გამო ედავება. **ინტერ-პრესი**

### შესაძლოა, მოლაშვილის საქმე საპროცესო გარიგებით დასრულდეს

"შესაძლოა, კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის მიმართ თბილისის პროკურატურაში აღძრული საქმე საპროცესო გარიგებით დასრულდეს," - განაცხადა თბილისის პროკურორმა ვალერი გრიგალაშვილმა. მოლაშვილის პატიმრობის ექსვთვიანი ვადა ერთ თვეში იწურება. საპროცესო გარიგების შემთხვევაში, მოლაშვილმა ბრალი უნდა აღიაროს, რაც აქამდე არ გაუკეთებია. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე სასამართლოში საპროცესო გარიგების გარეშე გადაიგზავნება და ბრალდებული გამოძიებისგან შეღავათს ვერ მიიღებს. კონტროლის პალატის ყოფილ თავმჯდომარეს პროკურატურა 3 მლნ ლარს ედავება. მოლაშვილის ნათესავებმა და ახლობლებმა სახელმწიფოს 800 ათასი ლარი უკვე გადაუხადეს, რაც პატიმრის დასახსნელად საკმარისი არ აღმოჩნდა. სულხან მოლაშვილი ამჟამად ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში იმყოფება. კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის წამების ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმე გამოსაძიებლად გენერალურმა პროკურატურამ თბილისის პროკურატურიდან გაითხოვა. ამ საქმის გამოძიებაზე თბილისის პროკურატურის აცილების საკითხი გენერალურ პროკურატურაში მოლაშვილის ადვოკატმა შალვა შავგულიძემ დააყენა. მოთხოვნის მიზეზად ადვოკატი ამ საქმეზე ქალაქის პროკურორის ვალერი გრიგალაშვილის მიერ წინასწარ გამოხატულ პოზიციას ასახელებდა. გენერალური პროკურატურა საქმეზე დაკითხულ მოწმეებს, სავარაუდოდ, ხელახლა დაკითხავს. **მედია-ნიუსი**

# კახეთში სპეცოპერაციები გრძელდება

*კახეთის სამხარეო პოლიცია კრიმინალების წინააღმდეგ კვლავ ილაშქრებს. გუშინ, გამთენიისას, რეგიონი მასშტაბიანმა სპეცოპერაციებმა მოიცვა. თელავში, დედოფლის წყაროში, სიღნაღსა და ლაგოდეხში დაკავებულ იქნა სხვადასხვა დანაშაულში მხილებული ექვსი პიროვნება. ძალოვნებმა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებში მხილებული პანკისელი ჯაბრაილ მაჩალიკაშვილი, მეტსახელად - "დვალის ბიჭი" და ყვარელში საქონლის "ლეგენდარული" ქურდი "ჭიანა" საკუთარ სახლებში აიყვანეს.*

ზვიად რუაძე
*კახეთი*

კახეთის სამხარეო პოლიცია კრიმინალების წინააღმდეგ ძალღონეს არ იშურებს და მორიგ შეტევაზე გადადის. მიუხედავად იმისა, რომ პანკისი, გავრცელებული ინფორმაციებით, დამნაშავეებისგან გაწმენდილია, როგორც ირკვევა, ხეობას თავს კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტები კვლავ აფარებენ.

ერთთვიანი დევნის შემდეგ რეგიონის პოლიციამ გუშინ სოფელ დუისში მკვლელობასა და ადამიანის გატაცებაზე ნასამართლევი, კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტი ჯაბრაილ მაჩალიკაშვილი დააკავა. მისი აყვანა პოლიციამ საკუთარ სახლში შეძლო.

გამოძიების მიერ მოკვლეული მასალებიდან ირკვევა, რომ მაჩალიკაშვილმა კრიმინალურ სამყაროსთან კავშირი ჯერ კიდევ ხეობაში ბოევიკების ყოფნის დროს გააბა. მან სწორედ მათი დახმარებით მოახერხა პანკისში მყოფ ჩეჩენ ნარკოდილერებთან დაკონტაქტებაც. პირველი ინციდენტი პოლიციასთან მას 2001 წელს მოუვიდა. ხეობაში შესულ ახმეტის პოლიციის თანამშრომელს - მამუკა მაჭავარიანს - მაჩალიკაშვილი, თანამზრახველებთან ერთად, ხეობაში გზაზე დახვდა, რასაც შეიარაღებული დაპირისპირება მოჰყვა, რომლის შედეგადაც, მაჭავარიანი ადგილზე გარდაიცვალა. მომხდარის თაობაზე თავდაპირველად ინფორმაციები ძალოვნების მხრიდან იბლოკებოდა და ძიების დეტალები არ ხმაურდებოდა. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ გარდაცვლილ პოლიციელს ხეობიდან დიდი რაოდენობის ნარკოტიკული ნივთიერება გადმოჰქონდა და შეტაკების მიზეზადაც სწორედ ეს სახელდება. მომხდართან დაკავშირებით მაჩალიკაშვილის პასუხისგებაში მიცემა მოხდა, თუმცა მას საპყრობილეში ყოფნა დიდხანს არ მოუწია. საგულისხმოა, რომ, როგორც სამართალდამცველები ამბობენ, კრიმინალებს ძველი ხელისუფლება ხშირად იწყნარებდა. ამ ფაქტს კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსი თეიმურაზ ანჯაფარიძე შემდეგნაირად ხსნის: **"დემოკრატიის საფარის ქვეშ სხვადასხვა ძალოვანი უწყებები ბევრად უსაფუძვლო ინფორმაციებს ავრცელებდნენ დამნაშავეთა მიმართ, ვიდრე მათი კონკრეტული ქმედება იმსახურებდა. ძირითადად, საუბარია სასამართლოსა და იმ დაწესებულებებზე, რომელთაც ევალებოდათ აღმკვეთი ღონისძიების შეფარდება."**

სამართალდამცველებმა დააკავეს ჯოყოლოელი ომარ ცისკარიშვილიც, მან სასჯელი ერთი წლის წინ მოიხადა. როგორც პანკისელთა უმრავლესობა, ცისკარიშვილიც თავს ნარკორეალიზაციით ირჩენდა. მართალია, ბოლო დროს მან ნარკობიზნესს თავი დაანება, მაგრამ, სამაგიეროდ, საქონლის ქურდობა დაიწყო. პოლიცია მას თავზე სწორედ იმ დროს წაადგა, როცა, სავარაუდოდ, მოპარული წვრილფეხა საქონელი "დასაბინავებლად" მიჰყავდა. მისი ბინის ჩხრეკისას კი პოლიციამ 0,5 გრამი ნარკოტიკი ამოიღო.

საქონლის ქურდობისთვის ძალოვნებმა კიდევ ერთი ბოროტმოქმედი დააკავეს. ყვარლის რაიონში რევაზ კონჭოშვილის, მეტსახელად - "ჭიანას" გამოჩენა, როგორც ყვარლელები ამბობენ, სოფლის მოსახლეობას შიშის ზარს სცემდა, რადგან იგი ხალხს საქონელს სახლში არ უჩერებდა. კონჭოშვილი, ძირითადად, ე.წ. "ნაკოლჩიკად" მოიაზრებოდა და ნადავლის რელიზებასაც თავადვე ახდენდა. ყვარელში გახშირებული საქონლის ქურდობის გამო რამდენიმე დღის წინ თეიმურაზ ანჯაფარიძემ სოფელ შილდის ზონის უფროსი და უბნის ინსპექტორი თანამდებობიდან გაათავისუფლა.

ამ დროისთვის კი, როგორც ანჯაფარიძე აცხადებს, რეგიონში კრიმინოგენული ვითარება შედარებით სტაბილურია. მას პოლიციელების მხრიდან სპეცოპერაციის დროს ძმების - გიორგი და შალვა ბეჟანიშვილების სიღნაღში დაკავება დიდ წარმატებად მიაჩნია: "ძმების საქმიანობა მანქანების გატაცება იყო, თუმცა პოლიციისთვის მათი დაკავება პრობლემას წარმოადგენდა. ამჯერად ისინი მხილებულნი არიან გაუფორმებელი გადაჭრილი თოფის, "ეფ-1" სისტემის ხელყუმბარის და 14,5 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება "მარიხუანას" შენახვის გამო," - აცხადებს ანჯაფარიძე.

დიდ რაოდენობით ნარკოტიკული საშუალება პოლიციამ დედოფლის წყაროელ მამუკა ქერაულს აღმოუჩინა. მას სარეალიზაციოდ გამზადებული 23,5 გრამი "მარიხუანა" აღმოაჩნდა. ჯუგაანელ ყოფილ "მხედრიონელს" დავით ალადაშვილს კი 18,8 გრამი "მარიხუანა" აღმოუჩინეს. მსგავსი ნარკოტიკული საშუალებები და ხელყუმბარები ბინების ჩხრეკისას აღმოუჩინეს სხვადასხვა დანაშაულებისთვის ნასამართლევ თელაველ ავთანდილ ჯანდიერს, ბესარიონ ბურნაძეს და ლაგოდეხელ დავით ჩალაძეს: "ისინი ბევრ დანაშაულში არიან მხილებულნი," - აცხადებს ანჯაფარიძე.

საგულისხმოა, რომ გუშინდელი სპეცოპერაციისას დაკავებული ცხრა პიროვნების ოჯახის წევრები, ტრადიციულად, სამართალდამცველების დარღვევებზე მიუთითებდნენ: **"თუ ჩვენ არასწორად ვაკეთებთ საქმეს, აგერ უწყებები და გვიჩივლონ, მაგრამ რომელი მშობელი იტყვის, რომ მისი შვილი ყაჩაღი ან ბანდიტია,"** - კითხულობს ანჯაფარიძე.

# ფორსირება საჭირო არაა

ამ ბოლო დროს ბევრი იწერება მეცნიერებისა და განათლების პრობლემებზე. სიმართლე გითხრათ - საერთო პათოსი ძირითადად გულდასაწყვეტია. განა შეიძლება ასეთი შეჰკადრო ნიკო მუსხელიშვილის, ილია ვეკუას, ივანე ჯავახიშვილის, ივანე ბერიტაშვილის, გიორგი წერეთლის, დიმიტრი უზნაძისა და სხვათა ქვეყანას? მათ მოწაფეებსა და ცოდნას მოწყურებულ ქართველ ახალგაზრდობას? ეკონომიკური სიდუხჭირის გამო სამშობლოდან გადახვეწილ და უცხოეთში წარმატებით მოღვაწე ჩვენი უნივერსიტეტების აღზრდილებს? ასეთი პათოსი - მეცნიერება ტვირთად ადევს ხალხს, ქართველ ბავშვებს არ სჭირდებათ ალგებრა, გეომეტრია, ფიზიკა, ქიმია და სხვა მისთანა საგნები, რომლებიც ცხოვრებაში შეიძლება საერთოდ არ დასჭირდეთ და ა.შ. - არ არის ახალი. ეს გამოსჭვივის პუბლიკაციებში საქართველოს დამოუკიდებლობის პირველივე დღეებიდან. ამ ურთულესი პრობლემების ანალიზს არ ვაპირებ, ისტორია თვითონ მისცემს სათანადო შეფასებას ამ ვაკჰანალიას თავის დროზე.

პირადად მე არასოდეს ჩავბმულვარ ასეთ პოლემიკაში. ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ბუჩქებში ვიჯექი. მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრების მანძილზე თავდაუზოგავად და უღალატოდ ვემსახურებოდი საქართველოში მეცნიერებისა და განათლების განვითარების საქმეს. აგერ უკვე მერამდენედ შეიცვალა საქართველოში ხელისუფლება. ყოველთვის ერთი სურვილი მქონდა და დღესაც მსურს, რომ ბოლოს და ბოლოს მაქსიმალურად გაუმართლდეს და ხელი მოემართოს ჩვენს ახალგაზრდა ხელისუფლებას, თორემ ხალხი დაიღალა და მალე სასოწარკვეთაში ჩავარდება. მართალია ერთი ჩემი ბავშვობის მეგობარი მირჩევს, რომ ჩუმად ვიყო, შენი დრო ჯერ არ დამდგარაო. მაგრამ ახლა ვხედავ, რომ არც დადგება, რადგან გადავაბიჯე იმ ასაკს (65 წელს), რომლის შემდეგაც ყველაფერი ამეკრძალება, თუკი უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის პროექტს, ამ ორიოდე დღის წინ ინტერნეტით გავრცელებულს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ გვერდზე (იხ.http://www.mes.gov.ge), მიიღებს საქართველოს პარლამენტი.

ბუნებრივია, რომ ამ კანონპროექტის ირგვლივ დიდი დებატები გაიმართება, რადგან მისი ამ სახით მიღება უამრავ პრობლემას შექმნის. ამ მოკლე წერილში არ ვაპირებ კანონპროექტის ავკარგიანობის გარჩევას. ვიტყვი მხოლოდ ჩემს მოკლე მოსაზრებას: შესაძლოა, გარკვეულ პირობებში ეს კანონი შესანიშნავიც კი იყოს და ადვილად გაიაროს ექსპერტიზა ჩვენს უცხოელ აღმშენებლებთან, მაგრამ კანონის გამოქვეყნებიდან მე-15 დღეზე მისი ძალაში შესვლა (განსაკუთრებით გარდამავალი დებულებებისა) ისე დაანგრევს უმაღლეს განათლებას, რომ მის წელში გასწორებას ნახევარ საუკუნეზე მეტი დასჭირდება. რა ძალა გვაქვს, ხომ შეიძლება კანონში გათვალისწინებული იდეა დავიდოთ წინ სახელმძღვანელოდ და მისკენ ავილოთ გეზი ეტაპობრივად. ჩვენი გარე მტრები დასცინიან ვარდების რევოლუციას და ათას ბრალდებებს გვიკიჟინებენ. ჩვენც ნუ ავყვებით და ნუ გადავაქცევთ ნგრევის რევოლუციად, რომლის სულისკვეთება თავის დროზე, ალბათ, ყველაზე კარგად გამოხატა ვლადიმერ მაიაკოვსკიმ:

**" მყინვარი ?**
**საქმეს თუ გიშლიდეს, მოაძვრე;**
**რა უშავს, ნისლებში**
**მაინც ხომ არა სჩანს"**
**(ირაკლი აბაშიძის** თარგმანი)

მართლაცდა არამეცნიერისათვის, სამწუხაროდ, მეცნიერება ღრუბლების მიღმაა და შეუიარაღებელი გონებით ვერ დაინახავს. არასოდეს მავიწყდება ჩემი შორეული წინაპრის რჩევა "უნდა პირველად ისწავლო სამსახური, ყოფა-ქცევა და მერე შეხვიდე საქმეში" (იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, გვ. 68).

როდესაც გასული წლის მიწურულს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი ეწვია ჩვენს უნივერსიტეტს და განაცხადა, რომ მისთვის მეცნიერება და განათლება ყოველთვის პრიორიტეტული იქნებოდა, ყველას გულები სიხარულით და სიამაყით აღგვევსო. ჩემმა უახლოესმა მეგობრებმა იციან, რომ ის მაშინ შევადარე პატარა ბიჭს ა. ტარკოვსკის ფილმიდან "ანდრია რუბლიოვი", რომელსაც გენეტიკურად დაჰყვა ზარის ჩამოსხმის საიდუმლოება და ერი გამოაღვიძა. ჩემი დიდი ოცნებაა ეს განცდა არ დამეკარგოს მას შემდეგაც, როცა ეს პიროვნება ქართველმა ხალხმა (და არა სოროსმა!) პრეზიდენტად აირჩია. ჩემი სიტყვები აბსოლუტურად გულწრფელია - მლიქვნელობა არავისთან დამჭირვებია და არც მჭირდება.

ამ წერილის დაწერისაკენ მიბიძგა ერთმა პუბლიკაციამ გაზეთში "24 საათი" (10 სექტემბერი, 2004 წ. N215) სათაურით **"65 წელი და თანამდებობის ბედი"** (ავტორი ნინო ცინცაძე). წერილი გამიზნულად გამოქვეყნდა "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის პროექტის ვებ-გვერდზე გამოჩენის სინქრონულად. ამიტომ ვვარაუდობ, რომ ამ კანონპროექტის ერთ-ერთი მტკივნეული პუნქტის - 65 წლის ასაკში პროფესორ-მასწავლებელთა ფაქტიური დათხოვნის მხარდასაჭერად არის განკუთვნილი. ამ ეჭვს აძლიერებს წერილზე თანდართული სურათიც. წერილის ტონი ძირითადად ღვარძლიანია და უცოდინრობის (თუ მეტის არა!) ზეობას წარმოადგენს. არ ვიცი, რატომ დასჭირდა წერილის ავტორს გაყალბებული ფაქტების მოყვანა საზღვარგარეთის უნივერსიტეტების წესებიდან. ან საერთოდ რა საჭიროა ჩვენი რეალური ყოფის ფონზე უცხოეთის პრაქტიკის მოშველიება? აშშ-ში თურმე 1990 წლიდან 1995 წლამდე მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობა 49 წლიდან 75-80 წლამდე გაზრდილა. ეს ხომ აბსურდია - 5 წელიწადში სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა 25-30 წლით თეორიულად მარტო მაშინ შეიძლება, თუ 75-ზე ნაკლები ასაკის მოსახლეობას ერთიანად ამოხოცავ. მსგავსი რამ, როგორც ცნობილია, არ მომხდარა. ეს კიდევ არაფერი, შესაძლოა რედაქციას დაბეჭდვისას ციფრები შეეშალა. ასეც ხდება ხოლმე. აშშ-ში ახლა რომ 80 წელს მიაღწია სიცოცხლის ხანგრძლივობამ, კარგად ცნობილი ფაქტია, ხოლო ნორვეგიაში 83 წელს და ნორვეგია არ შედის ევროკავშირში.

ახლა მეორე უფრო დიდ სიცრუეს შევხედოთ. თურმე გერმანიაში ისე მკაცრად იცავენ პენსიაზე გასვლის ასაკს, 65 წელს, რომ "რამდენიმე წლის წინ, მაგალითად, ნობელის პრემიის ლაურეატების უნივერსიტეტად ცნობილ გიოტინგენის უნივერსიტეტში გერმანელებს არც ფიზიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატისთვის, ვოლფგანგ პაულისათვის დაუშვიათ გამონაკლისი. საპენსიო ასაკის შესრულებისთანავე ახლად არჩეულ კათედრის გამგეს თანამდებობა დაატოვებინეს." (ნ.ც.) და ა.შ. ეს კი ნამეტანია. თუ მაინცდამაინც ნობელის პრემიის ლაურეატებით გვინდა ჩვენი სურვილები გავამართლოთ, სწორი ფაქტები მაინც მოვძებნოთ და მოსახლეობა, განსაკუთრებით ის ახალგაზრდობა, ვისთვისაც ეს კანონი კეთდება, შეცდომაში ნუ შეგვყავს.

ცნობილია, რომ ვოლფგანგ პაული დაიბადა 1900 წელს და მოულოდნელად გარდაიცვალა 1958 წელს (ე.ი. რამდენიმე წლის წინ(?!), პატივცემული ჟურნალისტის საზომით). ამის შემდეგ მკითხველმა განსაჯოს, თუ როგორ ილებს უტყუარ ინფორმაციას ჟურნალისტი ნინო ცინცაძე საიქიოდან, სადაც შეუსრულდა საპენსიო ასაკი ვოლფგანგ პაულის!

კვლავ ვკითხულობ, რა საჭიროა ასეთი სიცრუე? თუ პენსიაზე გასვლის დასასაბუთებლად აუცილებლად ნობელის პრემიის ლაურეატების მაგალითი გვჭირდება, რაკი ასეთი ჯერჯერობით არ გვყავს საქართველოში, ინგლისის მაგალითს შევაშველებ. არანაკლებ დიდი ფიზიკოსი-ნობელიანტი, კვანტური ელექტროდინამიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი პოლ დირაკი, რომელსაც ისააკ ნიუტონის კათედრა ეკავა კემბრიჯის უნივერსიტეტში, ასაკის გამო გაუშვეს პენსიაში. ამის შემდეგ პ. დირაკი მიიპატიჟა აშშ-ში ტეხასის უნივერსიტეტმა, სადაც იგი კიდევ თითქმის 15 წელი მუშაობდა და ეს უნივერსიტეტი ერთ-ერთ მოწინავეთა რიგებში გადაიყვანა, შექმნა რა შესანიშნავი სამეცნიერო სკოლა, რომელიც დღემდე ამ ტრადიციებს აგრძელებს, ხოლო კემბრიჯის უნივერსიტეტმა დღემდე ვერ ჩამოირეცხა სირცხვილი ფიზიკოსთა საზოგადოების წინაშე, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ინგლისის უნივერსიტეტებში არც თუ იშვიათად შეხვდებით ხანდაზმულ პროფესორებს.

მაგალითების მოყვანა უხვად შეიძლება, მაგრამ ეს არაფერს იძლევა. ამის ნაცვლად **უკეთესი იქნებოდა ჩატარებულიყო საკითხის მეცნიერული შესწავლა ჩვენი რეალური სიტუაციიდან გამომდინარე იმ პიროვნებათა მონაწილეობით, ვისაც გარკვეული გამოცდილება აქვს განათლებისა და მეცნიერების სფეროებში ხანგრძლივი მოღვაწეობით.** არავინ დაბადებულა რექტორად ან დეკანად თუ კათედრის გამგედ. მაგრამ თუ პროფესორს ან დოცენტს სურვილი აქვს და ძალუძს ემსახუროს უნივერსიტეტს და სტუდენტთა აღზრდას დღევანდელობის შესაფერ დონეზე, ნუ ჩამოვჭრით სახელმწიფოსგან, გამოვიყენოთ მისი ცოდნა და გამოცდილება.

კაცმა რომ თქვას, არავის გაგვიკვირდება ჩვენი ჩამოშორება საქმისგან. ისტორიამ იცის ასეთი მაგალითებიც. თავის დროზე ვაიკომუნისტებმაც ხომ აუკრძალეს ივანე ჯავახიშვილს მის მიერვე დაარსებულ უნივერსიტეტში შემოსვლა. ახლა ეს პრაქტიკა გვინდა დავაკანონოთ?

კიდევ ერთხელ გავიმეორებ - კანონპროექტის ასაკთან დაკავშირებული მუხლი დიდი სიფთხილით უნდა გატარდეს. იმაზე კი არ არის ლაპარაკი, თუ რა ეშველება ამდენ ხალხს (ჩვენი უნივერსიტეტი 900-მდე პროფესორ-მასწავლებელმა უნდა დატოვოს!), **სადარდებელია თვითონ უნივერსიტეტის ბედი (შეისწავლა კი ვინმემ ეს პრობლემა?).** მოსალოდნელია, რომ მთლიანად მოიშალოს მისი მთავარი ფუნქცია, რომელიც თავის დროზე ასე ლაკონურად განსაზღვრა დიდმა **ივანე ჯავახიშვილმა:**

"სულ სხვაა უნივერსიტეტი: იქ მეცნიერება მთელის თავისი მრავალმხრივობითა და მრავალფეროვნებით სუფევს ყველა თავისი მიმართულებით, სამეცნიერო გამოცდების და ხარისხის წყალობით იქ ერთად მოღვაწეობენ სიცოცხლითა, ნიჭით და გამბედაობით სავსე ახალგაზრდა მეცნიერიც და სიბრძნის ბრძმედად გაკაჟებული განთქმული მეცნიერიც. უნივერსიტეტი ამასთანავე უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულებაც არის და იმავე დროს უმაღლესი მეცნიერების სასწავლებელიც, სადაც მოზარდი ახალგაზრდობა და ჭაბუკნი, მომავალი თაობა, მეცნიერ-მკვლევართა მოძღვრებითა და ხელმძღვანელობით უმაღლეს მეცნიერებას ითვისებს, სამეცნიერო მუშაობას ეწევა და თანდათანობით მის თანამოაზრედ ხდება. **აქ მჭიდრო სულიერი კავშირია მეცნიერთა და მომავალ თაობას შორის. აქ შესაძლებელი ხდება მეცნიერების ცხოველი შეუჩერებელი მიმდინარეობა და მეცნიერება ცოცხალ ძალად არის ქცეული".**

სწორედ ამ სულიერი კავშირის გაწყვეტა მოხდება, აქედან გამომდინარე სავალალო შედეგებით.

პირადად მე უკვე ორი წელია, გამოცხადებული მაქვს კონკურსი: ცარცს გადავცემ ნებისმიერ ჩემზე ახალგაზრდას და დავუთმობ ჩემს ადგილს კათედრაზე, ვინც ჩემს დატვირთვას, სემესტრში 4 საგანს, წაიკითხავს 90 ლარად. დღემდე, სამწუხაროდ, არავინ მოსულა და ალბათ, არც მოვა, იმიტომ, რომ ასაკით ჩემსა და სტუდენტს შორის არსებულ თაობაში ნორმალური დონის ფიზიკოსი-თეორეტიკოსი საქართველოში აღარ მოიძებნება იმ დამღუპველი პოლიტიკის გამო, რასაც საქართველოს ხელისუფლება აქამდე ახორციელებდა საუნივერსიტეტო მეცნიერების მიმართ. მეც, თუ ცოცხალი დავრჩი, ალბათ წავალ ჩემს ფიზიკოს ვაჟიშვილებთან ამერიკაში.

ჩემი საბოლოო აზრი ასეთია: ფორსირება არაა საჭირო, სწორედ ამას ითხოვენ საქართველოს პარლამენტისადმი მოწერილ წერილში მსოფლიოში აღიარებული ქართველი ახალგაზრდა ფიზიკოსები, ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორები **გია დვალი და გიგა გაბადაძე.**

მათი ნებართვით გაახლებთ ამ წერილის ასლსაც.

*პატივისცემით,* ***ანზორ ხელაშვილი***
*(ჯერჯერობით)*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო მუშაობის დარგში, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი*

## მინაწერი

ბატონო ანზორ,

1. ჩემი მასალის შესახებ 65 წლიან ასაკობრივ ცენზთან დაკავშირებით, თითქმის ყველა დეტალი ახსენეთ გარდა ბოლო აბზაცისა, რომელიც, ვფიქრობ, ჩემი წერილის ძირითად პათოსს წარმოადგენდა. მასში ნათლად იყო ნათქვამი, რომ გარკვეული გარდამავალი ეტაპის გარეშე, ამ პუნქტის პირდაპირი დაკანონება შეუძლებელია.

2. ჩემთვის სრულიად გაუგებარია, რატომ მაბრალებთ, თითქოს ვწერდე, რომ აშშ-ში ხუთი წლის განმავლობაში სიცოცხლის ხანგრძლივობა 75-იდან 80 წლამდე გაიზარდა. ჩემს წერილში მე-20 საუკუნის სამი დროული მონაკვეთი - დასაწყისი, შუა წლები და ბოლო მქონდა მოყვანილი, და ვამბობდი, რომ ბოლო წლების მონაცემების მიხედვით სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 75-80 წლამდე გაიზარდა.

3. ახლა, რაც შეეხება საზღვარგარეთის გამოცდილებას. ჩემთვის გაუგებარია, რატომ არა მაქვს უფლება უცხოური გამოცდილების შესახებ ვისაუბრო, როდესაც ამას აკეთებს ყველა, მათ შორის დღევანდელი წერილების ავტორები გია დვალი და გია გაბადაძეც. სანამ წერილს დავწერდი შეკითხვა ასაკობრივი ცენზის შესახებ ჩემს ნაცნობებსა და კოლეგებს გადავუგზავნე ამერიკისა და გერმანიის რამდენიმე უნივერსიტეტში. მათ მიერ გამოგზავნილი პასუხებიდან, ცხადია, რომ თუ მაგალითად, ნიუ-იორკის უნივერსიტეტში მკაცრი ასაკობრივი ზღვარი დადგენილი არ არის, ჩიკაგოს უნივერსიტეტში იგი 65 წელია, ლას-კრუსეს ნიუ-მეხიკოს სახელმწიფო უნივერსიტეტში კი პენსიაზე იმ შემთხვევაში გადიან, თუ მათი ასაკი და მუშაობის სტაჟი ერთად 75 წელს შეადგენს. იგივე ასაკობრივ ზღვარს იმეორებენ, სხვადასხვა ამერიკული უნივერსიტეტების "საიტებიც". ევროპის უნივერსიტეტებში საპენსიო ასაკი რომ 65 წელია, ამის შესახებ, მგონი, არავინ დავობს.

4. ახლა, რაც შეეხება ფიზიკოსებსა და ნობელის პრემიის ლაურეატებს. თქვენ, როგორც ფიზიკოსმა, უნდა იცოდეთ, რომ ფიზიკის დარგში ნობელის პრემია ორმა მეცნიერმა მიიღო, რომელთა გვარებიც ქართული ენის სახელობით ბრუნვაში ზუსტად ერთნაირად გამოითქმის. ერთია Wolfgang Pauli, რომელიც 1900 წელს დაბადა და 1958 წელს გარდაიცვალა მოულოდნელად და რომელმაც ნობელის პრემია კვანტურ თეორიაში მიიღო; მეორე კი Wolfgang Paul გახლდათ. იგი 1913 წელს დაიბადა და 1993 წელს გარდაიცვალა 80 წლის ასაკში. ნობელის პრემია მან ელექტრომაგნიტური ველის ფიზიკაში მიიღო.

*პატივისცემით* ***ნინო ცინცაძე***

# მიმართვა

### საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს, საქართველოს პარლამენტის პატივცემულ წევრებს

### საქართველოს უმაღლესი განათლების კანონპროექტის შესახებ

ძვირფასო თანამემამულენო,

განათლების ეფექტური სისტემის დაფუძნებას საქართველოში ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. უეჭველია, რომ არსებული უმაღლესი განათლების სისტემა კარდინალურ გარდაქმნას მოითხოვს.

ახლახან გამოქვეყნდა დასამტკიცებლად წარდგენილი "საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ". ჩვენი მიმართვის მიზანია, რომ მივაქციოთ თქვენი ყურადღება ამ კანონ-პროექტის როგორც პოზიტიურ ასპექტებს, ასევე იმ უარყოფით საკითხებს, რომელთა კანონად დამტკიცება უაღრესად ნეგატიურ გავლენას იქონიებდა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაზე.

კანონ-პროექტში ზოგიერთი პოზიტიური სიახლეა შემოთავაზებული, მაგალითად სასურველია ისეთი საყოველთაოდ მიღებული ცნებების დამკვიდრება, როგორიც არის "tenure", "Professor emeritus" და ა.შ., მაგრამ, სამწუხაროდ, ეს და სხვა სიახლეებიც ზედაპირულად არის გაშუქებული კანონპროექტში. ეს ფაქტი და აგრეთვე ქვემოაღნიშნული ხარვეზები მიუთითებს იმაზე, რომ კანონპროექტზე მუშაობა დასრულებულად არ შეიძლება ჩაითვალოს და ამიტომ საჭიროა მისი შემდგომი დამუშავება და დაზუსტება განათლების სისტემაში მომუშავე გამოჩენილი სპეციალისტების უშუალო მონაწილეობით.

არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია არსებული აკადემიური წოდებების, დოცენტის და პროფესორის, მინიჭების კრიტერიუმების დაკონკრეტება. მაგალითად, პროფესორის წოდების მიღების კანდიდატს აუცილებელია, ჰქონდეს საკმაო რაოდენობის (20-30-მდე) სამეცნიერო შრომა გამოქვეყნებული საერთაშორისოდ აღიარებულ რეფერირებად ჟურნალებში. აგრეთვე სასურველია, რომ ნებისმიერი მეცნიერ-პედაგოგის დაწინაურების საკითხის განხილვისას შემოღებულ იქნეს ე.წ. "გარე რეფერირების" სისტემა, რომელიც მთელ პროგრესულ მსოფლიოში დამკვიდრებულია და გამიზნულია "მეცნიერული პროვინციალიზმისა" და პროტექციონიზმის აღმოსაფხვრელად.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტრუქტურის შემოთავაზებული საკითხებიც შემდგომ დამუშავებას მოითხოვს. უპირველეს ყოვლისა ეს შეეხება "სენატისა" და "აკადემიურ საბჭოს" შორის ვალდებულებების და უფლებების გაყოფას და ამ ახალი სტრუქტურების მიმართებას უკვე არსებულ "დიდ საბჭოსა" და პროფესორთა საბჭოსადმი".

ჩვენი აზრით კანონ-პროექტის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ხარვეზია ასაკობრივი ცენზის შემოღება, რომლის მიხედვითაც "... აკადემიურ და ადმინისტრაციულ თანამდებობაზე არ შეიძლება არჩეულ/დანიშნულ იქნეს 65 წელს მიღწეული პირი". ამ საკითხის დიდი მნიშვნელობის გამო მასზე დეტალურად შევჩერდებით. დასავლეთის ქვეყნებში ეს საკითხი სხვადასხვაგვარადაა გადაწყვეტილი. აშშ-ს უმაღლესი განათლების სისტემაში ასაკობრივი ცენზი საერთოდ არ არსებობს. ამ ცენზის შემოტანა უტოლდება ასაკობრივ დისკრიმინაციას, რაც ისევე მიუღებელია, როგორც რასობრივი ან რელიგიური დისკრიმინაცია. მიუხედავად ასაკობრივი ცენზის არარსებობისა, აშშ-ს სისტემაში არსებობს ძალიან ეფექტური მეთოდები, რომლებიც საშუალებას იძლევიან შეინარჩუნონ ნაყოფიერად მომუშავე ხანდაზმული კადრები, ხოლო მათ ვინც არადამაკმაყოფილებლად მუშაობს, შეუქმნან პირობები, რომლებშიც მათთვის ნებაყოფლობით პენსიაზე გასვლა უფრო ხელსაყრელი ხდება. ასეთი სისტემა და მეთოდები კარგადაა ცნობილი და შემუშავებული და ჩვენ ამ დეტალებზე აქ არ შევჩერდებით.

დასავლეთ ევროპის უმეტეს ქვეყნებში კი ასაკობრივი ცენზი მართლაც არსებობს ზუსტად ისეთი ფორმით, როგორც ეს წარმოდგენილ კანონ-პროექტშია გათვალისწინებული. იქ 65 წელს მიღწეული პროფესორ-მასწავლებლები სამსახურს ტოვებენ და მათ ამის შემდეგ თითქმის იგივე ანაზღაურება და სამედიცინო დაზღვევა უნარჩუნდებათ, რაც ჰქონდათ მუშაობის პერიოდში.

როგორც ვხედავთ, ორი განსხვავებული სისტემა არსებობს. შესაბამის პირობებში ორივე სისტემა მუშაობს, მაგრამ ამერიკული - ძალიან კარგად, ევროპული კი - საშუალოდ კარგად. მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ ევროპული სისტემა ჩვენს პირობებში არ არის მიზანშეწონილი და სწორი. ამის დასამტკიცებლად მრავალი არგუმენტი არსებობს. ჩვენ მხოლოდ ორ ძირითად არგუმენტზე გავამახვილებთ ყურადღებას.

ადამიანის ცხოვრების საშუალო ხანგრძლივობა საგრძნობლად გაიზარდა 1970-იანი წლების შემდეგ. 65 წლის ასაკობრივი ცენზი კი მანამდე იყო შემოტანილი. ბევრი 65 წელს მიღწეული მეცნიერი დღეს ისევე აქტიურად შრომობს, როგორც 50-55 წლის მეცნიერი მეორე მსოფლიო ომამდე. ამ ფაქტს ისიც ემატება, რომ მეცნიერება განუწყვეტლივ ვითარდება და იზრდება და, თუ მეორე მსოფლიო ომამდე 20-25 წლის ახალგაზრდას უკვე შეეძლო მეცნიერების მოწინავე ფლანგზე გასვლა, დღესდღეობით ეს ასაკი 30-35 წელს უტოლდება, ე.ი. მეცნიერები უფრო გვიან ახერხებენ მოწინავე არენაზე გამოსვლას და შესაბამისად, უფრო გვიან სცილდებიან ამ არენას. ეს ყველაფერი სტატისტიკურად შემოწმებადი ფაქტებია. ყველაფერ ამასაც კი რომ თავი დავანებოთ, ჩვენ უნდა დავსვათ კითხვა, თუ რამდენად მისაღებია საქართველოს დღევანდელ პირობებში ევროპული სისტემის პირდაპირ გადმოტანა. მარტივი ლოგიკა მიუთითებს, რომ ეს მიუღებელია. უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ქვეყანაში შექმნილმა პოლიტიკურმა სიტუაციამ უაღრესად აამღვრია მეცნიერ-პედაგოგიური კადრების აღზრდის და განვითარების საკითხი. ამ დროის განმავლობაში მხოლოდ დაგროვილი ცოდნის შენარჩუნება იყო შესაძლებელი და ფიქრი პროგრესზე ძალიან რთული იყო. ამის შედეგად, დღევანდელ მეცნიერულ-პედაგოგიურ საქმიანობაში დიდი წვლილი მიუძღვის იმ პროფესორ-მასწავლებლებს, რომელთა ასაკიც 60 წელს აღემატება. ამ ფენის სრული განადგურება მომავალი 4-5 წლის განმავლობაში არა მარტო უსამართლოდ, არამედ დამღუპველად მიგვაჩნია. ყოველთვის შეიძლება გზების გამონახვა, რომლებიც გაარჩევენ აქტიურ და კომპეტენტურ ხანდაზმულ მეცნიერ-თანამშრომელს მათგან, ვისთვისაც პროფესიული დასვენების ალტერნატივა ნამდვილად უფრო მიზანშეწონილია. ჩვენ დიდად მოხარულნი ვიქნებით, თუ ზემოაღნიშნული შენიშვნები გათვალისწინებული იქნება დასამტკიცებლად წარდგენილი კანონპროექტის საბოლოო ვარიანტში.

*პატივისცემით და საუკეთესო სურვილებით,*
*ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ფიზიკის პროფესორები* ***გიგა გაბადაძე, გია დვალი***
*თბილისი-ნიუიორკი, 29 ივლისი, 2004 წ.*

# არსებითი ხასიათის შენიშვნები კანონპროექტზე "საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ"

წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილი შენიშვნების გაუთვალისწინებლობა, ჩვენი აზრით, ხელს შეუშლის საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემისა, და შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ განვითარებას. ასევე მიგვაჩნია, რომ ევროპულ სამართლებრივ სივრცესთან ჩვენი კანონმდებლობის ჰარმონიზაციისათვის, აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინება აუცილებელია.

### სალიცენზიო რეგულირების მცდარი კონცეფცია

კანონპროექტში მოცემული ლიცენზიის დეფინიცია მცდარია, ვინაიდან იგი ათანაბრებს ინსტიტუციური აკრედიტაციისა და სალიცენზიო მოთხოვნებს (მუხლი 2.26). უმაღლესი განათლების ნორმალური დონის მქონე ქვეყნებში, განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სალიცენზიო ინდიკატორები, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო უმაღლესი სკოლებისათვის აკრედიტაციის ინდიკატორებზე გაცილებით დაბალია. განსახილველ კანონპროექტში კი ვკითხულობთ "ლიცენზიის მოპოვების საფუძველია შესაბამისი ინსტიტუციური აკრედიტაციით დადგენილ მოთხოვნებთან დაწესებულების შესაბამისობა", რაც აბსურდია. მთელ მსოფლიოში ცნობილია და ჩვენც კარგად უნდა გავითავისოთ რომ უმაღლეს სკოლას ინსტიტუციური აკრედიტაციისათვის დადგენილი მოთხოვნები შეიძლება წაეყენოს ლიცენზიის მიღებიდან მხოლოდ სწავლების ერთი ციკლის, ე.ი. სავარაუდოდ, მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ. ისიც იმ შემთხვევაში, თუ სასწავლებელი მოისურვებს ინსტიტუციური აკრედიტაციის გავლას.

### კანონპროექტი განსხვავებულ პირობებში აყენებს სახელმწიფო და კერძო უმაღლეს სკოლებს

კანონპროექტი, თითქოს შეფარვით, მაგრამ არსებითად განსხვავებულ პირობებში აყენებს სახელმწიფო და კერძო უმაღლეს სკოლას, რაც არ არის სწორი. მუხლი 2.21 - ვკითხულობთ, რომ "ლიცენზია არის *კერძო* უმაღლესი სასწავლებლებისთვის ... სამინისტროს მიერ მინიჭებული უფლება". მუხლი 5.გ - ვკითხულობთ: "პარლამენტი კანონით აფუძნებს (სახელმწიფო) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას". კანონპროექტის მითითება, რომ პარლამენტი "აფუძნებს" სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებას, სხვა არაფერია თუ არა პარლამენტი გასცემს ლიცენზიას, ანუ იძლევა ფუნქციონირების დაწყების უფლებას. სავსებით გასაგებია, რომ კერძო უმაღლესი სკოლების დაფუძნებისთვის განათლების სამინისტრო შეიმუშავებს სალიცენზიო ინდიკატორებს, მაგრამ რა ინდიკატორების საფუძველზე მოხდება სახელმწიფო უმაღლესი სკოლებისა და პროგრამების ლიცენზირება, სრულიად გაუგებარია. ჩვენი წინადადებაა კანონპროექტში ხაზი გაესვას კერძო და სახელმწიფო სკოლების სალიცენზიო მოთხოვნების იდენტურობას, მიუხედავად იმისა, თუ რომელი სტრუქტურა იქნება მისი დამფუძნებელი - სამინისტრო თუ პარლამენტი.

განათლების ბიზნესის, კერძო უმაღლესი სკოლის მიმართ კანონპროექტის ნაკლებად კეთილგანწყობილი დამოკიდებულება აშკარად ჩანს სხვა საკითხშიც. მუხლი 41.1."ზ" - ვკითხულობთ: "სტუდენტს (იგულისხმება სახელმწიფო უმაღლესი სკოლის სტუდენტი ბ.გ.) უფლება აქვს... გადავიდეს სხვა უმაღლეს სასწავლებელში და მოახდინოს მისთვის გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსების ამ დაწესებულებაში გადატანა". იქვე მოცემულია მინიშნება იმის შესახებ, რომ "ეს დებულება არ ვრცელდება კერძო უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებზე", რაც არასწორია. ჩვენი მოსაზრებით უმჯობესია, აღნიშნული წინადადება ასე ჩამოყალიბდეს: "ეს დებულება ვრცელდება მხოლოდ აკრედიტებულ კერძო და სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებზე".

### ათწლეულების განმავლობაში მოქმედი უნივერსიტეტების ხელახალი დაფუძნება მეცნიერულად არასწორია

მეცნიერულად მცდარია (შეიძლება ითქვას უპრეცედენტოა) მუხლი 86.2. მოთხოვნა სახელმწიფო (თუნდაც კერძო) უმაღლესი სასწავლებლების ხელახალი დაფუძნების შესახებ. ვფიქრობთ, არ არსებობს მეტნაკლებად ნორმალური სახელმწიფო, რომელშიც რამდენიმე ათეული წლის წინ დაფუძნებულ სასწავლებლებს ხელახლა აფუძნებენ. ამ საკითხის სამართლებრივი და პროფესიული გადაწყვეტის მარტივი გზაა: ათწლეულების განმავლობაში მოქმედ უმაღლეს სასწავლებლებს არ ჩაუტარდებათ ხელახალი ლიცენზირება, ისინი, მხოლოდ აკრედიტაციას და ისიც ნებაყოფლობით გაივლიან. რაც შეეხება უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში დაფუძნებულ სასწავლებლებს, სულერთია, კერძოა იგი თუ სახელმწიფო, სამინისტროს შეუძლია (ეს მისი არა მხოლოდ უფლება, არამედ მოვალეობაცაა) შეამოწმოს რამდენად ასრულებენ ეს უკანასკნელნი მათ მიერ ლიცენზიის მიღების დროს წაყენებულ მოთხოვნებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ამგვარი შემოწმება საჭიროა, ჩაუტარდეს უკანასკნელ წლებში სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებთან გახსნილ ყველა ფილიალს, სახელმწიფო უმაღლეს სკოლას და პროგრამას. ყველასათვის ცნობილია, რომ უკანასკნელ წლებში მოქმედი სალიცენზიო მოთხოვნები სულაც არ იყო მარტივი, მაგრამ ლიცენზიის მიმღებნი, ხშირ შემთხვევებში, ლიცენზირების ელემენტარულ ნორმებსაც ვერ აკმაყოფილებენ. ვფიქრობთ, საიდუმლო არავისთვისაა, რომ შევარდნაძის ხელისუფლების პირობებში ლიცენზიის მიღება, უმეტეს შემთხვევებში, კორუფციული გარიგების საგანს წარმოადგენდა. ძველი სალიცენზიო მოთხოვნების საფუძველზე ჩატარებული შემოწმების შედეგები, სავარაუდოდ, ორგვარი იქნება. სასწავლებელთა ერთ ნაწილს შეუნარჩუნდება ლიცენზია და გააგრძელებს ფუნქციონირებას, ხოლო მეორე ნაწილს, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მათ მიერ ლიცენზიის მიღების დროს დადგენილ სალიცენზიო მოთხოვნებს, ჩამოერთმევა ლიცენზია. შემდგომში, ამ სასწავლებლებზე, ისევე როგორც ყველა სხვა ახალ სასწავლებლებზე, ლიცენზიის გაცემა მოხდება მხოლოდ სამინისტროს მიერ დადგენილი ახალი სალიცენზიო პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

### მსოფლიო პრაქტიკაში ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა

მუხლი 87.2 - ვკითხულობთ: "საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახურის შექმნამდე (ე.ი. 2006 წლის სექტემბრამდე) მისი ფუნქციების განხორციელება უზრუნველყოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულმა". გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო პრაქტიკაში ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა. საინტერესოა, ვის მოუვიდა აზრად, რომ უნივერსიტეტების აკრედიტაციის ურთულეს საქმეს ერთი კომისია იწყებდეს და, ერთი წლის შემდეგ, მეორე აგრძელებდეს. ამგვარი მიდგომა საკითხის სრული უტრირება და უცოდინრობაა. გარდა ამისა, სამინისტროს ე.წ. "შესაბამისი სტრუქტურა", რომელმაც თითქოს უნდა დაიწყოს აკრედიტაციის პროცედურა, რამდენადაც ცნობილია, სამინისტროს მიერ მოიაზრება არა როგორც უმაღლესი, არამედ როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის აკრედიტაციის სტრუქტურა და მათი აღრევა დაუშვებელია. არსებობს კიდევ ერთი, არანაკლებ ანგარიშგასაწევი გარემოება და მისგან გამომდინარე მრავალი კითხვა: რატომ ფიქრობს განათლების სამინისტრო, რომ უნივერსიტეტები ნდობას გამოუცხადებენ ზემოთ დასახელებულ "სამინისტროს აკრედიტაციის სტრუქტურას"? ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც ამ სტრუქტურაში უნივერსიტეტების მონაწილეობის გარეშე მოხვდნენ? რამდენად კომპეტენტურები არიან ისინი, რომ უნივერსიტეტებმა თავიანთი ხარისხის მართვისა და აკრედიტაციის საკითხების რეგულირება მიანდონ? სამწუხაროდ, კანონპროექტს ამ კითხვებზე არა აქვს პასუხი.

### განათლების სამინისტროს "მიუთვისებია"

კანონპროექტი (მუხლი 61.2) მართალია ერთგან ამბობს, რომ "სააკრედიტაციო სამსახური დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში" და რომ იგი წარმოადგენს განათლების სამინისტროს მიერ შექმნილ "საჯარო სამართლის იურიდიულ პირს" (მუხლი 61.1), მაგრამ ეს ყოველივე კანონპროექტის მრავალი მუხლით გაბათილებული ლიტონი სიტყვებია. ამ მუხლების გაცნობა გვარწმუნებს, რომ ყოველგვარი უფლებამოსილებანი, რაც ჩვეულებრივ აკისრია უმაღლესი განათლების აკრედიტაციის სახელმწიფო სამსახურს, განათლების სამინისტროს "მიუთვისებია". მაგალითად, კანონპროექტში ვკითხულობთ: "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო შეიმუშავებს უმაღლესი განათლების სისტემის ინდიკატორებს" (მუხლი 77.ბ); "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ადგენს აკრედიტაციის ჩატარების წესსა და პირობებს, ახორციელებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციას" (მუხლი 7.1. ვ); "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და შესაბამისი პროფესიული გაერთიანებების მონაწილეობით ახორციელებს იმ დაწესებულებების აკრედიტაციას, სადაც შესაძლებელია რეზიდენტურის კურსის გავლა" (მუხლი 48.4); და ა.შ. როგორც ხედავთ, აკრედიტაციის ცენტრალურ სახელმწიფო სტრუქტურას, გასაკეთებელი თითქმის არაფერი რჩება. ბუნებრივად ისმის კითხვა: მაშ როგორღა არის იგი სამინისტროსგან დამოუკიდებელი (ე.ი. ზეწოლისაგან თავისუფალი) სტრუქტურა? სამწუხაროა, რომ კანონპროექტი ამ კითხვასაც უპასუხოდ ტოვებს.

### რეგულირებადი პროფესიების მართვის არასწორი სახელმწიფო პოლიტიკა

ის ფაქტი, რომ კანონპროექტი იურიდიულ, სამედიცინო და პედაგოგიურ პროფესიებს რეგულირებად პროფესიებად განიხილავს და მათი რეგულირებისათვის საჭიროდ მიაჩნია გარკვეული სტრუქტურების შექმნა, უკვე ნიშნავს სახელმწიფოს მხრიდან ამ პროფესიების მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას. ამასთან, ჩვენთვის სრულიად გაუგებარი და მიუღებელია (ეს არსად არ ხდება) სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი პროფესიების პროგრამების აკრედიტაციის პროცედურის დაფინანსება (მუხლი 73.1) და ეს იმ დროს, როდესაც განსახილველი კანონპროექტი სამომავლოდ დებს უმაღლესი განათლების ხარისხის მართვის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორის - სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სოციალური დაცვის რეგულირების საკითხს (მუხლი 87.7). და ეს იმ დროს, როდესაც, ამავე კანონპროექტის მიხედვით, სახელმწიფო, თურმე, ზოგიერთ საგანმანათლებლო პროგრამას სანახევროდ დააფინანსებს (მუხლი 79.2) და ა.შ.

### კანონპროექტით არ რეგულირდება უმაღლესი განათლების მართვის უმნიშვნელოვანესი საკითხები

კანონპროექტით არ რეგულირდება უმაღლესი განათლების უმნიშვნელოვანესი საკითხები, რომელთა გარეშე კანონი სრულფასოვანი არ იქნება, ესენია, პროფესორ-მასწავლებელთა სოციალური დაცვის სახელმწიფო გარანტიები, პროფესორ-მასწავლებელთა საუნივერსიტეტო სოციალური დაცვის მექანიზმები, სტუდენტთა სოციალური დაცვის სახელმწიფო გარანტიები, სტუდენტთა საუნივერსიტეტო სოციალური დაცვის მექანიზმები, ადგილობრივი თვითმართვისა და მართვის სტრუქტურების კომპეტენცია უმაღლესი განათლების სფეროში და სხვა. კანონპროექტის მიმართ, სამწუხაროდ, კიდევ არაერთი არსებითი და ტერმინოლოგიურ-მეცნიერული ხასიათის შენიშვნა გაგვაჩნია. ჩვენი ღრმა რწმენით, კანონპროექტი სერიოზულ გადამუშავებას მოითხოვს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მასში არის მთელი რიგი თავები და მუხლები, რომლებიც არ საჭიროებენ შესწორებას, ესენია, მუხლი 3, თავი IV, თავი V, და სხვა.

***ბელა გომელაური***
*რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფესორი. აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის პროგრამის სტაჟიორი უნივერსიტეტების ადმინისტრირების დარგში*

"რაც უფრო ძველია ღვინო, მით უკეთესია"



B4

"ქართუ ბანკი" გაიტანეს



B5

"პარნასი" ნებისმიერი თაობის ლიტერატორთათვის



B7

მის საქართველო

# ფინალისტები



ეკა ბოყოველი



სანდრა ბუაძე



ნანუკა კალანდაძე

ირმა ბარიქაძის ფოტოები

## ეკა ბოყოველი:

"მგონი, უფრო თავდაჭერებული გავხდი".

20 წლის. სიმაღლე 172 სმ. 84-63-93.

დამთავრებული აქვს მუსიკალური სასწავლებელი.

მომავალში აპირებს სამოდელო ბიზნესში გააგრძელოს მუშაობა.

მისი გატაცება: ცეკვა, სიმღერა, ხატვა.

**- მუსიკალური რა განხრით დაამთავრე?**

- ფორტეპიანოსი.

**- საყვარელი კომპოზიტორი გყავს?**

- ბეთჰოვენი.

**- რა დროს უსმენ ხოლმე ბეთჰოვენს?**

- ყოველ ღამე, დაწოლის წინ, მამშვიდებს ძალიან.

**- სიზმრებზეც ხომ არ მოქმედებს?**

- სიზმრებზე არა.

**- როგორ მოხვდი "მის საქართველოს" ფინალზე?**

- მირჩიეს და ჭიათურაში გამართულ შესარჩევ ტურში ვცადე ბედი, მეორე ადგილზე გავედი, გავხდი "ხალხის სიმპათია" და მოვხვდი "მის საქართველოს" 27 გოგონას შორის.

**- აქამდე არ გიცდია მოდელობა?**

- აქამდე არ მქონია შანსი. როცა მომეცა, გამოვიყენე.

**- სურვილი გქონდა მანამდე?**

- სურვილი ყოველთვის მქონდა.

**- ფინალისთვის მოსამზადებელ საქმიანობაში გამორჩეულად თუ მოგეწონა რამე?**

- რა ვიცი, აქ ყველაფერი ძალიან მომწონს. განსაკუთრებით, ალბათ - ცეკვა.

**- პროფესიონალი მოცეკვავე ხარ?**

- ცეკვის სკოლა მაქვს დამთავრებული.

**- რას ცეკვავ?**

- ქართულს.

**- ხატვაც სერიოზული გატაცებაა შენი?**

- კი, ჩემთვის ვხატავ ხოლმე.

**- ძირითადად, რას ხატავ?**

- რა ვიცი, რაც მომინდება იმას.

**- როგორ ფიქრობ, ათეულში მოხვედრის რამდენად დიდი შანსი გაქვს?**

- ნამდვილად ვერ გეტყვი, არ ვიცი.

**- ისე, აქამდე უფრო თავდაჯერებული იყავი თუ ამჟამად?**

- მგონი, უფრო თავდაჯერებული გავხდი.

## სანდრა ბუაძე:

"მოდელობა ბავშვობაში მინდოდა."

17 წლის. სიმაღლე 173 სმ. 90-64-94

სახელმწიფო მუსიკალური კონსერვატორიის სტუდენტი.

სურს გამოვიდეს პროფესიონალი მევიოლინე.

მისი გატაცებაა ფოტოგრაფია და ფიგურული სრიალი.

**- მოდელობაზე არასდროს გიფიქრია?**

- სერიოზულად არა, შეიძლება ბავშვობაში მეც მიოცნებია. რაც წამოვიზარდე, უფრო მევიოლინეობა მინდოდა.

**- ბავშვობაშიც კი არ გიოცნებია მოდელობაზე?**

- ისე, ბავშვობაში კი მინდოდა, მაგრამ შემდეგ უფრო სერიოზულად მუსიკოსობაზე ვფიქრობდი.

**- ე.ი. შემთხვევით მოხვდი კონკურსზე?**

- შეიძლება ითქვას. შარშან მეგობარმა მთხოვა, გამოვსულიყავი მისი მოდელების ჩვენებაზე. მოხდა ისე, რომ მოვეწონე ჩემი მეგობრის სასწავლებლის დირექტორს, რომელმაც მიმიყვანა იმერეთში "მის საქართველოს" შესარჩევ კონკურსზე. კონკურსზე გავიმარჯვე და ასე მოვხვდი "მის საქართველოს" შესარჩევ ტურში. ახლაც, რადგან გაჩნდა ასეთი საშუალება, უარი არ ვთქვი.

**- თანაც, გაგიმართლა.**

- კი და მიხარია. ეტყობა ბავშვობისდროინდელმა სურვილმა გაიღვიძა.

**- დიდი ხანია რაც ფოტოებს იღებ?**

- სამი წელიწადია.

**- და ძირითადად, რისი გადაღება გიყვარს: ბუნების, ხედების, ადამიანების?**

- რაც მომეწონება, ყველაფერს ვიღებ. ადამიანებსაც. არ ვიცი, ასე ვერ გამოვყოფ.

**- გამოფენის მოწყობას არ გეგმავ?**

- სურვილი მაქვს, ვნახოთ.

## ნანუკა კალანდაძე:

"ყველაფერში ზომიერებაა საჭირო."

17 წლის. სიმაღლე 184 სმ. 85-62-93

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი.

საკუთარ თავს ახასიათებს, როგორც თავმდაბალსა და კაცთმოყვარეს.

ოცნებობს, გახდეს "მის საქართველო."

**- ნერვიულობთ?**

- ცოტას კი ვნერვიულობ.

**- და თქვენი ასეთი მდგომარეობა ზოგად სიტუაციასაც თუ ცვლის?**

- არა, რას ამბობთ! ძალიან მეგობრული დამოკიდებულება გვაქვს ერთამენთისადმი, ყველაფრის მიუხედავად.

**- კონკურსის შემდეგ, შედეგების მიუხედავად, ყველაზე მეტად ამ პერიოდიდან რა მოგენატრებათ?**

- პირველ რიგში, მეგობრები მომენატრებიან და ისინი, ვინც მთელი ამ ხნის განმავლობაში გავიცანი.

**- ფინალის შემდეგ არ გააგრძელებ მათთან მეგობრობას?**

- იმედი მაქვს, რომ გავაგრძელებ.

**- ათეულში მოხვედრის რამდენად დიდი შანსი გაქვს?**

- ყოველ შემთხვევაში, იმედი მაქვს, რომ მოვხვდები.

**- ამბობ, რომ თავმდაბალი ხარ. ბევრს ხვდები ასეთ ადამიანს ცხოვრებაში?**

- კი, ჩემ გარშემო არიან თავმდაბალი ადამიანები.

**- როგორ ფიქრობ, შეიძლება თავმდაბლობამ ადამიანს რაიმეში ხელი შეუშალოს? ბარიერად იქცეს რაიმე მნიშვნელოვანის მიღწევაში?**

- ალბათ, ზედმეტად თავმდაბალი არ უნდა იყო. ყველაფერში ზომიერებაა საჭირო ჩემი აზრით, და მათ შორის, თავმდაბლობაშიც.

**- შენ თვითონ რამდენად ზომიერად თავმდაბალი ხარ?**

- ვფიქრობ, რომ ზომიერად თავმდაბალი ვარ.

**- ფინალზე რამდენიმე ნომინაციაში მოგიწევს საკუთარი თავის წარმოჩენა. თუ იცი წინასწარ, რომ გარანტირებულად ვერ გაიმარჯვებ რომელიმე ნომინაციაში?**

- ალბათ, ეგზოტიკურ გარეგნობაში. არ მაქვს ეგზოტიკური გარეგნობა.

**- სერიოზულად აპირებ სამოდელო კარიერის შექმნას?**

- ჯერჯერობით ვაპირებ. მომავალში რა იქნება, არ ვიცი.


საჩუქრის ახალი ფორმა!

გსურთ გაუკეთოთ განსაკუთრებული საჩუქარი ახლობელ ადამიანს? გიჭირთ არჩევანის გაკეთება?

შეიძინეთ და აჩუქეთ მაღაზია-სალონი სან-სეტის სასაჩუქრო ბარათი და საჩუქრის არჩევანის უფლება ბარათის მომავალ მფლობელს მიანდეთ.

ვაჟა-ფშაველას 32

ტელ: 911991 877-791991



# აფიშა



## თეატრები

**ფოლკლორის თეატრი "ნაბადი"**
თეატრის გახსნა
"ნაბადი"
დას: 20:00 სთ.
ფასი: 68 ლარი.

**სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი**
სეზონის გახსნა
აკა მორჩილაძე
"ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები"
რეჟისორი: დავით ანდღულაძე
დას: 18:00 სთ

**თავისუფალი თეატრი**
პრემიერა
"დონ ჟუანი"
დას: 19:00 სთ

## გამოფენები

**ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
პოლონელი მხატვრის ზიგმუნდ ვალიშევსკის ნამუშევრების გამოფენა

**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
"ელექტრონული დედამიწა - თანამედროვე ბრიტანული ვიდეო-არტი"

**ქარვასლა**
პროექტი "სამშაბათი გასულია"
შვეიცარელი, ამერიკელი და გერმანელი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა

გურამ გაბუნიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა "ასი პორტრეტი"
III სართული, I დარბაზი

**სურათების ეროვნული გალერეა**
"თბილისი თბილისელ მხატვართა შემოქმედებაში"

## კინოთეატრები

**ამირანი**
"შრეკი 2"
დას: 14:00; 16:00; 18:00; 20:00 სთ

"სტეპფორდელი ცოლები"
დას: 22:00 სთ

## კონცერტები

**კუს ტბა**
ელექტრონული საცეკვაო მუსიკის ფესტივალი
ადგილობრივი და მოწვეული დი-ჯეების მონაწილეობით
დას: 15 საათიდან.
ფასი 10 ლარი.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

ფოსტა

# ღია წერილი ქ-ნ ნინო ანანიაშვილს!

უცნაური ფორმით მიხდება თქვენთან ურთიერთობა; როგორც ირკვევა, სხვა გზები გადაკეტილია...

თქვენ დაბრუნებას და საბალეტო დასის ხელმძღვანელობას მე და, ამ შემთხვევაში არ ვარ გამონაკლისი, შევხვდი დიდი სიხარულით და დიდი იმედით. ველოდი თქვენთან შეხვედრას, საუბარს და ურთიერთ-თანამშრომლობას. სამწუხაროდ დღეს ეს იმედი ამოიწურა... ვფიქრობ ამოიწურა არასახარბიელო ფორმით.

მეორე თვეა, კულტურის სამინისტროს თანამშრომლები ბრალს მდებენ არაკვალიფიციურობაში და არაპროფესიონალიზმში; და ყოველივე კეთდება თქვენს სახელს ამოფარებული.

ყოველივე ამის შესახებ საუბარს ამ წერილში თავს ვარიდებ.

დღეს ქვეყანაში მიდის რეორგანიზაცია, კადრების შეცვლა და ა.შ. იგივე მოხდა ოპერისა და ბალეტის თეატრში და ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიულ სასწავლებელშიც. ჩემთვის ყველაფერი გასაგებია, მისაღებია და არც არავითარი პრეტენზიები გამაჩნია. ერთი კია და, ჩემი აზრით, 21-ე საუკუნეში შესაძლებელი და საჭირო იყო უფრო ცივილური ფორმებით მოქმედება, მით უმეტეს, ორ შემოქმედს შორის, რომელთაც დიდი საბალეტო ხელოვნება და ტრადიციები აკავშირებთ.

*პატივისცემით,*
*თამაზ ვაშაკიძე*

# ცეკვა გათენებამდე

## მეორე ფესტივალი ელექტრონული საცეკვაო მუსიკის მოყვარულებს

ვერა ნეფარიძე

*კუს ტბა; სამი საცეკვაო მოედანი; ოცამდე ადგილობრივი და მოწვეული დიჯეი; დისკოთეკა შუადღიდან გათენებამდე, - ასეთი იქნება დღევანდელი, ელექტრონული საცეკვაო მუსიკის რიგით მეორე ფესტივალი, რომელსაც ორი კომპანია - "შედოუქეთი" და Fancy Lane ერთობლივად ორგანიზატორობს.*



ვახო ბესელიას ფოტო

*ფესტივალის ბრიტანელი, თურქი და ავსტრიელი მონაწილეები.*

ელექტრონული საცეკვაო ფესტივალის გამართვა პირველად შარშან სცადეს, თბილისის ზღვაზე. ორგანიზატორები არ აჭარბებებენ, როდესაც ამბობენ, რომ შარშანდელმა გაამართლა. ახალგაზრდობა მივიდა, გაერთო და მუსიკაც მოეწონა. ამ ფესტივალის ფუნქციაც სწორედ ეს იყო. ერთი წლის განმავლობაში როგორც "შედოუქეთის" წარმომადგენლები ამბობენ, ჩვენთან საკლუბო მუსიკის კულტურა გაიზარდა, რაც, თბილისში დასავლელი დიჯეების აქტიური იმპორტის შედეგია. ამ საქმეში კი ლომის წილი კომპანია "შედოუქეთსაც" მიუძღვის. კომპანიის მიერ შეთავაზებული დიჯეები თითქმის ყოველთვის ამართლებენ. სწორედ ამიტომაც, შარშანდელი ფესტივალის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, რიგით მეორე ღონისძიება უფრო მასშტაბური ყოფილიყო.

ამჯერად ფესტივალს ორი კომპანია "შედოუქეთი" და Fancy Lane (თუ გახსოვთ, იტალიელი ინგრიდი ორივეჯერ მათ ჩამოიყვანეს) ორგანიზატორობს. წლევანდელ ფესტივალზე ოცამდე დიჯეი გამოვა, მათ შორის იქნებიან როგორც ადგილობრივები, ისე სხვადასხვა ქვეყნებიდან მოწვეულნი. "რატომ შევარჩიეთ მაინცადამაინც კუს ტბა? - ჯერ ერთი, თბილისში ყველაზე პოპულარული ადგილია და, რაც მთავარია, აქ არის საშუალება ერთდროულად რამდენიმე სცენამ იმუშაოს", - ამბობენ ფეტსივალის ორგანიზატორები. რაც შეეხება ბილეთების ღირებულებას, ვფიქრობ ორგანიზატორებმა მისაღები ფასი შეარჩიეს - ათ ლარად ცეკვის მოყვარულებს უნდა ულირდეთ ასეთ იშვიათ (რომელიც, წელიწადში ერთხელ იმართება ღია ცის ქვეშ) ღონისძიებაზე დასწრება.

ორგანიზატორები გვპირდებიან, რომ მოწვეულებიდან ყველა დიჯეი გამოცდილია და თითოეული მათგანი საკუთარ თავს მაქსიმალურად დღესვე გამოავლენს. მათი შერჩევისას, ორგანიზატორებმა მუსიკალურ მრავალფეროვნებაზეც იზრუნეს. სამივე სცენაზე ერთმანეთისგან სტილისტურად განსხვავებული საცეკვაო მუსიკა ("პროგრესივი", "დიფ ჰაუსი", "ბრექ ბითი", "პროგრესივ ტრანსი" და ა.შ.) იქნება ჩართული. "მე პირადად, 200 ფირფიტა წამოვიღე, ანუ ყველაფერი, რაც კი მაქვს. იმის მიუხედავად, რომ "პროგრესივ ჰაუსში" ვმუშაობ, გავითვალსიწინებ პუბლიკის გემოვნებას მისი რეაქციის მიხედვით", - გვითხრა ავსტრიაში საკმაოდ ცნობილმა დიჯეიმ, მისტერ რობიმ. "ჩემთვის ამ ფესტივალზე გამოსვლა ძალიან საინტერესოა, რადგანაც ეს ყველაფერი საქართველოში, ალბათ, ახლა იწყება, ჩვენთან კი, შეიძლება ითქვას, უკვე ძველია. მაინტერესებს პუბლიკის რეაქცია", - ამბობს პოლ როსი. ის დღეს "ბრექ ბითს" შესთავაზებს კუს ტბის სტუმრებს. ფესტივალზე დღეს ორი გოგო გამოვა. ბურკუმი სტამბულიდანაა და ამაყობს, რომ ყოველთვის ახერხებს მუშაობისას პუბლიკასთან კონტაქტს. რაც შეეხება ლილუს, ის ერთადერთი (ყოველ შემთხვევაში, კლუბებში გამომსვლელთაგან) დიჯეი გოგონაა საქართველოში (თურქეთთან შედარებით არაა ცუდი მაგალითი - თურქული აუდიტორია თურმე მხოლოდ ორ ადგილობრივ დიჯეი გოგონას იცნობს). "დიჯეობა ჩემი მეუღლისგან ვისწავლე, რომელიც ყოფილი დიჯეია, ამჟამად კი, ჩემი მენეჯერი და პროდიუსერია", - ამბობს ლილუ, რომელიც თებრვლიდან "აჭარა მიუზიკ ჰოლში" მუშაობს, ფესტივალში კი პირველად მონაწილეობს.

ფესტივალზე თითო დიჯეი ერთსაათიანი, მაქსიმუმ ორსაათიანი მიქსით გამოვა. "ჩვენ ყველანაირად შევუწყობთ ხელს დიჯეებს, გაეცნონ აუდიტორიას", - თქვეს ფესტივალის ორგანიზატორებმა. რაც შეეხება ადგილობრივ დიჯეებს, თბილისელებისთვის კარგად ცნობილთა შორის, რამდენიმეს რეგიონიდან, კერძოდ კი ბათუმიდანაც ელოდებიან.

# ფოტო კადრირების გარეშე

დესი დაშკოვა



იური ლობოდინის ფოტო

*პოლ კოლჰუნი ქარვასლაში.*

პოლ კოლჰუნი ამერიკელი ფოტოგრაფია, რომელსაც გამოფენა საკუთარი კონტინენტის გარდა ევროპასა და აზიაშიც ჰქონია. მისი ფოტოები კერძო და სახელმწიფო კოლექციებშია დაცული. 1991 წელს პოლ კოლჰუნის შემოქმედება ნიუ იორკის შტატის მიერ აღიარებულ იქნა, როგორც დიდი წვლილი ხელოვნებაში, ხოლო 2001 წელს მისი გამოფენა იარაღით ძალადობის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში აღიარეს, როგორც მნიშვნელოვანი წვლილი კაცობრიობისათვის.

გუშინ თბილისში, ქარვასლაში მისი ფოტოგამოფენა გაიხსნა. გამოფენაზე წარმოდგენილია მისი 40 ფოტო და ასევე ამერიკელი სტუდენტების 30 ნამუშევარი პროგრამიდან Arts at Large - ხელოვნება დაუცველთათვის.

პოლ კოლჰუნი უკვე 20 წელია კითხულობს ლექციებს ფოტოგრაფიის შესახებ. ამჟამად ის დაკავებულია პროგრამით Arts at Large, რომელსაც მხარს უჭერს აშშ-ს განათლების დეპარტამენტი. ამ პროგრამის მიზანია სოციალურად და ეკონომიკურად დაუცველი ახალგაზრდების დაახლოება ხელოვნებასა და პროფესიონალ მხატვრებთან. "ის ბავშვები, რომლებთანაც მე ვმუშაობ, ყოველდღიური რისკფაქტორის ქვეშ არიან: მკვლელობა, ქურდობა, ძალადობა, ნარკომანია... " - ამბობს ფოტოგრაფი და უკვე ისიც იცის, რომ რისკფაქტორი არც საქართველოს ბავშვებისთვისაა უცხო.

პოლ კოლჰუნი საქართველოში თანამშრომლობს ქართველ ახალგაზრდებთან, იგივე პროგრამით - ხელოვნება დაუცველთათვის და საზოგადოება Caritas Georgia-ს აღსაზრდელებს ფოტოგრაფიას ასწავლის. "ეს საზოგადოება სოციალურად დაუცველებს კურირებს და ჩემს თხოვნას თანამშრომლობის შესახებ, ინტერნეტით სწორედ ისინი გამომეხმაურნენ. რაც შეეხება ბავშვებს, გასაოცრად ნიჭიერები არიან" - აღნიშნა კოლჰუნმა.

ის თავის სტუდენტებს ვისკონსიის შტატის ქალაქ მილუოკის უმაღლეს სკოლაში ასწავლის. ეს სკოლა ქალაქის უღარიბეს უბანშია და დაახლოებით ათასი სტუდენტიდან უმეტესობა აფრო-ამერიკელია. ფოტოგრაფიის კლასი იკრიბება ლექციების შემდგომ და სტუდენტები სწავლობენ კამერის გამოყენებას, ფირის გამჟღავნებას და შავთეთრი ფოტოების გადიდებას. პროგრამის მონაწილეები, ძირითადად, იღებენ სკოლის შემოგარენს, რომელიც, ამავე დროს, საშიში ადგილიცაა. გადასაღებად კი იმ პიროვნებებს არჩევენ, ვინც ამ ადგილის უკეთეს საცხოვრებლად ქცევას ცდილობს.

გამოფენაზე წარმოდგენილი თორმეტი სტუდენტისთვის ეს მნიშვნელოვანი მოვლენაა: მათი ნამუშევრები სამშობლოსგან შორს, მსოფლიოს სხვა კუთხეშია წარმოდგენილი.

მათთვის ძალიან საინტერესო იქნება ქართველი დამთვალიერებლის აზრიც - მათი ნამუშევრების შეფასება. "სტუდენტების ნამუშევარს მასწავლებლის ფოტოებისგან, პირველ რიგში, ხედვა განასხვავებს - უფრო თამამი და თანამედროვეა" - აღნიშნა ერთ-ერთმა ქართველმა ფოტოგრაფმა. რაც შეეხება თავად მასწავლებლის ნამუშევრების შეფასებას, ქართველ პროფესიონალთაგან ითქვა, რომ "არაფერი განსაკუთრებული არ არის", "დაახლოებით მაგნუმის სტილია, მაგრამ მაგნუმი არ არის", "ეს არ არის თანამედროვე სტილი - ტექნიკური ფეიერვერკი", "კარგია" "კადრირება აკლია", "მოსწავლეებსა და მასწავლებელთან თემები მეორდება, აი ნახე, ხელები..."

"ხელების" გამეორებისა რა მოგახსენოთ, ერთს კი გეტყვით, რომ მე ერთი პროფესიონალი ახლობელი ფოტოგრაფი მყავს, საკუთარ ფეხებს გატაცებით რომ იღებს და რა გითხრათ?! ძალიან კარგია - ენერგიულიც, მეტყველიც, მხატვრულიც, პიქსელებიანიც და არც თემის განმეორება მიშლის ხელს - რა გაახურა ამ თავისი ფეხებით, ერთფეხოვანია-მეთქი, არ ვფიქრობ. საბოლოო ჯამში - ყველა ფოტო წამია დროში და სივრცეში დაფიქსირებულ-დაპიქსელებული.

პოლ კოლჰუნი "ნიკონით" და "მამიათი" მუშაობს. მოძრაობაში "ნიკონს" არჩევს. რაც შეეხება კადრირებას, ფოტოგრაფმა ხელები გაასავსავა "არავითარ შემთხვევაში, კადრებს არ ვაკეთებ, მიმაჩნია, რომ არჩევანის უფლება მანამ მაქვს, ვიდრე ღილაკს დავაჭერ".

# ეს დანაშაული უნდა გამოსწორდეს!!!

თამარ ჭაჭანიძე

*საქართველოს ტელერადიო მაუწყებლობის რევაზ ლაღიძის სახელობის სიმფონიური ორკესტრი ლიკვიდირებულია. საქართველოს რადიოს "ოქროს ფონდის" შემქმნელი ორკესტრი ტელერადიო მაუწყებლობის საზოგადოებრივ ტელევიზიად გარდაქმნის პროცესს შეეწირა.*

"სამწუხაროდ, საქართველოს ახალი სახელმწიფო ჰიმნი ჩვენი ორკესტრისთვის რექვიემი აღმოჩნდა," - აცხადებენ საქართველოს ტელერადიო მაუწყებლობის რევაზ ლაღიძის სახელობის სიმფონიური ორკესტრის წევრები. ორკესტრანტები დღეს სამსახური, გარეშე არიან დარჩენილნი და მომავალში საკუთარი პროფესიით დასაქმების პერსპექტივასაც ვერ ხედავენ. გუშინ კომპოზიტორთა კავშირში შეკრებილი საზოგადოება ერთხმად გამოთქვამდა სინანულს ორკესტრის ლიკვიდაციის გამო და შექმნილი უიმედო სიტუაციიდან გამოსვლის გზებს ეძებდა.

1935 წელს დაფუძნებულ ორკესტრს სამოცდაათ წლიანი თანამშრომლობა აკავშირებს ტელევიზიასთან დაქვემდებარებულ ტელეფილმების სტუდიასთან, კინოსტუდია "ქართულ ფილმთან". ორკესტრს მრავალი სახელოვანი ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოები აქვს შესრულებული, რომელთა უმრავლესობაც თავად დირიჟორობდა საკუთარ ნაწარმოებებს. წლების მანძილზე ამ ორკესტრს ხელმძღვანელობდნენ ცნობილი ქართველი მაესტროები: ალექსანდრე ნასიძე, გივი აზმაიფარაშვილი, ლილე კილაძე, ზაზა აზმაიფარაშვილი. ამ ორკესტრთან სისტემატურად მართავდნენ კონცერტებს საქართველოს ყველა თაობის სოლისტები, ინსტრუმენტალისტები და მომღერლები. მაესტრო ლილე კილაძის დროიდან კი სიმფონიური ორკესტრი ცოცხლად უკრავდა რადიოს პირდაპირ ეთერში.

საქართველოს ტელერადიო მაუწყებლობის ხელმძღვანელი ზაზა შენგელია, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ორკესტრის გაუქმების შესახებ, დიდ ფუფუნებდ თვლის 80-წევრიანი, მუდმივმოქმედი ორკესტრის ტელევიზიასთან არსებობას, თუმცა მათი თვიური ანაზღაურება 30-40 ლარს არ აღემატებოდა. "ჩვენ დიდი მოთმინებით და ენთუზიაზმით ვმუშაობდით უკეთესის მოლოდინში, ბოლომდე ვიხარჯებოდით ყოველი მუსიკალური ნაწარმოების შესრულებისას, შედეგად კი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გაგვათავისუფლეს. მადლობის გადახდაც კი არავის მოსვლია აზრად, ასეთი შრომატევადი და თავდადებული მოღვაწეობისთვის",- ჩივიან ორკესტრანტები. ისინი ერთხმად აცხადებენ, რომ ანაზღაურების პრობლემაზე არ აქვთ პრეტენზია და არც საქართველოს ტელევიზიისთვის უნდა იყოს გრანდიოზული თანხა 4 039 ლარი, რაც ორკესტრის თვიურ სახელფასო ფონდს შეადგენს. ეს თანხა, ხშირ შემთხვევაში, პირველი არხზე ერთი საავტორო გადაცემის წამყვანის ხელფასის ტოლია, მით უმეტეს, რომ წელს საქ. ტელერადიო მაუწყებლობის დაფინანსებისთვის საქართველოს ბიუჯეტში დამატებით სამი მილიონი ლარია გათვალისწინებული.

"მსოფლიოს ყველა ქვეყნის დედაქალაქში ფუნქციონირებს ტელერადიოს სიმფონიური ორკესტრები. საქართველოს ტელერადიო მაუწყებლობაში კი რევაზ ლაღიძის სახელობის სიმფონიური ორკესტრის გარდა, ხალხური საკრავების ერთადერთი ორკესტრიც გააუქმეს. ამ გადაწყვეტილების აღსრულება უდიდესი დანაშაული იქნება ერისა და მისი კულტურული მემკვიდრეობის წინაშე," - აცხადებს ორკესტრის დირიჟორი ვადიმ შუბლაძე და იმედს გამოთქვამს, რომ საზოგადოების ჯანსაღად მოაზროვნე ნაწილი არ შეურიგდება საქართველოს ტელერადიო მაუწყებლობის ხელმძღვანელობის ამგვარ გადაწყვეტილებას, საქართველოს ხელისუფლება კი კეთილ ნებას გამოიჩენს და რევაზ ლაღიძის სახელობის სიმფონიური ორკესტრის რეაბილიტაციას შეუწყობს ხელს.

სანამ ხელისუფლების ყურამდე ორკესტრის გასაჭირი მიაღწევს, ორკესტრანტების უმრავლესობა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღებით ცდილობს ახალი, ბევრად უფრო საიმედო სამსახურის შოვნას, მაგრამ განა რამდენ მათგანს გაუმართლებს?!

# უფრო კარგად ვიგრძენი უფლისციხე

თამარ სუხიშვილი



ცნობილი გერმანელი მეცნიერ-მოგზაური მორიც ვაგნერი: "ნანგრევები ისეთი თავისებურია, რომ თვით თებეს, ჰელიოპოლისის და პალმირის ნანგრევთა მნახველი მოგზაური იპოვნიდა მასალას გაოცებისათვის

კულტურის სამინისტროს რეგიონული დეპარტამენტის ინიციატივით უფლისციხეში გაწმენდა-გამაგრების სამუშაოები დაიწყო, რომელშიც სამხატვრო აკადემიის სტუდენტები ჩაებნენ.

გურამ რჩეულიშვილი "უსახელო უფლისციხელის" ექსპოზიციაში თავის მწერლურ ლაბორატორიაში გვახედებს: "გადავწყვიტე, უფრო ღრმად შემესწავლა უფლისციხის ისტორია... გავეცანი აღმოსავლეთ საქართველოს უძველეს სავაჭრო გზებს, რომლებიც აქ გადიოდა, გავეცანი მის მიდამოებს. სადღაც აესხა მძივი. შევადგინე კონსპექტი: უფრო კარგად ვიგრძენი უფლისციხე."

უკეთეს მრჩეველს ვერც ინატრებ. ჩავიკითხე, გადავათვალიერე ქართული ენციკლოპედიის სათანადო სიტყვა-სტატია, ლეონტი მროველი, ვახუშტი ბატონიშვილი... წერილობით წყაროებში უფლისციხე პირველად VII საუკუნეში მოიხსენიება, თუმცა მისი ისტორია გაცილებით ადრე იწყება. უფლისციხისა და მის შემოგარენში დაცული უძველესი არქეოლოგიური და ხუროთმოძღვრული ძეგლები ადრინდელი ბრინჯაოს ხანისაა და მტკვარ-არაქსის კულტურის წრეს მიეკუთვნება. ვახუშტი ბატონიშვილი შთამბეჭდავად აგვიწერს მცხეთოსის ძის, უფლოსის მიერ კლდეში ნაკვეთ დიდ ქალაქს: "შენობა უცხო კლდისაგან გამოკვეთილი; პალატნი დიდ-დიდნი, ქანდაკებულნი კლდისგანვე; გვირაბი ჩახვრეტით ჩაკაფული." უფლისციხე უძველესი სამხედრო-სტრატეგიული პუნქტი იყო. ისტორია აქ დიდი ალექსანდრე მაკედონელის კვალსაც პოულობს და გარეშე თუ შინაური მტრის მძიმე ნაკვალევს: "აწ არს შემუსრვილი" - გვამცნობს ისტორიკოსი. ეს შემუსვრილი უფლისციხე აოცებდა და ახლაც აოცებს მტერ-მოყვარეს. "ნანგრევები ისეთი თავისებურია, რომ თვით თებეს, ჰელიოპოლისის და პალმირის ნანგრევთა მნახველი მოგზაური იპოვნიდა მასალას გაოცებისათვის" - ამას ცნობილი გერმანელი მეცნიერ-მოგზაური მორიც ვაგნერი აღნიშნავს, რომელმაც XIX საუკუნის I ნახევარში იმოგზაურა საქართველოში. ხალხისთვის, რომელიც ამ ქვაბულებს აშენებდა, "უცხო არ იყო საკმაოდ მაღალი კულტურაო," - გვეუბნება მოგზაური, რომლის აღფრთოვანება ზუსტად იმეორებს შვეიცარიელი მკვლევრის, დიუბუა დე მონპერეს სამოგზაურო შთაბეჭდილებების პათოსს.

უკვე რაღაც ვიცოდი უფლისციხის შესახებ. მერე ხელახლა გადავიკითხე "უსახელო უფლისციხელი" და ისევ გურამ რჩეულიშვილს დავესესხები: "უფრო კარგად ვიგრძენი უფლისციხე". ლექსებიც გადავიკითხე, აი, ისეთები, ცნობილი სტრიქონები რომაა: "უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი არა დაღვრილის, - დასაღვრელის, ალბათ, მაცნეა..."

აი, ამის შემდეგ კი თუ ჩვენებურ საბაზრო ეკონომიკის შედეგებს ბოლომდე არ გაუუკულმართებიხარ, ცოტა ჟრუანტელმა მაინც უნდა დაგიაროს, მიხვდე, რომ ამ სიმდიდრის უფალი შენა ხარ და უფლისციხის ამ გადარჩენილ ნანგრევებს განსაკუთრებული ზრუნვა და გაფრთხილება ახლა შენგან სჭირდება, მერე - სხვისგან და ა.შ.

აქციის მიზანიც ეს იყო. კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილება - კომპლექსის მოვლა-პატრონობის საქმეში ახალგაზრდების ჩართვა არქიტექტურული ძეგლის გაწმენდა- დასუფთავებასთან ერთად იმასაც გულისხმობს, რომ ახალმა თაობამ უფრო კარგად "იგრძნოს" უფლისციხე.

უფლისციხეში 15 სექტემბერს სამხატვრო აკადემიის სტუდენტებთან ერთად ჩავედი. სულ ათი კაცი იყო. მეორე დღეს მათ კიდევ შვიდი სტუდენტი შეემატა. ხელმძღვანელის გარდა სტუდენტებს კულტურის სამინისტროს რეგიონული დეპარტამენტის უფროსი პაპუნა დავითაია და ამავე დეპარტამენტის წარმომადგენელი სულხან სიბაშვილიც ჩამოყვნენ. სტუდენტები დააბინავეს, ცოტა წაეხმარნენ კიდეც, რაღაც მითითებებიც მისცეს. თბილისიდან წამოსულ ჯგუფს შიდა ქართლის კულტურისა და სპორტის სამმართველოს უფროსი რობერტ მაღლაკელიძე და სხვა წარმომადგენლებიც შეუერთდნენ, ახალგაზრდებს დახვდნენ, უმასპინძლეს, კომპლექსი დაათვალიერებინეს... ამ სტუდენტებიდან ზოგი პირველად იყო უფლისციხეში, ზოგიც უკვე რამდენჯერმე იყო ნამყოფი, ყველა თავისებურად განიცდის უფლისციხეს, მაგრამ სიძველისა და იდუმალების შთაბეჭდილება ალბათ ყველას ერთნაირი აქვს. და როცა გზებზე უფლისციხის მუდმივი მკვიდრნი - ნაცრისფერი ჯოჯოები გადაირბენენ, ზოგს გურამ რჩეულიშვილიც გაახსენდება - "იქნებ შემოსული მოძალადეების შთამომავლები არიან ჯოჯოები... იქნებ დაპატარავდნენ და ჯავშანში გახვეულები დარბიან..."

დღეს უკვე უფლისციხის არქეოლოგიურ-არქიტექტურული კომპლექსის გაწმენდა-დასუფთავების სამუშაოებით 17-კაციანი ჯგუფია დაკავებული: სამხატვრო აკადემიის 16 სტუდენტი და ერთი ხელმძღვანელი - ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელი დავით ჩიხლაძე. ისინი აქ ათ დღეს იმუშავებენ.

ციხე-ქალაქის ქვაბულების კედლებსა და ჭერზე დროთა განმავლობაში ბზარები გაჩენილა. ამ ბზარებში მიწა იყრება და ბალახი ამოდის. წვიმას ეს მიწაც და ბალახიც კედლის სიღრმეში ჩააქვს. ამას თუ არავინ მიხედა, უნიკალური კომპლექსი შეიძლება სერიოზულად დაზიანდეს. ეს სტუდენტური აქციაც ამ ბზარების დასუფთავებას და გამაგრებას ისახავს მიზნად - ბზარები გაიწმინდება და მერე სპეციალიზებული სამშენებლო ხსნარით ამოივსება. სტუდენტები უკვე გულმოდგინედ შეუდგნენ საქმეს. მათთვის ეს პრაქტიკაც არის, დასვენებაც, გართობაც და დიდი პასუხისმგებლობაც. კულტურის სამინისტრო რამდენჯერმე მოგვევლინა ანალოგიური ღონისძიების ინიციატორად. ეს სტუდენტების მეოთხე გასვლაა დასუფთავება-სარესტავრაციო სამუშაოებზე. პირველად ისინი ხარაგაულის რაიონს ესტუმრნენ, - ბორითის წმინდა გიორგის ეკლესიას, სადაც რესტავრატორებს ეხმარებოდნენ აზომვით და სარესტავრაციო სამუშაოებში; შემდეგ იყალთოში იყვნენ. ამას მოჰყვა საგურამოს ექსპედიცია, სადაც მომავალი მხატვრები და რესტავრატორები ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში მომუშავე რესტავრატორებს დაეხმარნენ. ახლა კი, როგორც უკვე გითხარით, სტუდენტების ერთი ჯგუფი უფლისციხეში იმყოფება.

სამუშაო დღე აქ გამთენიისას იწყება.

## მოკლედ

### კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მონაცემებით

| ავტორი | წიგნის სათაური | გამომცემლობა | რეიტინგი |
|---|---|---|---|
| ირაკლი კაკაბაძე | "თანაგრძნობის სიმღერა" | "სიესტა" | 7.2 |
| ყურბან საიდი | "ალი და ნინო" | "დიოგენე" | 2.4 |
| კრებული | საბავშვო ლექსები | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 1.6 |
| [illegible] | [illegible] | "დიოგენე" | 1.6 |
| აკა მორჩილაძე | "ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 1.2 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.2 |
| გურამ დოჩანაშვილი | [illegible] | "საანი" | 1.2 |
| ჯიბრან ხალილ ჯიბრანი | "იესო ძე კაცისა" | "საარი" | 1.2 |
| ნოდარ დუმბაძე | "მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" | "საარი" | 1.2 |
| პაულო კოელიო | "ალქიმიკოსი" | | 1.2 |

### მუსიკალური ცხელი ალბომების ევროპული ათეული ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით




| შემსრულებელი | ალბომის სახელწოდება | ხმის ჩამწერი კომპანია |
|---|---|---|
| ბიორკი | Medulla | One Little Indian |
| ანასტასია | Anastacia | Epic |
| "მარუნ 5" | Songs About Jane | JPMG |
| "ფრონდი" | Always Outnumbered, Never Outgunned | XL Recordings |
| "ლიბერთაინზი" | The Libertines | Rough Trade |
| ქინი | Hopes and Fears | Island |
| რეი ჩარლზი | Genius Loves Company | EMI |
| დენიელზენი | Confidence | Sony Music |
| ავრილ ლავინი | Under My Skin | Arista |
| "რედ ჰოთ ჩილი პეპერსი" | Live in Hyde Park | Warner Bros |



# თამამი ექსპერიმენტები და მოზღვავრებული ადრენალინი ინგლისის ჩრდილოეთში



ეს იოკო ონოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო მოკრძალებული ნამუშევარია. ის კი, რაც ლენონის ქვრივმა ლივერპულში ჩაიტანა, ზედმეტად გულახდილი და ზოგისთვის საერთოდაც შოკისმომგვრელია.

"ხუთ წუთში თვითმფრინავი "ბოინგ №" დაეშვება ლივერპულის ჯონ ლენონის სახელობის აეროპორტში. ჰაერის ტემპერატურა ... გრადუსი, გმადლობთ, ჩვენთან ერთად რომ იფრინეთ" - ჯერჯერობით ყველაფერი ნორმალურად და სტანდარტულადაა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მიუჩვეველი ყურისთვის მაინც ცოტა უხეშად ჟღერს სიტყვები "ჯონ ლენონის სახელობის აეროპორტი". თუმცა, ეს არაფერი, მთავარი წინ არის, მას შემდეგ, რაც ტრაპიდან გადმოხვალთ და ვესტიბიულში მოხვდებით. აქ უკვე, გაოცება გარანტირებულია, რადგან გვერდს ვერავინ აუვლის აეროპორტში გამოფენილ 48 უზარმაზარ ფერად პლაკატს, რომლებზეც მსხვილი პლანით ქალის ინტიმური ადგილებია ნაჩვენები. შემდეგ უკვე რეაქცია პროგრესირდება - გაოცება შოკში გადადის, შოკი კი უკვე გააზრებულად უარყოფით გრძნობაში.

არადა, იოკო ონოს სკანდალურ, ან უფრო რბილად რომ ვთქვათ, საკამათო ფოტოებს სრულიად უმწიკვლო სათაური აქვთ - "დედაჩემი ლამაზი ქალი იყო". ასეთივე უმწიკვლოა ლენონის ქვრივის განმარტებაც: "ეს თავიდან მართლაც დედაჩემისთვის გავაკეთე, მაგრამ როცა გადავწყვიტე, რომ შოუ ლივერპულში ჩამომეტანა, მოულოდნელად გამახსენდა, თუ როგორ უყვარდა ჯონს დედამისი და ამ განცდამ კინაღამ შოკში ჩამაგდო. ამიტომაც ლივერპულში ეს გამოფენა ჯონს ეძღვნება".

სკანდალის ატეხვის მიზეზს ვერც გამოფენის ორგანიზატორები ხედავენ. "ცხადია, ამ ნამუშევრებზე კამათის გამართვა შეიძლება. მაგრამ, ბუნებრივია, დიდი იმედი მაქვს, რომ მათი ნახვისას თავს შეურაცხყოფილად არავინ იგრძნობს. საამისო მიზეზს ნამდვილად ვერ ვხედავ. ეს სხეულის ფოტოებია, ჩემი აზრით, ძალიან ლამაზი, ამიტომ ძალით რატომ უნდა წარმოვშვათ პრობლემა", - აცხადებს ლივერპულის მესამე არტ-ბიენალეს დირექტორი, 71 წლის ლუის ბიგსი - კაცი, რომელიც თავის ასაკთან შედარებით უაღრესად პროგრესულად აზროვნებს.

და აი, მთავარი თემა, რამაც დღეს იოკო ონო გაგვახსენა - ლივერპულის მესამე არტ-ბიენალე. გუშინ ღამით ხელოვნების ეს ხანგრძლივი მარათონი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის მეუღლემ, შერი ბლერმა გახსნა. გახსნის ცერემონიალს თავად იოკო ონო დაესწრო. ბიენალე 28 ნოემბრის ჩათვლით გაგრძელდება და მთელ ქალაქს მოიცავს. თითქმის ყველა გალერეა, დიდიან-პატარიანად, სწორედ ფესტივალის ფარგლებში მოწყობილ გამოფენა-პერფორმანსებს დაეთმობა. კინო-ჩვენებები, ცოცხალი ხელოვნება, წარმოდგენა, ექსპოზიცია, სემინარი, ტური - ლივერპული ძალებს არ დაიშურებს და სტუმრებს, რომელთაც ნოემბრამდე უმასპინძლებს ათასგვარ გასართობს შესთავაზებს.

თუმცა, ჯერ გართობამდე ადრეა. ჯერ ჩვენ ხომ აეროპორტის ვესტიბიულზე შევჩერდით. ახლა იქიდან უნდა გამოვიდეთ, ტაქსი გავაჩეროთ და ცენტრში, რომელიმე შოუზე ამოვყოთ თავი. ნუ გგონიათ, რომ თანამედროვე ხელოვნების შედევრებს მანქანის სალონში მაინც დააღწევთ თავს. სპეციალური კონკურსის შედეგად არჩეული ტაქსის მძღოლი, თანამედროვე კულტურაში კარგად გათვითცნობიერებული კაცია. ის მოსვენებას არ გაძლევთ, ხან მარჯვნივ გახედებთ, ხან მარცხნივ და ლივერპულის სიამაყეებს გაცნობთ. თან მაგნიტოფონიდან ABBA-ს ჰანგები იღვრება. და სანამ ცენტრამდე მიაღწევთ, ვერ არკვევთ, რომელი უფრო გიშლით ნერვებს, მძღოლის გაუთავებელი ლაპარაკი, თუ უკვე მესეჯერ ხელახლა გადახვეული Dancing Queen-ი.

ასე ჭრელი შთაბეჭდილებებით და ემოციებით იხსნება თანამედროვე ხელოვნების ფესტივალი. ზემოთ გაცნობილი დირექტორი, ლუის ბიგსი კი თავისი "ქმნილების", იგივე ბიენალეს საქებად სიტყვებს არ იშურებს. "ეს ღონისძიება ქალაქის სისხლის მიმოქცევის სისტემაში დიდი დოზით ადრენალინს უშვებს. ის აღწევს იმ სკივრამდე, სადაც ლივერპულის მოგონებები ინახება სათუთად და თავს უხსნის სიურპრიზებით სავსე უზარმაზარ ტომარას".

სიურპრიზებს შორის კი ყველა იოკო ონოსთანა სკანდალური ნამდვილად არ გახლავთ, მაგრამ საშიში - კი: ქალაქის მთავარ ქუჩაზე ბომბი ჰკიდია და ქარის ყოველ გაქროლვაზე, ქანაობს, ლაიმ სტრიტის სადგურის თაღს კი ფერადი ყვავილების უზარმაზარი თაიგული ამშვენებს. ცალკე განყოფილებაა "საერთაშორისო 04", რომლის ფარგლებშიც ლივერპულმა მიიწვია 40 უცხოელი ხელოვანი, რომელთაც თავიანთი ნამუშევრებში ლივერპული საკუთარი თვალით აღწერეს.

ერთი სიტყვით, ლივერპული ხელოვნების დიდი ზეიმის ზღვარზე იმყოფება. ნოემბრამდე დიდი დროა. ვინ იცის, იქნებ იქ ჩასეირნება არა მხოლოდ ვირტუალურად, არამედ რეალურადაც მოახერხოთ.

### ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინო-თეატრების მონაცემებით

| ფილმი | რეჟისორი | მსახიობი | [illegible] შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
|---|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 23,036,273 | 23,036,273 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 10,106,571 | 10,106,571 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 4,812,032 | 48,518,563 |
| [illegible] | [illegible] | ჯეტ ლი, [illegible] | 4,420,702 | 41,682,507 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2,932,938 | 89,259,246 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2,807,475 | 27,578,680 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2,771,886 | 12,666,971 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2,718,073 | 92,691,7 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2,613,777 | 11,296,102 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2,516,879 | 30,294,297 |

ფეხბურთი

# არგენტინის ნაკრებს პეკერმანი გაწვრთნის

მარსელო ბიელსას წასვლის შემდეგ არგენტინის ფეხბურთელთა ნაკრებს გაწვრთნის ხოსე პეკერმანი, რომელიც ადრე ამ ქვეყნის ახალგაზრდულ გუნდს ედგა სათავეში. სამშაბათს ბიელსამ თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა და არგენტინელებიც ახალი მწვრთნელის ძებნას შეუდგნენ. არგენტინის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტის ხულიო გრონდონისთვის ბიელსას გადაწყვეტილება უაღრესად მოულოდნელი იყო. ბიელსა ხომ მხნედ იდგა 2002 წელსაც, როცა ის მსოფლიო ჩემპიონატზე გუნდის წარუმატებლობის გამო კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს. მაშინ ბიელსამ გაუძლო.

ბიელსას ხელმძღვანელობით არგენტინის ნაკრებმა წარმატებით აიღო სტარტი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, ხოლო ერთი თვით ადრე, პირველად ქვეყნის ფეხბურთის ისტორიაში, მოიგო ოლიმპიური თამაშები.

ათენის ოლიმპიურ თამაშებზე არგენტინელებმა ბიელსას ხელმძღვანელობით ექვსივე თამაში მოიგეს ბურთების საერთო შეფარდებით - 19:0 და სწორედ მაშინ, როცა მწვრთნელმა მართლა სერიოზულ წარმატებას მიაღწია, ის გადადგომის შესახებ განცხადებას აკეთებს. მიზეზად კი 6 წლის განმავლობაში დაგროვილ გადაღლილობას ასახელებს.

მარსელო ბიელსას შემცვლელის ყველაზე რეალურ კანდიდატად მოიაზრებოდა კარლოს ბიანკი, რომელმაც "ველეჟ სარსფილდსა" და "ბოკა ხუნიორსში" მუშაობის პერიოდში საკლუბო დონეზე მოიგო ყველაფერი, რისი მოგებაც შეიძლებოდა. შემდეგ კი სამწვრთნელო მოღვაწეობას თავი მიანება.

საკლუბო ფეხბურთიდან სანაკრებო მოღვაწეობაზე გადასვლა ბიანკისთვის ყველაზე მოსალოდნელი მოვლენა იქნებოდა, მაგრამ ტიტულოვანმა მწვრთნელმა მოულოდნელად გრონდონას წინადადება უარყო. საინტერესოა, რომ ბიანკიმაც იგივე არგუმენტები მოიშველია, რაც მარსელო ბიელსამ. მან თქვა, რომ ფეხბურთისგან ისვენებს და ახლა არავითარი წინადადება არ აინტერესებს.

"რა გაეწყობა, თუ ადამიანს სურს, უბრალოდ, ცხოვრებით დატკბეს? არადა, ეს ისეთი ბრწყინვალე იდეა იყო - არგენტინის ეროვნული ნაკრები კარლოს ბიანკისთვის ჩაგვებარებინა", - თავზარდაცემული აცხადებდა გრონდონა. ამის შემდეგ არგენტინის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტს ისღა დარჩენოდა, პეკერმანისთვის შეეთავაზებინა ქვეყნის მთავარი გუნდის თავკაცობა. პეკერმანი ხომ დიდი ხანია, ახალგაზრდულ გუნდთან წარმატებით თანამშრომლობს.

როგორც ჩანს, მოლაპარაკებები ხანმოკლე იყო. პეკერმანი ახალგაზრდული გუნდისთვის უკვე გადაიზარდა. მან სამჯერ - 1995, 1997 და 2001 წლებში მოიგო 20 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი. პრაქტიკულად ახლანდელი გუნდის ყველა ვარსკვლავმა პეკერმანის ხელში გაიარა.

მის სასარგებლოდ ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდა მარსელო ბიელსასთან. მათ ხშირად თანამოაზრეებსაც უწოდებდნენ. ორივე ტექნიკური ფეხბურთის მოტრფიალეა, სადაც ადგილი აღარ რჩება ბინძურ ფეხბურთს, რომელსაც ლათინოამერიკული გუნდები ხშირად მისდევენ კიდეც.

გრონდონა და პეკერმანი ჯერჯერობით პრესისთვის რაიმე კომენტარის გაკეთებას ერიდებიან. თუმცა, სავარაუდოდ, უახლოეს პერიოდში განცხადებას მაინც გააკეთებენ. ხოსე პეკერმანის ძმამ პაბლომ კი ნაციონალური რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში დაადასტურა, რომ მხარეებმა შეთანხმებას უკვე მიაღწიეს. შეგახსენებთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში არგენტინის ნაკრები რვა ტურის შემდეგ მეორე ადგილზეა და ერთი ქულით ჩამორჩება ბრაზილიის გუნდს.

ახალი მთავარი მწვრთნელის მოძებნა მოუწევს უელსის ფეხბურთის ასოციაციასაც. ხუთშაბათს უელსის აწ უკვე ყოფილი მთავარი მწვრთნელი მარკ ჰიუზი ოფიციალურად წარადგინეს ინგლისური პრემიერლიგის გუნდის "ბლექბერნ როვერსის" მთავარ მწვრთნელად. ამასთან, "პარკიმ" (ასე უწოდებენ ჰიუზს ბრიტანეთში) უელსის ნამდვილ პატრიოტად წარმოაჩინა თავი. მან "ბლექბერნთან" კონტრაქტს მანამდე არ მოაწერა ხელი, ვიდრე არ მიიღო უფლება, უელსის ნაკრებისთვის უახლოეს ორ მატჩში ეხელმძღვანელა. იგულისხმება ის შეხვედრები, რომლებსაც უელსი წლეულს გამართავს. ასე რომ, უელსის ფეხბურთის ასოციაციას დრო ექნება, მშვიდად მოძებნოს ჰიუზის მემკვიდრე.



*ხოსე პეკერმანმა არგენტინის ახალგაზრდულ ნაკრებს სამჯერ მოაგებინა მსოფლიო ჩემპიონატი.*

# ჰაინკესს არაფრის შეცვლა არ სურდა

რუდი ასაუერი: "იუპი ძველი ყაიდის მწვრთნელია"

*გელზენკირხენის "შალკესთვის" მიმდინარე სეზონი წარუმატებლად დაიწყო. ბუნდესლიგის ოთხი მატჩიდან გუნდმა სამი წააგო. "შალკეს" ხელმძღვანელობამ მკაცრი გადაწყვეტილება მიიღო და იუპ ჰაინკესი თანამდებობიდან გაათავისუფლა. დროებით მწვრთნელებად ედი ახტენბერგი და ოლივერ რეკი დაინიშნენ. "შალკეს" მენეჯერი რუდი ასაუერი ამტკიცებს, რომ ჰაინკესის გათავისუფლების მიზეზი მხოლოდ არადამაკმაყოფილებელი სპორტული შედეგები არ იყო, მას მწვრთნელის მოძველებული მეთოდები არ მოსწონდა.*

**- ჰერ ასაუერ, ჯერ კიდევ წინა კვირას ამბობდით, რომ იუპ ჰაინკესს ბუნდესლიგის მე-10 ტურამდე მისცემდით დროს. ახლა კი ის თანამდებობიდან გაათავისუფლეთ. რამ შეგაცვლევინათ აზრი?**

- გუნდსა და მწვრთნელს შორის არ იყო ისეთი დამოკიდებულება, რომ უახლოესი პერიოდის განმავლობაში უკეთესობისკენ რაიმე ცვლილების იმედი გვქონოდა. გასულ კვირებში ამ საკითხზე ბევრი ვიმსჯელეთ. მოვლენების ასეთი განვითარებისთვის არ ვიყავით მზად. გვინდოდა, ოთხშაბათს, საბოლოო საუბრისას, იუპი დაგვერწმუნებინა, რომ რაღაც-რაღაცები სხვანაირად გაეკეთებინა. ის რაღაცები, რაც უკანასკნელ ხანებში ხშირად გვხვდებოდა თვალში. ჩვენი მხრიდან უსამართლობა იქნებოდა, ამ ყველაფერზე თვალი დაგვეხუჭა.

**- მაგრამ იუპ ჰაინკესს არაფრის შეცვლა არ უნდოდა?**

- დიახ. მან გარკვევით გვითხრა, რომ მისი სტილი და შეხედულებები უცვლელი დარჩებოდა. ეს იყო საუბარი ყოველგვარი სიძულვილისა და დაძაბულობის გარეშე. ის ძველი სამწვრთნელო სკოლის წარმომადგენელია და უნდა, რომ ასეთად დარჩეს. მაგრამ, ჩვენ არ გვინდოდა, ახალი თაობის მოთამაშეებთან ამ მოძველებული მეთოდებით გვემუშავა. მთელი ჩვენი საბჭოს აზრი იყო, რომ ასე აღარ უნდა გაგრძელებულიყო.

**- რა უნდა შეეცვალა ჰაინკესს?**

- ამ საკითხთან დაკავშირებით საჯაროდ საუბარი არ მსურს. ბევრი რამ იყო არასწორი, რაც უკანასკნელ ხანს გახშირდა. ამის თაობაზე მას ერთი წლის წინაც ველაპარაკეთ, ნახევარი წლის წინაც და რამდენიმე კვირის წინაც.

**- ეს სიტუაცია ახალი არ არის. რატომ მიიღეთ გადაწყვეტილება მხოლოდ ახლა?**

- იმიტომ, რომ ჰაინკესი საქმის კარგი მცოდნეა და ასეთ მწვრთნელთან განშორება არც ისე ადვილია. ჩვენ ახლა შევეცადეთ, საერთო ენა გამოგვენახა და მწვრთნელისთვის დახმარება აღმოგვეჩინა. ეს ჩვენი არა მხოლოდ უფლება, არამედ მოვალეობაცაა. მაგრამ საქმე ის არის, რომ მან საშუალება უნდა მოგვცეს, დავეხმაროთ. ჰაინკესს ვერ დავადანაშაულებთ იმაში, რომ მან ცუდად იმუშავა. უბრალოდ, ჩვენი თანამშრომლობა აღარ გამოდიოდა.

**- თანაც, სეზონის პირველი ოთხი თამაშიდან სამი წააგეთ.**

- საქმე მხოლოდ შედეგებს არ ეხებოდა. საქმე უფრო გლობალურ საკითხებში იყო, რომელთა შეცვლას ის არ მიიჩნევდა მიზანშეწონილად. უკანასკნელი საუბრების განმავლობაში ურთიერთობა ისე განვითარდა, რომ მოცდის დრო აღარ დაგვრჩა. ჩვენ და მთელი გუნდი უკმაყოფილო ვართ ჩვენი სატურნირო მდგომარეობითა და გუნდში არსებული სიტუაციით.

**- ჯერ ნოიბარტი, ახლა ჰაინკესი. ზედიზედ ორი მწვრთნელის გათავისუფლება პირადად თქვენი მარცხი ხომ არ არის?**

- მწვრთნელის გათავისუფლება ყოველთვის დამარცხებას ნიშნავს. პასუხისმგებლობას თავიდან არ ვიცილებ.

**- რა კრიტერიუმებით ეძებთ ახალ მწვრთნელს?**

- ამასთან დაკავშირებით ახლა ვერაფერს გეტყვით, რადგან ჯერ ჩემს ძველ მეგობართან, იუპთან განშორება უნდა გადავიტანო. ამის დავიწყება ასე ადვილი არ არის.

**- შესაძლოა, ოლივერ რეკი და ედი ახტენბერგი დიდი ხნით დარჩნენ გუნდის სათავეში?**

- ნამდვილად. ედი გამოცდილი მწვრთნელია. მომავალი სამი მატჩის განმავლობაში ვნახავთ, როგორ წავა საქმეები. ამ ხნის განმავლობაში ახალ მწვრთნელთან ურთიერთობა არ გვექნება.



*ასაუერისა და ჰაინკესის გზები გაიყარა.*

# "რაც უფრო ძველია ღვინო, მით უკეთესია"

ინტერვიუ რობერტო კარლოსთან

*შარშანდელ სეზონში განცდილი მარცხის შემდეგ მადრიდის "რეალის" შემადგენლობაში დიდი რეფორმები განხორციელდა. გუნდში ახალი მწვრთნელი და ახალი ფეხბურთელები მოვიდნენ. სამეფო კლუბი ახალ სეზონს დიდი იმედით შეხვდა. თუმცა, მათი საქმეები არც ახლა მიდის მთლად კარგად. ესპანეთის ჩემპიონატში ორ უფერულ გამარჯვებას ჩემპიონთა ლიგის პირველ მატჩში გამანადგურებელი ანგარიშით დამარცხება მოჰყვა. მადრიდელებმა 0:3 წააგეს ლევერკუზენის "ბაიერთან". ხალხი კვლავ "რეალის" კრიზისზე ალაპარაკდა. თუმცა, მადრიდელთა ბრაზილიელი მცველი რობერტო კარლოსი დარწმუნებულია, რომ ლევერკუზენში განცდილი მარცხი ერთჯერადი ჩავარდნა იყო და მეტი არაფერი.*

**- ლევერკუზენში განცდილმა მარცხმა დიდად დაგამწუხრათ?**

- არა, პრობლემა მხოლოდ ის არის, რომ ასეთი დამარცხებები დიდ მღელვარებას იწვევს, მაგრამ სინამდვილეში არაფერიც არ მომხდარა ისეთი, რაც ჩვენ კარგად თამაშისა და გამარჯვებების სურვილს დაგვაკარგვინებს. მომხდარი უნდა დავივიწყოთ და იმაზე ვიფიქროთ, თუ როგორ დავამარცხოთ "რომა". ლევერკუზენში ჩვენ არაფერი გამოგვივიდა.

**- ამ მატჩის შემდეგ კამაჩომ მიწასთან გაგასწორათ, ისევე როგორც "ნუმანსიასთან" შეხვედრის შემდეგ...**

- კამაჩო გვესაუბრება და ცდილობს, თავისი მოსაზრებები გაგვიზიაროს. საქმე ის არის, რომ ყოველთვის, როდესაც რაიმე სიახლე ხდება, ხალხი გუნდში არსებულ განხეთქილებაზე იწყებს საუბარს. მწვრთნელს სურს, უკეთესად ვითამაშოთ, რადგან ხედავს, რომ საქმეები არც ისე კარგად მიგვდის. ჩვენ ვუყურეთ ვიდეოჩანაწერებს, ვემზადებოდით, ბეჯითად ვვარჯიშობდით, მაგრამ... ცხოვრება გრძელდება და ჩვენც განვაგრძობთ ვარჯიშს. ჩვენ გადავლახავთ ამ სიძნელეებს.

**- ფიქრობ, რომ ამ სიტუაციიდან გამოსასვლელად მაგიდაზე მუშტის დარტყმა იქნება საკმარისი?**

- თუ შენ ასე მოიქცევი, ან ხელს იტკენ, ან მაგიდას დაამტვრევ. ჩვენ, ყველანი, ზრდასრული ადამიანები ვართ და ვხედავთ, რომ ცუდად ვითამაშეთ. ახლა მომავალზე უნდა ვიფიქროთ და "ესპანიოლთან" მატჩისთვის მოვემზადოთ.

**- რა იყო ამ მარცხის მთავარი მიზეზი?**

- არ ვიცოდით, თუ რა უნდა გვეკეთებინა ბურთით და არ ვიხსნებოდით, რათა ბურთი მიგვეღო. მეტოქე მჭიდრო პრესინგს გვეთამაშებოდა, ჩვენ კი ვერ შევძელით თავისუფალი ზონების დაკავება. მათ კარს პირველად მხოლოდ 70-ე წუთზე მივუახლოვდით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თამაში აშკარად უნდა გამოვასწოროთ. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ამ პრობლემის გადაწყვეტის თაობაზე.

**- იცი თუ არა, რომ გუნდის ცუდი თამაშის გამო ბევრი ადამიანი ნერვიულობს?**

- ვითარებას პრესაც ძაბავს, ისიც ნერვიულობს. ამბობენ, რომ ადამიანებმა, რომლებიც გუნდის გარეთ არიან, არ იციან, რა ხდება მის შიგნით.

**- შექმნილ ვითარებაში ვინ არის მთავარი დამნაშავე?**

- ყველანი. მოდი, სეზონის დასაწყისში ნაჩქარევ დასკვნებს ნუ გამოვიტანთ. გასულ სეზონში, მთელი რვა თვის განმავლობაში შესანიშნავ ფეხბურთს ვთამაშობდით და ყველა ამბობდა, რომ ჩვენ "გალაქტიკოები" ვართ. შემდეგ ორი წარუმატებელი თვე დაიწყო და ჩვენც უეცრად მსოფლიოს ყველაზე ცუდ ფეხბურთელებად, ყველაზე ცუდ გუნდად ვიქეცით. ახლა ახალი მწვრთნელი გვყავს, რომელმაც გუნდში ახალი სისტემა შემოიტანა და ადაპტირებისთვის დრო გვჭირდება. ამას ერთ დღეში ვერ გააკეთებ. სამი-ოთხი თამაშის შემდეგ ყველაფერი დალაგდება. ამაში დარწმუნებული ვარ.

**- ბევრს ეჭვი ეპარება, შეძლებ თუ არა შენ მთელი სეზონის გაძლებას...**

- სულ რაღაც ოცი დღის წინათ, ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში, მთელ ჩემს სპორტულ კარიერაში საუკეთესო მატჩი ჩავატარე. მთელი მარცხენა ფლანგი ჩემი იყო. მაგრამ მე თავდაცვა და თავდამსხმელების პასებით მომარაგება მევალება და არა გოლების გატანა. ზურგზე მე-9 ნომერი არ მაწერია. ჩემს ფლანგზე თავს ძალიან კომფორტულად ვგრძნობ, მაგრამ მე მოჩვენება არ ვარ, რომ უბურთოდ ვითამაშო. თუ ბურთი ჩემამდე არ მოდის, ესე იგი, პარტნიორებს შეტევის გაგრძელების უკეთესი ვარიანტები აქვთ.

**- ამბობენ, რომ თქვენმა გუნდმა თავისი დრო მოჭამა.**

- ეს ასე არ არის. რაც უფრო ძველია ღვინო, მით უკეთესია. ჩვენ გვაქვს საკმარისი მოტივაცია, რადგან მის გარეშე ასიათასკაციანი აუდიტორიის წინაშე ვერ ითამაშებ.



*რობერტო კალოსი: "როდესაც რაიმე სიახლე ხდება, ხალხი გუნდში არსებულ განხეთქილებაზე იწყებს საუბარს".*

ჩოგბურთი

# „ქართუ ბანკი” გაიტანეს

სანდრო ნავერიანი

*სათაურს პირდაპირი მნიშვნელობით ნუ გაიგებთ. საქმე ის არის, რომ გამოვლინდა “ქართუ ბანკ ლეიდის ოუფენის” წყვილთა თანრიგის გამარჯვებული. ესენი არიან ბელორუსი დარია კუსტავა და რუსი ელენა ვესნინა. ტურნირს კი დაასრულებს ერთეულთა თანრიგის ფინალი.*


იურა ლობოდინის ფოტო

*ელენა ვესნინა და დარია კუსტავა “ქართუ ბანკ ლეიდის ოუპენის” წყვილთა თანრიგის გამარჯვებულები გახდნენ.*

კუსტავა-ვესნინა კოჟოხინა-კონდრატიევას ფინალური მატჩი დაახლოებით საღამოს ხუთ საათზე დაიწყო. იმაზე საუბარი, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ორივე წყვილისთვის ეს შეხვედრა, სისულელე იქნება, ამიტომ პირდაპირ საქმეზე გადავალ. მატჩი ვესნინას მოწოდებით დაიწყო. პირველივე გეიმში გამოიკვეთა ბელორუს-რუსული წყვილის უპირატესობა. მათ პირველი გეიმი მშრალად მოიგეს. მეორე გეიმში, მეტოქის მოწოდებაზე ცოტა კი გაუჭირდათ, მაგრამ ორი ტაიბრეიკის შემდეგ მაინც შეძლეს გეიმის აღება. მესამე გეიმიც ადვილად მოიგეს. კუსტავა-ვესნინას წყვილი გეიმს გეიმზე იგებდა, თითქოს მათ წინააღმდეგ ახალბედა ჩოგბურთელები თამაშობდნენ და არა პროფესიონალები. ანგარიში გეიმებში 5:0 იყო, როდესაც კონდრატიევა-კოჟოხინას წყვილი გამოფხიზლდა და ორი გეიმი მოიგო, თუმცა, მათი წარმატება მხოლოდ ამით შემოიფარგლა - კუსტავა-ვესნინას წყვილმა მეექვსე გეიმი მოიგო და სეტებში 1:0 დაწინაურდა. მეორე სეტი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. ჩოგბურთელებმა სამ-სამი გეიმი მოიგეს. თავის მოწოდებებს ასი პროცენტით იყენებდნენ. მეშვიდე გეიმში კი, დარია კუსტავას კარგი თამაშის წყალობით, მათ შეძლეს მეტოქის მოწოდებაზე გეიმის აღება და გეიმებში 4:3 დაწინაურდნენ. ამასთან, მერვე გეიმში ისინი აწვდიდნენ. პირველ სეტში ვესნინას კარგმა თამაშმა განაპირობა მათი გამარჯვება, მეორეში კი ის ხეირიანს ვერაფერს აკეთებდა. მეორე სეტი კუსტავას ჩაეწერა აქტივში. სწორედ კუსტავა აწვდიდა მერვე გეიმში, რომელიც ძალიან გაიწელა, მაგრამ ბოლოს მაინც შეძლეს გამარჯვება. გეიმებში ანგარიში 5:3 გახდა. მოწოდებაზე რუსული წყვილი იყო. მათ აუღელვებლად აიღეს გეიმი. ეტყობა, მიხვდნენ, რომ დასაკარგი არაფერი ქონდათ. მეათე სეტი კი ბელორუს-რუსულმა წყვილმა მოიგო, გეიმთან ერთად სეტი და სეტთან ერთად შეხვედრაც. საბოლოო ანგარიში - 6:2, 6:4 კუსტავა-ვესნინას სასარგებლოდ დაფიქსირდა.

მატჩის შემდეგ გამარჯვებული წყვილი - დარია კუსტავა და ელენა ვესნინა “24 საათის” რედაქციაში გვესტუმრა და თავად გაუკეთეს ანალიზი მატჩს, რომელიც მოიგეს.

**- როგორ ფიქრობთ, თქვენი კარგი თამაშის წყალობით გაიმარჯვეთ თუ, უბრალოდ, მეტოქემ ვერ ითამაშა?**

*ელენა ვესნინა:* ვფიქრობ, დღევანდელი შეხვედრა ძალიან კარგად ჩავატარეთ მეც და დაშამაც. შეიძლება მეტოქემ მართლა ვერ ითამაშა ისე, როგორც შეუძლია, მაგრამ მაინც მგონია, რომ დღეს ჩვენ უფრო ძლიერები ვიყავით და დამსახურებულად გავიმარჯვეთ.

*დარია კუსტავა:* მეც ასე ვფიქრობ, თუმცა, უნდა ვთქვა, რომ პირველი სეტი უფრო კარგად ვითამაშეთ, ვიდრე მეორე. პირველ სეტში ნაკლებ შეცდომებს ვუშვებდით, მეორეში შეცდომებმა იმატა, მაგრამ გამარჯვება მაინც შევძელით.

**- თქვენი თამაში პირველად ვნახე, მაგრამ მატჩის წინ მითხრეს, ყველაზე კარგ ჩოგბურთს სწორედ კუსტავა-ვესნინას წყვილი აჩვენებსო. წყვილთა თანრიგში ასეთი ძლიერები ხართ, ერთეულებში კი დიდი წარმატებებით ვერ დაიკვეხნით. რითი ახსნით ამას?**

*ელენა ვესნინა:* ამის ახსნა არ შემიძლია, მაგრამ ის კი ვიცი, რომ წლეულს უკვე მესამე ტურნირი მოვიგე და სამივე წყვილთა თანრიგში. წლევანდელ სეზონში წყვილთა თანრიგში უფრო კარგად ვთამაშობ.

*დარია კუსტავა:* წლევანდელი სეზონი მეც ზუსტად ისეთი მქონდა, როგორიც ელენას. სხვათა შორის, ერთეულთა თანრიგში თინათინ ყავლაშვილმა გამომთიშა გათამაშებიდან.

**- რა შეგიძლიათ გვითხრათ ქართველ ჩოგბურთელებზე, როგორ შეაფასებთ მათ სათამაშო კლასს?**

*ელენა ვესნინა:* საკმაოდ ძლიერი და პერსპექტიული ჩოგბურთელები გყავთ. ქართველებს არაერთხელ შევხვედრაივარ და ყოველთვის მიჭირდა მათთან თამაში. ამ ტურნირზე პირველ წრეში სოფო მელიქიშვილთან მომიხდა შეხვედრა. საკმაოდ ძლიერი ჩოგბურთელია. საერთოდ, თქვენს ჩოგბურთელებს კარგი პერსპექტივა აქვთ.

*დარია კუსტავა:* მე ვითამაშე თინათინ ყავლაშვილთან, რომელმაც, შეიძლება ითქვას, საუკეთესო მატჩი ჩაატარა. კიდევ მინდა გამოვყო ია ჯიქია, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ჩოგბურთელია.

**- ტურნირი როგორ იყო ორგანიზებული?**

*ელენა ვესნინა:* ყველაფერი კარგად იყო ორგანიზებული. ერთადერთი, რაც ცოტა დამღლელი იყო, მატჩების გადადებაა, თუმცა, ეს ორგანიზატორებს არ ეხება. საერთოდ, ვფიქრობ, ყველაფერი კარგი იყო, მით უმეტეს, რომ გავიმარჯვეთ. თან ყველა ძალიან თბილად გვეპყრობოდა, ყურადღება არ გვაკლდა.

*დარია კუსტავა:* მე ყოველთვის მომწონდა საქართველოში ჩამოსვლა. როცა კი საშუალება მექნება, აუცილებლად ჩამოვალ ხოლმე.

**- ბათუმის ტურნირში თუ აპირებთ მონაწილეობის მიღებას?**

*ელენა ვესნინა:* რა თქმა უნდა. ბათუმში ხვალ დილით მივემგზავრებით.

*დარია კუსტავა:* ვეცდებით, იქაც გავიმარჯვოთ.

**- საკვალიფიკაციო ეტაპი უნდა გაიაროთ თუ არა?**

*ელენა ვესნინა:* მე ძირითად ბადეში მოვხვდი, ამიტომ საკვალიფიკაციო ეტაპის გავლა არ მომიწევს.

*დარია კუსტავა:* საკვალიფიკაციო ეტაპი მე უნდა გავიარო, მაგრამ, ვფიქრობ, ეს არ იქნება რთული.

პრობლემა

# მომავალი სპორტსმენების მომავალი გაურკვეველია

პაატა თოთაძე

იმ დროს, როცა საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები ლუქსემბურგშია და ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის მატჩისთვის ემზადება, როცა ქვეყანაში სპორტის აღორძინებაზე საუბრობენ, თბილისში განათლების სამინისტროსთან არსებულ მიხეილ კეკელიძის სახელობის ოლიმპიური რეზერვების 58-ე ექსპერიმენტულ სპორტულ სკოლას შენობიდან აგდებენ.

ყველაფერი 14 წლის წინათ დაიწყო - მიწისძვრისგან დაზარალებული შენობიდან გამოსახლებული სკოლა გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის შენობაში შეასახლეს. ამ ხნის მანძილზე არანაირი პრობლემა არ შექმნილა მასპინძლებსა და შეკედლებულებს შორის. ახლა კი, სასწავლო წლის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, სპორტსმენებს შენობის დატოვება მოსთხოვეს. გუშინ ამ საკითხთან დაკავშირებით კეკელიძის სახელობის კალათბურთის სასახლეში სკოლის ხელმძღვანელები და პედაგოგები მედიის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელს ახალი შენობა გამოუყვეს, ძველი კი 44-ე საშუალო სკოლას გადასცეს. პრობლემაც მაშინ წარმოიშვა - შენობის გათავისუფლებას სპორტსმენებს 44-ე საშუალო სკოლის დირექცია სთხოვს. 58-ე სკოლის ხელმძღვანელობამ მომხდართან დაკავშირებით საქმის კურსში ჩააყენა ქალაქისა და განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობა. ისინიც ახალი შენობის გამოყოფას შეჰპირებიან, მაგრამ ჯერჯერობით ყველაფერი მხოლოდ დაპირებაა, რეალურად არაფერი გაკეთებულა.

“44-ე სკოლის დირექტორმა გამოგვიცხადა, რომ ჩვენს განკარგულებაში მხოლოდ რვა ოთახი რჩებოდა და ისიც დროებით, ცოტა ხანში მთლიანად უნდა დამიცალოთ შენობაო. გამაგებინეთ, რა ვუყო ამ მოსწავლეებს! რვა ოთახში როგორ მოვათავსო 400-მდე ბავშვი? ჩვენს სკოლაში გადმოსვლის მსურველთა კიდევ 200 განცხადება მაგიდაზე მიდევს. ამ სკოლაში წლების მანძილზე არაერთი სახელოვანი სპორტსმენი აღიზარდა. დღევანდელი კალათბურთის ნაკრების მოთამაშეებსაც ეს სკოლა აქვთ დამთავრებული. ახლაც უამრავი ნიჭიერი ბავშვი სწავლობს ჩვენთან. მათ მოვლა სჭირდებათ და არა გარეთ გაყრა. თანაც, 44-ე საშუალო სკოლის ხელმძღვანელობას არ ჰქონდა უფლება, ასე მოქცეულიყო. ეს სასამართლოს პრეროგატივაა. ჩვენ ვესაუბრეთ ქალაქის მერს ზურაბ ჭიაბერაშვილს, ვიცე-პრემიერს ბიძინა ბრეგაძეს, განათლების სამინისტროს წარმომადგენლებს. ყველა მათგანი დახმარებას შეგვპირდა. მათი დიდი იმედიც გვაქვს, მაგრამ სადაცაა სწავლა დაიწყება და სასწრაფოდ არის საჭირო შენობის გამონახვა”, - განაცხადა სკოლის დირექტორმა მერაბ კეკელიძემ.

მასწავლებლების თქმით, 10 სექტემბერს სკოლაში მისულებს ტიხრები დანგრეული, კარი კი აჭედილი დახვდათ. “დღეს უკვე 17 სექტემბერია და ყველანაირად შეზღუდულები ვართ, დავიწყოთ სასწავლო პროცესი. ჩვენ ვითხოვთ, არ წაგვართვან კონსტიტუციური უფლება, მოგვცენ მუშაობისა და სწავლის საშუალება”, - განაცხადეს სკოლის მასწავლებლებმა.

როგორც გაირკვა, 44-ე საშუალო სკოლას გრანტი ჰქონია აღებული და გაფართოებასაც ამ გრანტის საშუალებით აპირებს. არის კიდევ ერთი პრობლემა: თუ სკოლის ხელმძღვანელობამ გაფართოებაზე რეალურად არ იზრუნა, მაშინ, შესაძლოა, დაფინანსება საერთოდ შეუწყვიტონ. ბუნებრივია, ასეთი პერსპექტივა არავის ხიბლავს.

“საკმაოდ დელიკატური საკითხია, რომელსაც ასე უცებ, ერთი ხელის მოსმით ვერ გადაწყვეტ. შარშან ამ სკოლაში რამდენიმე მოედანი განვაახლეთ, რომელიც, ფაქტობრივად, უმოქმედოდ იყო. თუ ამ სკოლას იქიდან გამოსახლება ემუქრება, მართლა მენანება ჩემი შრომა. მეორე მხრივ, არ შეიძლება არ იფიქრო 44-ე საშუალო სკოლის ხელმძღვანელობის პოზიციაზეც. თუ ამ სკოლას, მართლაც, აქვს განვითარების პერსპექტივა და ამაში სპორტული სკოლა უშლის ხელს, ბუნებრივია, ეს საკითხი უნდა გადაიჭრას - ანუ, ეს სკოლა დროებით, ახალი შენობის გამონახვამდე დარჩეს იქ, სადაც არის, ან კიდევ უახლოეს მომავალში გამოინახოს ახალი შენობა”, - განაცხადა შეხვედრაზე მოსულმა გიგი წერეთელმა.

გუშინვე, ამ შეხვედრის შემდეგ, განათლების მინისტრმა კახა ლომაიამ ბრიფინგზე განაცხადა, რომ 58-ე სკოლისთვის ახალ შენობას ეძებენ. არის კიდეც რამდენიმე ვარიანტი და უახლოეს დღეებში ეს საკითხი ყველასთვის სასიკეთოდ გადაწყდება - მინისტრის თქმით, 58-ე სკოლას უახლოეს დღეებში ახალ შენობაში შეასახლებენ.

ბილიარდი

# „კავკასიის თასმა” კია მოიმარჯვა

გიგა გურასაშვილი

*რამდენიმე დღეში საქართველოს ბილიარდის ეროვნული ფედერაცია, ბილიარდის საერთაშორისო ორგანიზაციისვე თაოსნობით, ვერის ბაღში მდებარე მიხეილ კეკელიძის სახელობის საკალათბურთო დარბაზში ბილიარდში “ა” კლასის საერთაშორისო ტურნირს “კავკასიის თასს” უმასპინძლებს. მაგრამ ვიდრე ეს გადაწყდებოდა, “პირამიდის” საერთაშორისო კომიტეტის პრეზიდენტმა იგორ ბარსკოვმა სპეციალური წერილით თანადგომისთვის მიმართა საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს და თან ტურნირზეც მიიწვია.*



ვახო ბესელიას ფოტო

*“კავკასიის თასის” ორგანიზატორებმა “მეტეხში” ბრიფინგი გამართეს.*

“იმედი გვაქვს, თქვენი მონაწილეობით გამართული ასეთი რანგის ტურნირი კავკასიის გულად წოდებული საქართველოსთვის ტრადიციული გახდება. ვთვლით, რომ “პირამიდაში “კავკასიის თასზე” პირველი ღია საერთაშორისო ტურნირის გამართვა კარგ კლიმატსა და ნიადაგს შექმნის კავკასიის ხალხთა დაახლოების საქმეში. უხსოვარი დროიდან საქართველო კავკასიის ცენტრად ითვლებოდა და ჩვენ მზად ვართ, ყველაფერი ვიღონოთ მისი, როგორც მთელი კავკასიის სპორტული ცენტრის აღსადგენად”.

საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო მიწვევა. მაშინვე უთქვამს, თუ საშუალება მომეცემა, აუცილებლად გეწვევითო.

ქართული ბილიარდი საკუთარი არსებობის მანძილზე 23-26 სექტემბერს პირველად უმასპინძლებს “ა” კლასის ტურნირს.

გუშინ “შერატონ მეტეხი პალასში” გამართულ შეხვედრაზე ისიც შევიტყვეთ, თუ როგორ მიეკუთვნა ამ ტურნირს უმაღლესი კატეგორია. ეს 2003 წელს კიევში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე და იმავდროულად გამართულ მსოფლიო ბილიარდის საერთაშორისო ორგანიზაციას კონფერენციაზე მიუღიათ.

დასანანია, რომ ტურნირი ისეთი წარმომადგენლობითი არ იქნება, როგორც ეს იყო გათვალისწინებული. თავდაპირველი განაცხადით, “კავკასიის თასზე” 24 ქვეყნის მობილიარდეებს უნდა ესასპარეზათ, მაგრამ ბესლანში მომხდარი ტრაგედიის გამო მონაწილე ქვეყანათა რაოდენობა ათამდე შემცირდა. ჩინეთი რომ არა, ტურნირი მარტო დსთ-ის სივრცის მობილიარდეებით იქნებოდა დაკომპლექტებული. თბილისს ეწვევიან რუსი, უკრაინელი, ყაზახი, აზერბაიჯანელი, სომეხი, ბელორუსი, მოლდაველი, ლატვიელი, უზბეკი და, როგორც უკვე ვთქვით, ჩინელი მოთამაშეები, რომლებიც “პირამიდაში” გაარკვევენ ურთიერთობას.

“კავკასიის თასზე” გამოვლენ მსოფლიოს ჩემპიონი კანიბეკ საგინდიკოვი ყაზახეთიდან, ევროპის ჩემპიონი რუსეთიდან და რამდენიმე საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული ივა არჩვაძე (სხვათა შორის, ის 18 წლისაა). მართალია, არჩვაძე მოსკოვში ცხოვრობს, მაგრამ ტურნირზე საქართველოს სახელით გამოვა. მონაწილე 40 მობილიარდიდან 9 ქართველია. “კავკასიის თასის” ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეა ომარ გელაშვილი (15 წლის).

რაც შეეხება გათამაშების სისტემას, თავდაპირველად იგი ნახევრად ოლიმპიური სისტემით ჩატარდება. ანუ, მოხდება სპორტსმენთა განთესვა, რათა ერთი ქვეყნის წარმომადგენელთა ერთმანეთთან შეხვედრა გამოირიცხოს; შედგება 4 ჯგუფი, რომელშიც მობილიარდეები ორ წაგებამდე ითამაშებენ. შედეგად გამოვლინდება 16 სპორტსმენი, რომლებიც ახლა უკვე ოლიმპიური სისტემით გააგრძელებენ ბრძოლას უმთავრესი ტიტულისთვის. ტურნირის ორგანიზატორებს გადაწყვეტილი აქვთ, მომავალი წლიდან “კავკასიის თასი” ტრადიციული გახდეს.

ჩვენც იმით დავინტერესდით, როგორი მომავალი ექნება “კავკასიის თასს” მომავალში. პასუხისთვის საქართველოს ბილიარდის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს დავით ალექსიძეს მივმართეთ: “ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად წარმატებული გამოდგება წლევანდელი ტურნირი. თუ “კავკასიის თასი” მაღალ დონეზე ჩატარდება, მომავალში აუცილებლად გამოჩნდებიან სპონსორები, რომლებსაც სპორტის ბედი ადარდებთ. მგონია, რომ ახლო მომავალში მხარში ამოგვიდგებიან არა მარტო ბიზნესმენები, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციებიც”.

“კავკასიის თასის” საპრიზო ფონდი 20 ათასი დოლარია. I ადგილი - 7 000; II - 3 500; III-IV - 1500-1500; V-VIII - 825-825; XI-XVI - 400-400.

ტურნირის მაღალ დონეზე ჩატარებას უზრუნველყოფს კომპანია “ზევსი”, რომელიც ბილიარდის მაგიდებისა და სხვა აქსესუარების წარმოების დარგში მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო კომპანიის “ბილიარდის” (ლიტვა) ოფიციალური პარტნიორი და ექსკლუზიური დისტრიბუტერია კავკასიაში.

წყალბურთი

# წყალს გატანებული ათეული

ჭაბუკ წყალბურთელთა მალტის ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა გუშინ G ჯგუფში მორიგი მატჩი ჰოლანდიელებთან გამართა. თამაში ისე დაიწყო, თითქოს კარგს არაფერს გვიქადდა, მაგრამ, როგორც შევიტყვეთ, საქართველოს ნაკრებს მარცხისგან თავი დაუღწევია. წინა დღით ბრიტანელი თანატოლების დამარცხების შემდეგ აუცილებელი იყო ჰოლანდიელებზე გამარჯვებაც, რათა მე-9-10 ადგილებისთვის ბრძოლის პატივი მოეპოვებინათ. მაგრამ ქართველი ჭაბუკები ჰოლანდიელებს დაუზავდნენ (9:9) და ათეულში მოხვედრის საშუალებაც დაკარგეს.

შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატზე ყველა ადგილი თამაშდება. ახლა ქართველმა წყალბურთელებმა მე-11-12 ადგილებისთვის უნდა იბრძოლონ. ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრებამდე დასახული მიზანი, ათეულში მოვხვედრილიყავით, განუხორციელებელი დარჩა.

TV-სპორტი

### შაბათი. 18 სექტემბერი

**НТВ+ФУТБОЛ**
06:00 NBA TV - სთრითბოლი - Entertainers Basketball Classic
07:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 2000. დასავლეთ კონფერენციის ნახევარფინალი. "PORTLAND TRAIL BLAZERS" - "UTAH JAZZ". მე-5 მატჩი
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი. “პორტუ” - ცსკა
14:10 “ფიფას ასწლეული”. პირველი ნაწილი
14:40 “ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი”
15:10 თავისუფალი დარტყმა
15:25 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი. “ბაიერი” - “რეალი”
17:20 სახვალიო ტელეპროგრამა
17:25 გერმანიის ჩემპიონატი. “ბორუსია” - “ბავარია”
19:25 თავისუფალი დარტყმა
19:40 სახვალიო ტელეპროგრამა
19:45 ინგლისის ჩემპიონატი. “ბლექბერნი” - “პორტსმუტი”
21:30 "FUTBOL MUNDIAL"
21:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. “მარსელი” - “ტულუზა”. პირდაპირი ტრანსლაცია
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. “ვალენსია” - “რეალ სოსიედადი”. პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (00:45) - თავისუფალი დარტყმა
01:20 იტალიის ჩემპიონატი. “ინტერი” - “პალერმო”
03:00 NBA TV - დღიური
03:30 NBA TV - NBA-ს მიმოხილვა
04:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 2000. აღმოსავლეთ კონფერენციის ნახევარფინალი. "MIAMI HEAT" - "NEW YORK KNICKS". მე-7 მატჩი

**НТВ+СПОРТ**
10:00, 13:05, 16:00, 19:00, 21:00 პრესცენტრი
10:10, 21:10 “ოლიმპის შვილები”
10:15, 13:15 “ფორმულის ჰარმონია”
10:35 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა
11:05 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო თასის ეტაპი ჩილეში
13:35 “ჩქაროსნული სამყარო”. ტელეჟურნალი
14:05 ტაილანდური კრივი
15:00 ცხენოსნობა. წინაღობათა გადალახვა. რუსეთის ჩემპიონატი. მესამე ნაწილი
16:10 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები
19:15 როდეო. “Bull Riders”
20:00 “სპორტული გლობუსი” - "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
20:30 “ნოკაუტი”. ტელეჟურნალი
21:15 სახვალიო ტელეპროგრამა
21:20 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. ვაჟები. ფინალი
00:15 ახალი ამბები
00:25 “სპორტული გლობუსი” - "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
00:55 “ნოკაუტი”. ტელეჟურნალი

**EUROSPORT**
08:15 მოტორბოლები. იაპონიის დიდი პრიზი. პირდაპირი ტრანსლაცია
09:00 მოტორბოლები. იაპონიის დიდი პრიზი. პირდაპირი ტრანსლაცია
10:15 მოტორბოლები. იაპონიის დიდი პრიზი. პირდაპირი ტრანსლაცია
11:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპი დიდ ბრიტანეთში
11:45 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
13:15 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
14:15 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
11:45 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
15:15 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
16:15 ველოსპორტი. ესპანეთის ტური
17:00 ველოსპორტი. ესპანეთის ტური. პირდაპირი ტრანსლაცია
19:30 მულტისპორტი
20:00 ფეხბურთი. საუკეთესო 24 კლუბი
20:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა გამოსასვლელ დღეებში
21:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა გამოსასვლელ დღეებში
22:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა გამოსასვლელ დღეებში
23:30 ყველაზე ძლიერი ადამიანი. შეჯიბრება უნგრეთში
00:30 ფეხბურთი. საუკეთესო 24 კლუბი
01:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
01:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპი დიდ ბრიტანეთში
02:00 ახალი ამბები
02:15 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა გამოსასვლელ დღეებში
03:15 ახალი ამბები



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# რა შემშურდა მე და რა შეშურდათ ჰოლანდიელებს

განათლების მინისტრის კახა ლომაიას შესახებ, მისი "იელოველობითა" და "სოროსის" მსახურებით დაწყებული, განათლების სისტემაში პროგრესული ცვლილებებისა და რეფორმების გატარების სურვილით დამთავრებული, ბევრი ურთიერთსაპირისპირო რამ მსმენია. იმ ხალხისგან, ვისაც მე პატივს ვცემ და მჯერა, მასზე მხოლოდ კარგი გამიგია. იმ ხალხისგან კი, ვისიც არც მჯერა, არც პატივს ვცემ და ვისი აზრიც ნებისმიერ საკითხზე ჩემისგან რადიკალურად განსხვავებულია - მხოლოდ ცუდი. შესაბამისად, აქედან გამომდინარე, განათლების მინისტრზე მართალია, დისტანციური, მაგრამ შთაბეჭდილება შექმნილი მაინც მქონდა. მეცნიერებათა აკადემიაში არსებულ პრობლემატიკურ მდგომარეობაზე მინიმალური, ძალიან ზედაპირული, ჩაუხედავი წარმოდგენა მქონდა, ხოლო, როგორც სამი სტუდენტის დედა, უმაღლეს სასწავლებლებში და საშუალო სკოლებში ცვლილებების აუცილებლობაში სუბიექტურად დარწმუნებული ვიყავი. უმაღლეს სასწავლებლებში გამძვინვარებულ კორუფციაზე, მოზარდი თაობის სწავლისადმი გულგრილობაზე, მასწავლებლების, პედაგოგების უმეტესობის არაკომპეტენტურობაზე, სკოლების სულიერებას მოკლებულ გარემოზე, ისევე როგორც საქართველოს ნებისმიერ სხვა მოქალაქეს, მეც ჩემი გამოცდილება და აზრი გამაჩნდა. განათლების სისტემასთან და მისი რეფორმების აუცილებლობასთან ჩემი პირადი შეხება ეს იყო და ეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველა ადამიანის ყოველდღიური შეხების და, ზოგადად, მომავალი საქართველოს პრობლემაა, უნდა გამოგიტყდეთ, რომ ამ საკითხზე ბევრი არასდროს მიფიქრია. ყოველთვის ვფიქრობდი და დღესაც ვფიქრობ, რომ უფრო ჭკვიანი და განათლებული, პროგრესული და მოაზროვნე ხალხი ჩემზე უკეთ ხედავენ არსებულ პრობლემებს და ჩემზე ბევრად უკეთ შეეცდებიან და შეძლებენ მათ მოგვარებას.

აგვისტოს ბოლოს, ერთ-ერთ იშვიათ მზიან დღეს ზღვის სანაპიროზე ვიწექი, როდესაც ჩემს მობილურზე ზარი გაისმა. როგორც "24 საათის" ჟურნალისტსა და ქართული საზოგადოების ერთ-ერთ რიგით, ცოტა მეტიჩარა, წარმომადგენელს, განათლების მინისტრი კახა ლომაია ნიდერლანდებში, კერძოდ კი ჰააგაში განათლების სისტემის ცვლილებებთან დაკავშირებით გაცვლით ვიზიტში თანამონაწილეობას მთავაზობდა. მოულოდნელობისგან საკმაოდ დავიბენი. ჯერ მეგონა, რომ რომელიმე მეგობარი მეხუმრებოდა, მაგრამ როდესაც ცოტა ხანში მინისტრის რეფერენტმაც დამირეკა, მივხვდი, რომ ხუმრობა არაფერ შუაშია და გაზეთ "24 საათისა" და ჩემი მეშვეობით რეფორმირების კიდევ უფრო გამჭვირვალეობაა დაგეგმილი. სამსახურებრივ-ოჯახური ბჭობის შემდეგ მინისტრის წინადადება მივიღე და ჰააგაში გასამგზავრებლად მომზადება დავიწყე.

პირველად კახა ლომაიას თვითმფრინავში შევხვდი და "აირზენას" რეისების უმეტესობის გაფრენის უცნაურ-არაადამიანურ დროს თუ გავითვალისწინებთ, მინისტრთან კონტაქტში ვერ შევედი. მე მთელი გზა მეძინა, ლომაია კი მუშაობდა. თურმე მინისტრები ღამითაც მუშაობენ! ლომაია რომ რეფორმატორია, ყოველ შემთხვევაში, რეფორმატული იდეებით მოცული პიროვნებაა, ამაში მოგზაურობისას დავრწმუნდი. სამწუხაროდ, საკმაოდ უჩვეულო და იშვიათია ისეთ ადამიანთან შეხვედრა, რომელიც მასზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას გრძნობდეს, რომელსაც ჩვენი განათლების საკმაოდ უცნაური სისტემის, უფრო სწორად კი, მისი სრული უსისტემობის გამოსწორება, მსოფლიო სტანდარტებთან მიახლოება გულწრფელად უნდოდეს, რომელიც მომავალი თაობების ერუდიციის სწორ განვითარებაზე, მკაცრ მსოფლიო გარემოში მათ კონკურენტუნარიანობაზე დაუფარავად ღელავდეს და ფიქრობდეს.

ნიდერლანდების მთავრობა თავის წამყვან პოლიტიკურ პარტიებს ყოველწლიურად საკმაოდ სოლიდურ თანხებს გამოუყოფს, რომ დემოკრატიის გზაზე მყოფ ქვეყნებში თანამოაზრე პარტიები, ხელისუფალნი, სხვადასხვა სისტემა მოიძიონ და სხვადასხვა სფეროში გამოცდილება გაუზიარონ. კონკრეტულად ჩვენ ნიდერლანდების ლიბერალური პარტია და მისი მომხიბვლელი, თავაზიანი და გათვითცნობიერებული წარმომადგენლები გვმასპინძლობდნენ. საქართველოში მომხდარ ყველა პოზიტიურ ცვლილებაში ჩვენზე არანაკლებად ჩახედულები იყვნენ და ყველა იმ წამყვან პიროვნებასთან თუ ორგანიზაციასთან, ვინც ამ ქვეყანაში განათლების სისტემას ემსახურება, მართავს თუ აკონტროლებს, საოცრად საინტერესო, ინფორმატიული და შედეგიანი შეხვედრები დაგვიგეგმეს. ნიდერლანდების ლიბერალური პარტიის ლიდერები, ამავე პარტიის დეპუტატი, რომელიც ნიდერლანდების პარლამენტში განათლების სისტემას და მის ინტერესებს ლობირებს, განათლების მინისტრი, ყველაზე ძველი, ტრადიციული და პრესტიჟული ლეიდენის უნივერსიტეტის რექტორი, საუკეთესო სკოლის დირექტორი, სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი უმაღლესი სასწავლებლების სააკრედიტაციო, მაკონტროლებელი ორგანიზაციის, სკოლების გენერალური ინსპექციის სამსახურის პირველი პირები და ა.შ. ეს არის იმ ადამიანების არასრული სია, რომლებსაც ჩვენ შევხვდით და რომელთა ხელშია ნიდერლანდების განათლების სისტემა. გულახდილად გამოგიტყდებით, რომ ამ, ძალიან ჩახედული პროფესიონალების საუბრის ბოლომდე დეტალურად გასაგებად, განათლებაზე, მის სისტემურობაზე ამდენი ინფორმაციის მისაღებად, ჩემი, საკმაოდ ზედაპირული განათლება, სამწუხაროდ, არასაკმარისი აღმოჩნდა. ამიტომაც მე მხოლოდ საკუთარ ზოგად შთაბეჭდილებებს მოგახსენებთ, რომლებზეც სრული პასუხისმგებელი ვარ.

მეორე ქვეყანა, რომელიც ჰოლანდიასავით ყვაოდეს, ძნელი წარმოსადგენია. ჰააგის ცხოვრების, არქიტექტურის, მოსახლეობის შემხედვარე ქვეყნის სტაბილური, ეკონომიკურად ძლიერი, მშვიდი, ელემენტარულ ყოფით პრობლემებს მოკლებული რეალობა აშკარად იგრძნობა. თითქოს ამაზე მეტი ადამიანმა რაღა უნდა ინატროს? მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ამის მიუხედავად, ყველა ის პიროვნება, რომელსაც ჩვენ შევხვდით და ვესაუბრეთ, რაღაცის გაუმჯობესებაზე, არსებული ნაკლის გამოსწორებაზე, იდეალურისკენ სწრაფვაზე და კიდევ უფრო დახვეწაზე საუბრობდა. თანაც, ყველა მათგანის საუბრის ტონი და საქმისადმი დამოკიდებულება ერთნაირი იყო. ჩვენთვის შესაშური ენთუზიაზმით, ხალისით, ენერგიით, ბოლომდე დეტალურად ახსნის, გადმოცემის სურვილით, ზედაპირულობასა და ფორმალობას მოკლებული, დაუზარებელი, პატრიოტული და, ამავე დროს, მსოფლიოს დღევანდელი მოთხოვნების გათვალისწინებითი ინტონაციით გვიყვებოდნენ, გვაჩვენებდნენ, ამაყობდნენ და აღიარებდნენ, რა გააკეთეს და რა - ვერა. რატომ, როგორ, რისთვის და რისი შეცვლა, კიდევ უფრო გაუმჯობესება უნდათ. მე მგონი, ყველა დამეთანხმება, რომ მთავარია, გინდოდეს ადამიანს და ყველაფერი გამოგივა. სურვილი შედეგის საწინდარია. მართალია, ჩვენთვის ცოტა ძნელი გასაგებია, ნიდერლანდებში და კონკრეტულად მის იდეალურ განათლების სისტემაში კიდევ რისი გაუმჯობესება უნდა უნდოდეთ! ძალიან სასიამოვნო და შთამბეჭდავია, როდესაც ხედავ, რომ ცალკეული პიროვნება თავის საქმეს, კონკრეტულ სისტემას და ზოგადად კი, საკუთარ ქვეყანას ასეთი ენთუზიაზმითა და რწმენით, ცოდნითა და სიყვარულით ემსახურება. მე, როგორც ამ შეხვედრების მომსწრე, ამაყი ვიყავი, რომ ჩემი პატარა, არც ისე მდიდარი, ახლა-ახლა ფეხზე ოდნავ წამომდგარი ქვეყნის ერთი კონკრეტული მინისტრი ზუსტად იმავე ენაზე, იდენტური ინტონაციითა და განწყობილებით საუბრობდა. მასპინძლების ცნობისმოყვარეობისა და ინტერესის დაკმაყოფილება, ქართული განათლების სისტემის რეალური მდგომარეობის, მასზე გამოყოფილი სახსრების, წინააღმდეგობების სწორად, ზუსტად გადმოცემა საკმაოდ რთული იყო. როდესაც შევიტყე, რომ ნიდერლანდებში თითოეულ მოსწავლეზე წლიურად 5-10 ათას ევრომდე არის გამოყოფილი, რომ განათლების სისტემის ბიუჯეტი ყველა სხვა სისტემაზე მაღალია და 17 მილიარდ ევროს უდრის, უნდა გითხრათ, ლომაია გულწრფელად შემეცოდა. მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, შოკში ჩამგდები და ჩემში დეპრესიის გამომწვევი ციფრების გაგონებაზე, მინისტრის განწყობაში მხოლოდ მზარდი ჟინი, ინტერესი, გაათმაგებული შეკითხვების რაოდენობა, საკითხში ბოლომდე ჩაწვდომის სურვილი, ოპტიმიზმი, საკუთარი პოზიციის სისწორეში დარწმუნება და, თუ გნებ-







ავთ, სიჯიუტეც კი დავინახე. ნიდერლანდებს და მის განათლების სისტემას როდის მივუახლოვდებით, ნამდვილად არ ვიცი. არც ის - ჩვენი უნივერსიტეტები მათ უნივერსიტეტებსა და საუნივერსიტეტო ქალაქებს (სამოთხე), სკოლებს როდის აჯობებს. როდის შეიქმნება უმაღლესი სასწავლებლების მაკონტროლებელი სააკრედიტაციო დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, არაკორუმპირებული ორგანიზაცია, ვერ გეტყვით. ქართველი მოსწავლის წლიური დაფინანსება საშუალოდ 144 ლარი როდის აღარ იქნება, წარმოდგენაც არ მაქვს. მაგრამ ერთი რამ კი ზუსტად ვიცი, ერთ კონკრეტულ სფეროში ამგვარი განწყობილებით რაღაც გამოგვივა, ოდნავ მაინც წინ წავიწევთ და ხვალ მეტს მივაღწევთ. ჩვენი მეცნიერება მსოფლიო მეცნიერებას ღირსეულად დაუბრუნდება, საშუალო სკოლადამთავრებულ აბიტურიენტს კერძოდ მომზადება აღარ დასჭირდება, ნებისმიერი უმაღლესდამთავრებულისთვის კი მსოფლიო გარემო კონკურენტუნარიანი და ადეკვატური იქნება.

### რამ გამაოცა

1. განათლების მინისტრი VIP-ით არ სარგებლობს.

2. მასპინძლების ენთუზიაზმმა, არსებული კეთილდღეობის მიუხედავად, კიდევ უფრო გაუმჯობესების სურვილმა. სამოთხის გაუმჯობესება აღარ გამიგია!

3. ნიდერლანდების ტყეების, მინდვრების, ყანების, ბაღების და, რაც მთავარია, ძროხების მოვლილობამ.

4. ჩვენს მიერ ნანახი რიგითი სკოლის ტერიტორიაზე არსებულმა აურამ - სკოლის დერეფნებში გამოფენილმა თანამედროვე ხელოვნების შედევრების ასლებმა, ბიბლიოთეკამ, სკოლის ეზოში გახსნილმა ულამაზესმა, მყუდრო, ყვავილებში ჩაფლულმა კაფემ, რომელიც მხოლოდ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს ემსახურება.

5. სკოლებში მშობლებს კომპიუტერულ ტრეინინგებს თავად მოსწავლეები უტარებენ და ამაში სკოლის მიერ გამოყოფილ, შეიძლება სიმბოლურ, მაგრამ ანაზღაურებას ღებულობენ. ჩემ შვილებს ჩემთვის კომპიუტერი რომ ესწავლებინათ, ახლა ხომ...

6. ერთ-ერთი სკოლის დირექტორი ჩვენთან შეხვედრის შემდეგ მოსწავლეთა თვითმმართველობის კომიტეტთან კონკრეტულ საკითხებზე შესახვედრად ემზადებოდა. მისთვის ეს საკმაოდ საპასუხისმგებლო და არაფორმალური შეხვედრა უნდა ყოფილიყო, ამიტომაც დირექტორი ცოტა ღელავდა.

7. ლეიდენის უძველესი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა პორტრეტების გალერეამ, რომელიც ერთ ისტორიულ დარბაზშია მოთავსებული და რომელთა რიცხვში ნობელის პრემიის სამი ლაურეატი, მათ შორის, უინსტონ ჩერჩილი და უამრავი სხვა მსოფლიოში ცნობილი პიროვნებაა.

### რა შემშურდა

1. ჰააგის სიმშვიდე.

2. ქალაქში მიმობნეული თანამედროვე, კონცეპტუალური ქანდაკებები, რომლებსაც ჰოლანდიის მდიდარი, დიდი ისტორიისა და გამოჩენილი წინაპრების მიუხედავად, არავითარი მამა-პაპური, ძირძველი, წილხვედრი პათოსი არ გააჩნიათ და მხოლოდ ქალაქის დეკორირებას, გალამაზებას და განსაკუთრებული განწყობის შექმნას ემსახურებიან.

3. ბზნილი ან ხის სავარძლებითა და მაგიდებით, დიდი ქოლგებით და განსაკუთრებული სიმყუდროვით გამორჩეული უამრავი ქუჩის ღია კაფეები.

4.. ქვეყანაში, ქალაქში, ქუჩებში, პარკებში, კაფეებში, საცხოვრებელი სახლების ფანჯრებზე, განათების ბოძებზე ჩამოკიდებული ყვავილების რაოდენობა და სილამაზე.

5. განათლების სისტემის ბიუჯეტი. სხვა სფეროების არ ვიცი. ალბათ, ისინიც.

6. ის, რომ სკოლების გენერალური ინსპექციის სამსახურის შემოწმების დეტალური შედეგები ინტერნეტში ქვეყნდება, რათა ნებისმიერ მშობელს სკოლის შესახებ ზუსტი ინფორმაციის და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების საშუალება ჰქონდეს.

7. საუნივერსიტეტო ქალაქის ენით აუწერელი გარემო. ეს არც კი შემშურდა, უბრალოდ, მეტირებოდა!

### რაში დავრწმუნდი

1. რომ საქართველოს განათლების მინისტრი იელოველი არ არის!

2. რომ ნიდერლანდების განათლების სისტემის დაწევას ვერც მე და ვერც კახა ლომაია ვერ მოვესწრებით.

3. რომ განათლების მინისტრი VIP-ით არა მხოლოდ თავმდაბლობის გამო არ მგზავრობს. VIP-ით სარგებლობა ნამდვილად არ ღირს და არავის ვურჩევ. თბილისიდან გამგზავრებისას VIP-ის სრულიად უხალისოდ მომსახურე პერსონალმა (სახეზე არ ვეცნობოდი) გასასვლელში პასპორტი და ბილეთი მომცა. პასპორტი შევამოწმე, საკუთარი ფოტო დავინახე და საგულდაგულოდ შევინახე. უკანა გზაზე გამოფრენის წინ აღმოვაჩინე, რომ ბილეთი არევიათ და მე სხვისი ბილეთი მომცეს და იმ მგზავრს კი, ეტყობა, ჩემი. ავიაკომპანია "აირზენამ" ზედმეტი ორი კაპიკის ხელში ჩაგდების შანსი ხელიდან არ გაუშვა და კომპიუტერში ჩემ შესახებ ყველა მონაცემის არსებობის მიუხედავად, საკმაოდ სოლიდური ჯარიმა გადამახდევინა. თბილისის აეროპორტის საერთო მომსახურების აშკარად გაუმჯობესების (ოპერატიული რეგისტრაცია, საპასპორტო კონტროლი, ტრაპის, ბარგის დროული მოტანა, თავაზიანობა, ღიმილი) ფონზე, VIP კომუნისტურ ინდიფერენტობასა და გულგრილობაშია ჩარჩენილი.

ახია ჩემზე! რა მინდოდა ამ VIP-ში, რას ვეკვეხებოდი? გეგონება, მთელი ცხოვრება VIP-ით დავდივარ! ეს პირველი იყო და ნამდვილად უკანასკნელი! მეტი ჩემი ფეხი VIP-ში არ იქნება!

4. ყველაფერი ფული არ არის და უფულობით არ მართლდება. ზოგჯერ ელემენტარული მონდომება და მოფიქრებაც საკმარისია.

### რა ვიგრძენი

1. ჩემი ქვეყნისადმი და მასში მიმდინარე პროცესებისადმი უზომოდ დიდი ინტერესი და მხარდაჭერა, რომელიც მხოლოდ ოფიციალური საუბრებით არ შემოიფარგლებოდა.

2. საქართველოს პირველი ლედის ჰოლანდიური წარმოშობით მისი თანამემამულეების სიამაყე, თუმცა, ისევე, როგორც ჩვენი.

3. განათლების მინისტრის უშიშარი დამოკიდებულება პრესის წარმომადგენლების მიმართ. თავისი შეხვედრების, მუშაობის პროცესის, გეგმების, იდეების გამჭვირვალობა და ნებაყოფლობით ჟურნალისტის დასწრება, საქმის კურსში ჩაყენება და ამით საზოგადოებისადმი ანგარიშის ჩაბარება, ჰოლანდიელებისთვის ქართული მთავრობის ნოვატორობისა და სითამამის კიდევ ერთი მაჩვენებელი იყო. ე.ი. დასამალი არაფერი აქვთ.

აი, ეს კი ჰოლანდიელებს შეშურდათ!

# „პარნასი" ნებისმიერი თაობის ლიტერატორთათვის

ნანა ბასილაშვილი



იური ლობოდინის ფოტო

*პარნასმა მკითხველები პრეზენტაციაზევე შეიძინა.*

იშვიათ, თითზეჩამოსათვლელ ლიტერატურულ გამოცემებს ("არილი", "წიგნები"...) ახალი ყოველთვიური გაზეთი შეემატა. სამენოვანი (ქართული, რუსული, ინგლისური), 32-გვერდიანი ლიტერატურული გაზეთი "პარნასი" თვეში ერთხელ გამოვა. გაზეთის გვერდები ძირითადად ქართულ ლიტერატურულ სივრცეში შექმნილ მხატვრულ ტექსტებს, პროზას, პოეზიას, დრამატურგიას დაეთმობა. გარკვეული ნაწილი კი რუსულ და ინგლისურენოვანი იქნება, სადაც დაიბეჭდება როგორც ჩვენი თანამემამულე რუსულენოვანი ავტორების ნაწარმოები, ასევე ქართულიდან რუსულად და ინგლისურად თარგმნილი მასალები, უცხოენოვანი მწერლების ორიგინალური ტესქტები.

მომიტევეთ, ყოველივე ამაზე მომავალში ლაპარაკი არასწორია, რადგანაც ნახსენები პუბლიკაციები უკვე აქტიური მკითხველის ხელშია. "პარნასული" პრეზენტაციების მორიგი სიახლე მათივე ბაზაზე აღმოცენებული, ამავე სახელწოდების ლიტერატურული გაზეთი გახლდათ. 32-გვერდიანი "პარნასის" პირველ ნომერში თავმოყრილია აკა მორჩილაძის, შოთა იათაშვილის, დათო ტურაშვილის, ბესო ხვედელიძის, ანა კორძაია-სამადაშვილის, ვიქტორ პელევინის, ვაჟა-ფშაველას მოთხრობები, ეს რაც შეეხება პროზას. ახალ გაზეთში შეგიძლიათ პოპულარულ და, ასევე, დებიუტანტ პოეტების შემოქმედებასაც გაეცნოთ. ამასთან იხილოთ ვრცელი რეცენზია რუსულ ენაზე ხორხე ლუის ბორხესის შემოქმედების შესახებ და ლიტერატორთა ექსკლუზიური სვეტები, ანონსები სხვადასხვა წიგნების შესახებ. "პარნასი" ყოველ ნომერში გთავაზობთ ინტერვიუს მხოლოდ მათთან, ვისაც ძლიერ უყვარს ლიტერატურა. "პარნასის" პირველ გვერდზე, მწერლებისა და პოეტების ფოტოებს შორის გელა ჩარკვიანის ფოტოსაც იხილავთ, რადგანაც სწორედ მასთანაა პირველი ინტერვიუ, როგორც ლიტერატურაზე ძლიერ შეყვარებულ ადამიანთან.

ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ მწერალ ბესო ხვედელიძეს საკმაოდ დიდი ხნის წინათ, რამდენიმე ენოვანი ლიტერატურული გაზეთის დაარსების იდეა დაებედა. "მრავალენოვან ქვეყანაში, წესით და რიგით, ასეთ გაზეთს უნდა ეარსება. ეს გაზეთი მათთვისაა, ვინც რუსულად წერს და კითხულობს, გარკვეული გვერდები გვექნება, სადაც მათ ნაწარმოებებს დაეთმობა და შესაბამისად მკითხველიც ეყოლებათ. დაიბეჭდება ასევე ნათარგმნი მასალები ქართულიდან რუსულ და ინგლისურ ენაზე, მით უმეტეს, რომ ეს პროცესი სწორედ ახლა იწყება, ასევე ორიგინალური ინგლისურენოვანი ტექსტები და ა.შ. "პარნასის" სახით საამისოდ საფუძვლიანი მატერიალურ-ლიტერატურული ბაზა არსებობდა, თანაც მისი ხელმძღვანელობის ინტერესები ჩემსას დაემთხვა, ისინი მსგავსი იდეის შემსრულებლებს ეძებდნენ... ასე გადაიკვეთა ჩვენი გზები", - ამბობს გაზეთ "პარნასის" მთავარი რედაქტორი ბესო ხვედელიძე, რომელსაც არ ჰყავს არანაირი მოადგილე თუ რედკოლეგიის სხვა წევრი, ენდობა საკუთარ ლიტერატურულ გემოვნებას - აბსოლუტურად მიუკერძოებლად, ობიექტურად აირჩიოს ესა თუ ის ტექსტი, სახელს, გვარსა თუ წარმომავლობას არანაირი მნიშვნელობა არ მიანიჭოს და ასე ერთპიროვნულად დაგეგმოს გაზეთის თითოეული ნომერი.

ვიდრე "პარნასს" მკითხველის სახით შემფასებელი გაუჩნდება, გუშინვე გაზეთის პრეზენტაციაზე, პირველი ნომრის ობიექტურად შეფასება, ამავე ნომრის ავტორებისგან მოვისმინეთ. "პარნასი" ძალიან ბევრი ნიშნითაა ძალიან კარგი მიგნება. პირველ რიგში, იმით, რომ არის ძალიან მოცულობითი, იაფი სიამოვნება, რომელიც ორი კვირის განმავლობაში საკითხავად ეყოფა საშუალო სტატისტიკურ თბილისელს, ცხოვრებასაც გემოს ჩაატანენ და მეტ-ნაკლებად იმისაც გაიგებენ, თუ რა ხდება ლიტერატურულ სივრცეში. მეორეა, რომ არის ძალიან მრავალფეროვანი, რაც უკვე თავისთავად შესანიშნავია, რადგანაც ავტორები არიან სრულიად სხვადასხვა მიმართულების და სხვადასხვა ტიპის. ამ გაზეთის მეშვეობით თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში მიმდინარე პროცესების ნაირსახეობას, ვფიქრობ, მკითხველი საუკეთესოდ დაიჭერს. ეს გაზეთის პირველი ნომერია, ამიტომ დიდ მომავალს ჯერ ვერ უწინასწარმეტყველებთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მკითხველი ეყოლება. საერთოდ ლიტერატურული პერიოდიკა თავისთავად შესანიშნავია და სულაც არ არის აუცილებელი ყიდულობდე ძვირადღირებულ წიგნს ავტორისას, რომლის შესახებაც არაფერი იცი, ასე რომ მას აქვს უკვე შანსი გადახედოს იმას, თუ რა ხდება თანამედროვე ლიტარატურაში, ვინ და რის შესახებ წერს და შესებამისად გააკეთოს არჩევანი", - ამბობს "პარნასის" ერთ-ერთი ავტორი ანა კორძაია-სამადაშვილი.

"ძალიან მიხარია, რომ გაჩნდა ახალი ლიტერატურული გაზეთი, იმიტომ, რომ არ არის ბევრი ასეთი გამოცემა. ამასთან, მეტად მნიშვნელოვანია, რომ თანამედროვე ლიტერატურული პროცესი მაქსიმალურად აისახოს პერიოდიკაში. ყველას მინდა მივულოცო - ვისი იდეაც იყო და ვინაც განახორციელა. გაზეთში ავტორების მრავალფეროვნებაა, თავად რედაქტორი შესანიშნავი მწერალია და ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვან საქმეს მოკიდა ხელი", - მწერალი დათო ტურაშვილი ამას გარდა, ახლახანს წამოჭრილ ერთ მეტად მტკივნეულ თემასაც შეეხო. პრეზენტაციაზე გამომცემელმა ლევან თითმერიამ საზოგადოებას პარლამენტში განსახილველად მომზადებული ახალი საგადასახადო კოდექსის შესახებ ამცნო, რომელიც წიგნის დაბეგვრას ეხება.

"აუცილებლად მინდა შევეხო წიგნების გამოცემაზე გადასახადების შემოღებას, ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანები, ვინც ამ კანონპროექტზე მუშაობენ არ იცნობენ, თუ როგორ უდგებიან სხვა ქვეყნებში სახელმწიფო და ხელისუფლება საკუთარ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს და იმ ადამიანებს, ვინც წიგნის გამოცემითაა დაკავებული. ეს იმას ნიშნავს, რომ თუკი ჩვენთან წიგნებზე ის გადასახადი იარსებებს, რაც ნებისმიერ სხვა კომერციულ საქმიანობაზე, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ქვეყანას როგორც განათლებულს, ინტელექტუალურ და წიგნიერ ქვეყანას მომავალი არ აქვს. შეიძლება ჩვენში კომერცია განვითარდეს და უამრავი ბიზნესი აყვავდეს, მაგრამ ეს იქნება ბნელი, გაუნათლებელი ქვეყანა. დაუშვებელია, რომ საქართველოში წიგნის მიმართ ისეთივე დამოკიდებულება ჰქონდეს სახელმწიფოს, როგორიც სხვა მცირე და საშუალო ბიზნესს აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ, რომლებსაც ისედაც მწირი შემოსავალი გვაქვს წიგნითა და ლიტერატურული საქმიანობით, ეს შემოსავალიც აღარ გვექნება, რაც წარმოუდგენელი უარყოფითი შედეგების მომტანია. ვურჩევდი გაეცნონ ამ პროექტის ავტორები ნებისმიერი ქვეყნის გამოცდილებას, არსად ასეთი ტიპის ქვეყანაში მსგავსი ჩაგვრა და შევიწროება საგამომცემლო საქმიანობის, ლიტერატურისა და წიგნის მიმართ, უბრალოდ, არ არსებობს. იმედია, რომ პარლამენტში არსებობენ ის ადამიანები, რომლებიც მიხვდებიან ამ ქვეყანაში წიგნის არსებობისა და ლიტერატურისა და განათლების პროცესებისადმი ხელშეწყობის აუცილებლობას".

ახალი საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ძველისაგან განსხვავებით ყველა შეღავათი, რომელიც წიგნს, ჰქონდა ამოღებულია. თუკი აქამდე 20 პროცენტიანი დღგ არსებობდა, ახლა 18 პროცენტი შემოდის, რომელიც ავტომატურად წიგნის ფასს მინიმუმ 18 პროცენტით გაზრდის, შესაძლოა, უფრო მეტითაც. ამ კოდექსის არგუმენტად ის მოყავთ, რომ გარკვეული გადასახადები გააუქმეს, ანუ ზოგადად კოდექსი შეღავათიანია, მაგრამ ეს წიგნებს არ ეხება, რადგანაც ის მოქნილი გადასახადები, რომლებიც ახლა აღარ იქნება, ფაქტობრივად, წიგნის ფასზე არ აისახებოდა. დღგ ამჯერად უკვე უშუალოდ პირდაპირ ზრდის წიგნის ფასს. ანუ საგამომცემლო საქმიანობა, ფაქტობრივად, ნულიდან ზემოთ ადის, მაშინ როცა სხვა სფეროები, სიგარეტისა და ა.შ. თუნდაც იმ ორი პროცენტით ქვემოთ ჩამოდის. რაც ყველაზე მთავარია, წიგნიდან შესული გადასახადები წილობრივად არ არის იმდენად დიდი, რომ ამან რაიმე გავლენა მოახდინოს ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტზე, ვერც მნიშვნელოვნად გაზრდის და ვერც შეამცირებს. მაშინ, როცა ახალი საგადასახადო კოდექსი საგამომცემლო საქმეს მნიშვნელოვნად დაამუხრუჭებს. ის, რაც ამ კუთხით ნელ-ნელა ფეხს იდგამდა, მნიშვნელოვნად შეფერხდება. ამ ეტაპზე ახალი საგადასახადო კოდექსი პარლამენტში შეტანილია და ეს საკითხი, ასე ვთქვათ, პროცედურულ გადაწყვეტას ელის, რასაც შემდგომში შესაბამის კომიტეტებში მისი მუხლობრივად განხილვა მოჰყვება.

"პარნასი" ლიტერატურული პროცესების მაქსიმალურად გაშუქებისათვის შეიქმნა. თუმცა, თუ სახელმწიფოსგან ხელშეწყობა არ გვექნება, ალბათ, დიდი სურვილისა და მონდომების მიუხედავად, არაფერი გამოგვივა", - აღნიშნა ლევან თითმერიამ. ჩვენ მაინც კეთილგონიერ ხელისუფალთა იმედით "პარნასისგან" (და არა მხოლოდ მისგან) ლიტერატურულ სფეროში კიდევ ბევრ სიახლეს ველით.

## TV პროგრამა

*18 სექტემბერი*

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **08.30** მულტსერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.20** "პიტერ პენი" **10.55** საბავშვო ფილმი "ტომ სოიერი" **12.20** "სიმფსონები" **12.50** მხ. ფილმი "რობინ ჰუდი ქურდების პრინცი" **15.20** მხ. ფილმი "გაქცევა" **17.00** ველური სამყაროს ამბები **18.00, 21.00, 00.00** კურიერი **18.20** დოკ. ფილმი "თანამედროვე ტექნოლოგიები" **19.15** სერიალი "სუფთა ინგლისური მკვლელობები" **22.00** "ფსიქო"- "სპილო". რეჟ. განს ვან სეტი (18). **00.20** მხ. ფილმი "ავარია". მთ. რ-ში: კურტ რასელი (18).

### პირველი არხი

**08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00** მოამბე **08.15** მხ. ფილმი "ხაფანგი" (გ) მე-2ს. **10.00** "იმღერე რამე" **10.30** საცირკო სანახაობა **11.00** მხიარული კარუსელი **11.30** საქართველო არის ესე **12.15** ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. **15.20** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **16.10** დოკ. ფილმი "ცისფერი მატარებელი" **17.00** დოკ. სერიალი "სიკვდილს გადარჩენილნი" **18.00** ვესტნიკი **18.45** "იმღერე რამე" **19.15** ტელეზღაპარი **19.25** "დრო და ადამიანები" **19.40** "ეთნოგრაფიული ჩანახატი" **20.35** ფორტუნა **21.15** პოლიტუკური მკვლელობები **22.05** "საღამოს საუბარი" **22.50** სპექტაკლი "ჩვენ, ქვემორეხელისმომწერნი" **00.15** მხ. ფილმი "მსურველებს შეუძლიათ ჩაეწერონ" (გ)

### TV5

**06.00, 08.00,** 10.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.00, 20.00, 24.00,** 02.35(შვეიცარია), 03.05(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** გადაცემა: ჰაერზე გასეირნება. უბეის ხეობა. **08.25** საბავშვო გადაცემა კარინ დელფინისთან ერთად. "ბიდუმ ბიდუმ" **10.25** გადაცემა: აღმოჩენა. არქეოლოგია. **12.15** თოვლის შესანიშნავი ქალბატონი. მხ. ფილმი. რეჟიოსორი ჟან-მარკ ვერვორი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **14.05** გადაცემა: მითხარით. **19.00** 24 საათი დამასში.

### მზე

**09.00** მუსიკა მზეზე **09.30** მულტსერიალი "სქელი ძაღლი მენდოზა" **10.00** საბ. სერიალი "ჩემი მეგობარი უცხოპლანეტელია" **10.30** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **11.30** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **12.30** შემეცნებითი-გასართობი პროგრამა "ფოკუსის ისტორია" **13.00** სერიალი "ნათლიმამას ისტორია" **14.00, 17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **14.15** მხ. ფილმი "მარადიული სატრფო" (გ) (გარი ოლდმენი) **16.15** მუსიკა მზეზე **16.30** "ფარული კამერა" **17.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **17.50** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **18.50** მუსიკა მზეზე **19.00** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **20.30** სერიალი "ნათლიმამას ისტორია" **21.30** კრიმ. დრამა "ტაქსის მძღოლი" **22.30** მხ. ფილმი "მსახიობები" (18) (ალენ დელონი)

### მეორე არხი

**19.00** მრავალჟამიერი **19.30** სპა **20.00** "იმღერე რამე" **20.30** მუს. ოქტაგონი **21.20** ქიმერიონი **22.00** მხ. ფილმი "თუში მეცხვარე" (გ) მე-2 ს.

### იმედი

**09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 23.15** ქრონიკა **09.15** სერიალი "ტყუპები" **10.10** ანიმაციური ფილმი "სანდოკანი მალაიზიის ვეფხვი" 2-3 ს. **11.00, 02.20** ტვ-მარკეტი **11.30, 18.15, 20.00, 02.35** იმედის მელოდიები **12.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **13.10** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **13.35** მხ. ფილმი "დარტყმა სისტემაზე" **15.15** მხ. ფილმი "დაუმორჩილებელი" **17.05** დოკ. სერიალი "სტილის ამქრები" **18.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **19.30** ვაკაჭი-ნიუსი **20.25** მხ. ფილმი "დევნილი" (გ) (ტომი ლი ჯონსი) **22.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პირდაპირი **00.20** მხ. ფილმი "მაღალი ქერა მამაკაცის დაბრუნება" (გ) (პ.რიშარი)

### იბერია

**18.00** მხ. ფილმი "უწმინდური" (გ) 1-ლი ს. **20.05** სილუეტი **21.05** დოკ. ფილმი **22.00** მხ. ფილმი "ომის შემდეგ" (გ)

### ОРТ

**06.00, 10.00, 12.00, 18.00** Новости. **06.10** Прикл. фильм "Американский хвост: остров сокровищ". Часть 1. **06.40** Николай Волков-ст. в фильме-сказке **"СТАРИК ХОТТАБЫЧ"** **08.20** Играй, гармонь любимая! **09.00** Слово пастыря. **09.10** Здоровье. **10.20** "Смак" **10.30** "Пестрая лента". "Меньшов слезам не верит". **11.20** "Любовные истории". Лариса Долина. **12.10** "История с географией". "Древние египтяне". **13.10** Мартин Лоуренс в комедии **"НЕЧЕГО ТЕРЯТЬ"** **15.10** Дисней-клуб: "Приключения Мики и Дональда". **15.30** Игорь Бочкин в детективе **"БАРХАНОВ И ЕГО ТЕЛОХРАНИТЕЛЬ"**. **17.50** Классика Уолта Диснея. Золотые годы Микки Мауса. **18.10** Эдди Мерфи в комедии **"КЛЕВЫЙ ПАРЕНЬ"** **20.00** "Кто хочет стать миллионером?" **21.00** Время. **21.20** Международный фестиваль юмора "Ялта-2004". **22.40** "Золотой граммофон". **23.40** Шон Пенн в триллере **"ВЕС ВОДЫ"** **01.50** Питер Селлерс в комедии **"ДОКТОР СТРЕЙНДЖЛАВ"** **03.40** Альберт Брукс в комедии **"МАТЬ"**

### НТВ

**06.00** Шон Коннери в фильме **"ВЕТЕР И ЛЕВ"** **08.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Сегодня. **08.15** Приключенческий сериал **"ТАРЗАН". 09.00** "Без рецепта". Доктор Бранд. **09.30** "Дикий мир" с Тимофеем Баженовым. **10.20** Борис Щербаков в программе "Растительная жизнь". **11.00** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.25** Криминальная Россия. **14.00** Сергей Бодров-мл. в фильме **"СТРИНГЕР"** **16.20** "Женский взгляд". Ирина Роднина. **16.55** Своя игра. **17.55** Сериал **"АДВОКАТ". 19.40** Владимир Машков в фильме **"ВОР"** **21.45** Деми Мур в фильме **"НЕПРИСТОЙНОЕ ПРЕДЛОЖЕНИЕ"** **00.10** Костя Цзю. Лучшие бои. **Костя Цзю-Хулио Сезар Чавес. 01.00** Серена Гранди в эрот. фильме Тинто Брасса **"МИРАНДА"**

## სკანვორდი



# IBM დაცულ პერსონალურ კომპიუტერებს გამოუშვებს




მამუკა ქირია

გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ IBM ახალი კომპიუტერების გამოშვებას აპირებს, რომლებსაც ექნებათ სპეციალური დამცავი თვისებების მქონე მიკროსქემა, სადაც შენახული იქნება მომხმარებლის პაროლი და სხვა მნიშვნელოვანი საიდენტიფიკაციო ინფორმაცია. სწორედ ამ მნიშვნელოვანი ინფრომაციის ადვილად მოპოვება ჰაკერებისთვის დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა. მაგალითად, კლავიატურის "ჯაშუშის", როგორც პროგრამის, დაინსტალირება და პაროლების გაშიფრვა. ახალი კომპიუტერი ამის საშუალებას არ იძლევა. თითქმის შეუძებელია IBM-ის ახალი მიკროსქემის დეკოდირება.

"ეკონომიკური ეფექტი შესამჩნევი იქნება, არ დასჭირდებათ უთვალავი ადმინსტაციული რესურსების გამოყენება და მასთან დაკავშირებული ხარჯები, კომპიუტერები თვითონ დაიცავენ თავს, ამას SafeKeeper Trusted I/O მოწყობილობა უზრუნველყოფს" - აცხადებს IBM-ის პერსონალური კომპიუტერების პროგრამული განყოფილების დირექტორი კლეინა ანდერსონი.

სახელგანთქმულ IBM-ს ამ საქმეში მხარს სხვა ცნობილი კომპანიებიც უჭერენ. მათი აზრით ასეთი ტექნოლოგია, ძირითადად, ლოკალურ შიდა სისტემებს და ციფრულ ინფორმაციას უფრო სრულფასოვნად დაცულს გახდის. მიიჩნევენ, რომ ეს კიდევ ერთი დიდი ნაბიჯია უსაფრთხოების ტექნოლოგიების განვითარებაში. National Semiconductor ირწმუნება, რომ ასეთი დაცვა გაცილებით უფრო საიმედოა, ვიდრე პროგრამული.

გარდა ამისა მზადდება ისეთი ტექნოლოგიები, როგორიცაა თითების ანაბეჭდები და თვალის სკანირება. თითების ანაბეჭდებზე სიახლე უკვე "მაიკროსოფტმა" შემოგვთავაზა, სულ ახლახან მის მიერ გამოშვებულია კლავიატურა, რომელიც თითის ანაბეჭდებს იმახსოვრებს და შიფრავს. რა თქმა უნდა, ახალი მიკროსქემა და ასეთი სახის კლავიატურა გააძლიერებს პერსონალური კომპიუტერების დაცვას.

რაც შეეხება მიკროსქემების მასიურ რეალიზაციას, ის უკვე ფართოდ ვრცელდება ბითუმად სხვადასხვა ქვეყნებში და სულ მალე საქართველოშიც ამოყოფს თავს. ფასი საერთაშორისო ბაზარზე სამაგიდო კომპიუტერებისთვის 5 დოლარია, ხოლო "ნოუთბუკებისთვის" 7 დოლარი. სულ მალე ამ ტექნოლოგიების გამოყენებას Hewlett-Packard და Dell-იც აპირებენ.

# ინტერნეტ-საძიებო სისტემების თანამედროვე პრობლემები

ის ძირითადი ტექნიკური პრობლემები ინტერნეტ-ტექნოლოგიაში, რომლებსაც ჩვენს თავზე გამოვცდით ხოლმე, რა თქმა უნდა, რაღაც მიზეზით არის გამოწვეული. ასეთ მიზებს შორის უმთავრესი მაინც ის არის, რომ როცა ეს ინტერნეტ-ტექნოლოგიები იქმნებოდა, არავის არ წარმოედგინა, რომ ინტერნეტი ასეთ გლობალურ ხასიათს მიიღებდა. მისი დღევანდელი ინფორმაციული მოცულობა ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს. ხარვეზები სწორედ იმ დროს გაიპარა, როცა ინტერნეტ-ტექნოლოგიების "მამები" ასეთ გლობალიზაციაზე არც კი ფიქრობდნენ. ყველაფერმა ამან განაპირობა ის, რომ ჯერ კიდევ აქამდე შექმნილი საძიებო ტექნოლოგიები 100 პროცენტით ვერ უმკლავდებიან ყველა პრობლემას. თუნდაც ის, რომ ხშირად შეხვდებით ძებნის სისუსტეს, შეცდომებს, ინტერნეტის შენელებას და სხვა, ჩვენთვის ყველასთვის ცნობილ პრობლემებს.

თუ ცოტათი მაინც შევხედავთ ძებნის არქიტეტურას, ვნახავთ რომ ძებნის სისტემის აგება ურთულესი მათემატიკური ალგორითმებით რახა-რუხია.

სქემა დაახლოებით ასეთია: თანამედროვე ძებნის სისტემა სამ განზომილებას მოითვლის. თითოული ერთმანეთზე დამოკიდებული უზარმაზარი სამუშაოა რობოტი კომპიუტერებისთვის:

1. ინტერნეტ გვერდების და ინფორმაციების სკანირება მთელ ინტერნეტში;

2. უკვე აღმოჩენილი რესურსების და ინტერნეტ ინფორმაციების ინდექსირება, დახარისხება საძიებო სიტყვების მიხედვით და მონაცემთა ბაზაში შენახვა.

3. მოთხოვნის შემთხვევაში შესაბამისი ინფორმაციის გადაგზავნა მომხმარებლისთვის.

გამოდის, რომ ეს მუდმივი და მრავალგანზომილებიანი პროცესია, რომლის მართვა ხარვეზების გარეშე ნამდვილად ჯერჯერობით არ ხერხდება. ამიტომაც არსებობს აზრთა სხვადასხვაობა სხვადასხვა საძიებო სისტემებზე, ზოგს Google მოსწონს, ზოგს Yahoo, ზოგს კიდევ რა და ზოგს რა. ყველას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია. იმედია, ყველა ხარვეზი ამოიწურება, მაგრამ მოთხოვნები ჯერჯერობით უკვე მიღწეულს ასწრებს და მსგავსი აზრთას ხვადასხვაობა მუდმივად იქნება.

**ადამიანური რესურსის მენეჯმენტის ცენტრი ს.ს.ი.პ. საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის დაკვეთით**

**აცხადებს კონკურსს**

**საინფორმაციო სამსახურის პროდიუსერის თანამდებობაზე**

**ფუნქციები და მოვალეობები**
- საინფორმაციო სამსახურის კონცეფციისა და სტრატეგიის შემუშავება;
- ახალი ამბების პროგრამის ხელმძღვანელობა;

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები**
- უმაღლესი განათლება მენეჯმენტში
- ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება
- სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის გამოცდილება
- მართვის თანამედროვე პრინციპების ცოდნა და მათი გამოყენების უნარი
- უცხო ენის ცოდნა
- ორგანიზებულობა
- კომუნიკაბელობა
- გუნდური მუშაობის უნარი

*განცხადების მიღება იწარმოებს 23 სექტემბრამდე.*
*დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ადამიანური რესურსის მენეჯმენტის ცენტრს.*

**მისამართი:** მელიქიშვილის 12, სასტუმრო საქართველო, V სართული. ტელეფონები: 22 13 23, 22 13 32, pmc@internet.ge







საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24




# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.